³¹ ჯ ნიშნის ასეთი გაუმარჯლებელი ხმარება სხვა ხელნაწერებშიც იჩენს თავს.

სასა ლ 13, 19; მკოზდრი მრ 12, 20 (შდრ. მკკდრი მრ 12, 22); სფოკრიდი მ 15, 37.

ჯადმოგვემს ვი.მარტაღს: ჳნანი ლ 17, 4; შკლო ლ 16, 25; ჳკქმ მრ 21, 27; შიშუელ ჳკყაე მ 25, 36.

საინტერესოა, რომ სიტყვა დირე ხელნაწერში სულ ოთხჯერ გვხვდება, მაგრამ სამი განსხვავებული ფორმით: დირე მ 7, 4; მ 7, 5; დურესა მ 7, 3 და დკრესა ლ 6, 41 (ჯრუქისა და პარხლის ოთხთავებში მხოლოდ ერთი დაწერილობით — „დირე“). ოჯ და ჳ-ს პარალელური ხმარება სხვა სიტყვებშიც დასტურდება და, როგორც ვნახეთ, ამ ხელნაწერისათვის ჩვეულებრივია, მაგრამ საკითხავია: რა მიმართებაა შენდევ ორ ფორმას შორის; დკრე || დირე?

ზოგიერთ ხელნაწერს ახასიათებს ჳ და ი ნიშნების პარალელურად ხმარება. სეანურ მრავალთავეში, მაგალითად, გვაქვს ჳკთონი || ჳითონი, ჳრუქისა და პარხლის ოთხთავებში — ყურკმალსა ი 19, 3 და ყურიმალსა, იქვე. X საუკუნის იმ ხელნაწერებში, რომლებიც საფუძვლად უძევს ილ. აბულაძის მიერ გამოცემულ „საქმე მოციქულთას“ ტექსტს, გვაქვს: ჳისკდიაა თ. 14, 24 A და ჳისიდიიაა თ. 13, 14 A; სკმონ თ. 8, 9 C და სიმონ თ. 8, 9 D; ფრიგკააქსანი თ. 2, 10 C და ფურიგიააქსანი თ. 2, 10 D⁴¹.

ასეთი მონაცვლეობის შედეგია დკრე || დირე თუ დირე ფონეტიკური ცვლის შედეგადაა მიღებული: დურიე → დჳირე (დკრე) → დირე უმარცვლო უ-ს დაკარგვით?

საგულისხმოა, რომ საბა ამ სიტყვას ორივე ფორმით იცნობს დირე || დვირე. ეს უკანასკნელი დღესაც ცოცხალია ქართული ენის დასავლურ კილოებში.

ჯადმოგვემს უმარცვლო უ-ს: მოხკედ ი 16, 30; მიხკალ ი 14, 5; თკე ი 4, 35; მოართკეს ი 2, 8; იგკემოს ლ 12, 48; მართკენი ლ 2, 24; მოძღკარ მრ 9, 38; დაირღკეს მ 24, 2.

ამგვარად, IX საუკუნის შატბერდული ხელნაწერი ჳ-ს ხმარების მხრივ ასეთ სურათს იძლევა: უი დიფთონგი გადმოიცემა ჳ-თი.

⁴¹ უცხო სიტყვებში ჳ და ი ნიშნების მონაცვლეობაზე როცა ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვაიწყდეს ახსნის სხვაგვარი შესაძლებლობა: ასეთი მონაცვლეობა მომდინარეობს თვით სასესხებელი ენიდან ან არა და გამოწვეულია. ეს სასესხებელი ენის ფონეტიკური თავისებურებით.

თეორიულად მოსალოდნელი უი დიფთონგი ზოგჯერ ოკ ნიშნე-
ბითაა გამოხატული (საინტერესოა, რომ ასეთი მოვლენა უცხო
წარმონაგვლობის სიტყვებშიც კი შეინიშნება). ჯ ბგერა წარმო-
დგენილია ორი ნიშნით, უმარცვლო უ კი ზოგჯერ ერთი ნიშნითა(კ.
ამდენად, პარალელური ფორმებია: ღჳნოჲ || ღოჳნოჲ და მი-
ხოჳალ || მიხოჳალ...

ჳ რამდენჯერმე გვევლინება ვი-ს ადგილას.

პარაკლიტიონი Sin 26

ჳ გადმოსცემს უი დიფთონგს: დაცჳვეს 304 r, 16; სამკჳ-
დრებელი ლჲ 221 v, 3; არცხჳნე 204 v, 1; ასევე: 203 r,
14; 189 r, 4; 127 v, 19; 124 r, 8; 122 v, 18; 67 v, 12.

ოჯი შეეფარდება უი დიფთონგს: ჩუენთოჳის 5 r, 2;
მშოჳიდლობაჲ 9 r, 8; დაიმკოჳიდრა 10 v, 1; გოჳიჩუენა
119 v, 16; მახოჳილითა 189 v, 1; ზლოჳისაგან 211 r, 7;
ასევე: 6 r, 2; 4 r, 11; 35 r, 15; 119 v, 6; 119 v, 11; 130 r, 16;
208 v, 14.

ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვაგვარადაა დაწერილი:
თოჳისსა 119 r, 13 და თჳსსა 127 v, 2; გოჳითხოეთ 266v,
19 და გჳთხოეთ 266 v, 3; შეგოჳიწყალენ 288 v, 5 და
შეგჳწყალენ 288 v, 17.

მსგავსი მოვლენა შეინიშნება ერთი წინადადების ერთსა და
იმევე სიტყვაში: სალოჲსა წჳმისა ლრუბელნო სალოჲთა
წოჳიმითა მორწყეთ 209 v, 1.

ოჯ მოსალოდნელი დიფთონგის გადმოცემა: გჳრგოჳნო-
სან 198 v, 7; გოჳრგჳნოსან 242 r, 11 (შდრ. გჳრგჳნო-
სან 105 r, 14); იტყოჳან 296 r, 9; არცხოჳნე 306 v, 1;
ძოჳრ 162 r, 3; მახოჳლითა 281 r, 3; თოჳსისა 299 v, 5;
შეგოჳწყალენ 282 r, 7; მძოჳნეარე 266 r, 1; გოჳთხოვე
257 r, 15; სირცხოჳლეულ 244 r, 15; ასევე: 229 r, 18;
219 v, 14; 210 v, 1; 201 v, 12; 184 r, 1; 184 v, 17; 184 v, 12;
182 r, 15; 179 r, 12.

ასე წერის ტენდენცია იმდენად ძლიერია, რომ სიტყვა
მარტჳლთა ქარაგმითაა დაწერილი: ვევედრნეთ... მარტჳლ-
თა 188 v, 2 (შდრ. მარტოჳლნო 211 r, 18); ალბათ, ქარაგ-
მის ქვეშ ო ნიშანია ნაგულისხმევი⁴².

⁴² ო ნიშანი არაა დაწერილი და ამიტომ ქარაგმა აქვს სიტყვებს: მარ-
ჯრენით 303 v, 18; ჯუარცჳმითა 305 r, 11.

ამგვარად, დიფთონგი უი გადმოცემულია სამგვარად: ჯ-ს საშუალებით (მახზლ ი 203 r, 14), ოჯი ნიშნებით (მახოჯი-ლითა 189 v, 1) და ოჯ ასოებით (მახოჯლითა 281 r, 3). ეს უკანასკნელი საესებით ემთხვევა მარცვლიანი თუ უმარცვლო უ-ს გრაფიკულ გამოსახულებას.

987 წლის სინური ხელნაწერი Sin 20

უი დიფთონგის ჩვეულებრივი გამოხატვაა ჯ, მაგრამ გვაქვს ოჯი დაწერილობაც: ქალწულმან გოჯიშვა 66 r, 1, მაგრამ: გჯშეც რნ 1 r, 1ა.

უმარცვლო უ ზოგჯერ ერთი ჯ ნიშნით არის გადმოცემული: ძალი სიკჯდილისაა 88 r, 10; უღმრთოთა მიერ იგჯემა 74 v, 11; აღდგა მკჯდრეთით 58 r, 6; განღებითა გჯერდისაათა 85 v, 8.

ოჯ ნიშნები რამდენჯერმე ო ბგერის შესატყვისია. აცხოვნა... ცოჯდვისაგან 82: v, 13; სარწმუნოჯებით ვიტყვთ 2 r, 13.

არსებითად ჯ-ს ხმარების ასეთსავე სურათს იძლევა 974 წელს გადაწერილი სინური წარმომავლობის აპოსტოლიც Sin 39, სადაც: დიფთონგი უი გადმოიცემა ჯ და ოჯი დაწერილობით: წჯმოს 98 v, 7; მკჯდრნი 91 v, 10; მოეხჯა 85 v, 6; დაყჯონ 63 r, 8; დაარღჯნა 35 r, 11; ლელვანი განძჯნებულისა ზღჯსანი 127 r, 22; მაგრამ არის ასედაც: უმარჯოჯი იყო ტბაა იგი დაჯამთრებდა 81 v, 11.

ჯ გვაქვს უცხოური წარმომავლობის საკუთარ, გეოგრაფიულ და საზოგადო სახელებში: აკჯლა 52 r, 11; ტჯრანშსსა 55 r, 17; ეესჯქოს 59 v, 8; სჯმონ 17 r, 22 (შდრ. სიმონ 18 r, 4); ეგჯპტით 127 v, 7; ტჯრედ 62 v, 10; კჯპრიდ 34 v, 17; სჯქემდ 13 v, 21; ჯპატიოსნისასა 34 r, 8.

თეორიულად მოსალოდნელი ჯ-ს ნაცვლად ზოგჯერ ოჯა დაწერილობაც გვხვდება: ხოჯადოდით 125 v, 1; მყოჯარალშ 108 v, 12; იტყოჯედ ზაკასა 104 v, 11.

მგვივე სიტყვა მსგავსად ქარაგმითაა გადმოცემული Sin 20-შიაც: ყრმანი იტჯჲს 62 v, 6.

ამგვარად, გვაქვს დიფთონგი გამოხატული ჯ, ოჯი და ოჯა-ს საშუალებით. საგულისხმოა უმარცვლო უ-ს ერთი ნიშნით ჯ გადმოცემა და მოსალოდნელი ო-ს ნაცვლად ოჯ ასოთა ხმარება.

ჯ გადმოგვემს უი დიფთონგს: დაყუნეაჲ 71 r, 10; იქჳ 22 r, 9; იქჳსათჳს იქუსა მას ვიტყჳ 70 v, 16.

ჯ გვაქეს უცხოური წარმომავლობის საკუთარ და გეოგრაფიულ სახელებშიც: კითხვაჲ არქუთ ნჳფას 133 r, 6; მიიწერა ფჳბესთჳს 54 r, 16; კითხვაჲ არქუთ ასჳნკრიტეს 53 r, 13; სტაქჳს 53 r, 6; ჳმენეოზ 174 v, 17; აკჳლას 52 v, 13; სჳნტიკეს 124 v, 12; ულჳმჳას 53 r, 18; ფრჳგჳაჲსაჲ 9 v, 20.

ტექსტი ასომთავრულითაა ნაწერი. მინაწერები აქეს ნუსხური ხელითაც. ერთ-ერთ ასეთ მინაწერში ჰარალელურადაა ნახმარი ოჳი და ჳ დაწერილობა ერთსა და იმავე ნასესხებ სიტყვაში: მიიწერა ტოჳიქიკეს მიერ 118 r, 9 და ტჳქიკოს 118 r, 8.

უმარცვლო უ ზოგჯერ ჳ-თია გადმოცემული, მას კი ი ხმოვანი მოსდევს: თჳისისა 172 v, 16.

მსგავსი მოვლენა ვულგარიზმად აქეს მიჩნეული ნ. მარს X საუკუნის სინური წარმომავლობის № 53 ხელნაწერში: „Весьма сходно проявляется вулгаризм в передаче ж грузинско ж, ииур. შჳილნი, თჳისა, დაუჳირდა, თჳინიერ...“⁴³.

პარხლის მრავალთავი

ჯ უმარცვლო უ-სა და ი-ს ფარდია: გჳრ გჳნოსან 313, 16; მახჳლითა 314, 16; მოწყჳდნეს 315, 6; განძჳნდებოდა 141, 21; სდრტჳნეველით 139, 6; სამჳკჳდრებელად 138, 12; მშჳდობაჲ 130, 19; წჳჳ 85, 16.

ჯ გვაქეს უცხო წარმომავლობის სიტყვებში: ისტჳნიანეს მიერ 65, 12; აგჳსტოს მეფემან 30, 15; სჳმეონ 72, 4.

ჯ შეესატყვისება უმარცვლო უ-ს: ითქჳა 66, 24; რიტხჳნი 75, 23; შჳენის 82, 31; მრქჳა 105, 19; განთქჳმული 115, 27; სიტყჳაჲ 120, 8; ჰრქჳეს 133, 18; ჳლჳაჲ 137, 22; თჳესა 136, 6; მოველით თაყჳანისცემად 88, 9.

ჯ გადმოსცემს მარცვლიან უ-ს: ნჳცა 3, 19; არა თჳ სარ-წმუნობისათჳს 904, 4; აესჳჲსა 920, 2.

⁴³ Н. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, 1940, гл. 76.

ბერძნული სიტყვა ეგუტერი ორგვარადაა წარმოდგენილი: ეგუტერი 133, 29 და ეგოუტერსა 129, 21.

ამ სიტყვის მხოლოდ 3-თი გადმოცემა დამახასიათებელია XII საუკუნის იმ ხელნაწერისთვისაც, რომელიც წარმოადგენს გრ. ხანძთელის ცხოვრების ტექსტს. ნ. მარის აზრით ჩვეულებრივი ძველი ქართულის ფორმაა ეგოუტერი, ამიტომ გამოცემისას ასწორებს კიდევ მას, მაგრამ თან აღნიშნავს: „Напротив, нѣтъ может, и восстановил общинную древнегрузинскую форму егугтери, resp. ეგოუტერი вм. рукописного егугтери: зъ здесь жожко бы рассмотреть, как точную передачу греч. σ, лишь перемещенную—εσχηρισον ეგუტერი ewkter-i → ეგუტერი“¹⁴.

ოჯ ნიშნებია დაწერილი ო-ს ნაცვლად: საოუცრად 131, 30.

ამგვარად, ჯ ნახმარია ძველი ქართული ენის ნორმის შესაბამისად და გადმოგვეცემს უი დიფთონგს. მსგავსად X საუკუნის სხვა ხელნაწერებისა ჯ შეესაბამება უმარცვლო უ-საც, თუმცა აქ იგივე ჯ იშვიათად, მაგრამ მაინც მარცვლიანი უ-ს შესატყვისიცაა.

აღსანიშნავია ჩვენამდე მოღწეულ ეპიგრაფიკულ და წერილობით ძეგლთა დაწერილობის ერთ-ერთი საუკეთესო თვისება: ყოველ ნიშანს შეესაბამება ერთი ბგერა, ყოველი ბგერა გადმოცემულია ერთი ნიშნით. ამ საერთო წესს არღვევს ჯ ნიშანი და უ ბგერა: ჯ ნიშანი გამოხატავს უი დიფთონგს, უ ბგერა შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში გადმოცემულია ორი ნიშნით: ოჯ.

ჩვენ მიერ განხილული მასალიდან ჩანს:

1. თეორიულად მოსალოდნელი დიფთონგი უი გადმოიცემა ჯ და ოჯი ნიშნებით.

2. ზოგჯერ ერთმანეთს ემთხვევა ჯ და ოჯ ნიშანთა ფუნქცია: ოჯ მოსალოდნელი უი დიფთონგის შესატყვისია.

3. უ ბგერა იწერება ორი ნიშნით ოჯ, ზოგჯერ 3-თი ან მხოლოდ ო ასოთი.

4. იშვიათად ო-ს ნაცვლად გვაქვს ოჯ.

ისმის რამდენიმე ფონეტიკური და ორთოგრაფიული ხასიათის კითხვა:

1. რა ბგერა შეესატყვისება ჯ ნიშანს და რა განსაზღვრავს ჯ-ს საშუალებით უ ბგერისა და უი დიფთონგის გადმოცემის ფაქტს?

¹⁴ Н. М а р р, Георгий Мерчул, Жизнь святого Григория Хандзтийского, С.-Петербург, 1911, гл. XLV.

2. რატომ გადმოიცემა უ ბგერა სხვადასხვაგვარად და რა შედეგი მოსდევს მას?

1. ნ. მარის აზრით, ჯ არის ნახევარხმოვანი და იგი უდრის რუსულ ყ-ს და ისეთივეა როგორც სვანური ჯ. მაგალითებში მოგვ, იაგვ, -თვს ჯ უნდა წავიკითხოთ, როგორც „*тот же полу-гласный звук ж в сванских словах: ბლაგვ=туной, თქვ=верешка, ლიბჯრე=темнеть, ლითჯუე=терять, მუთჯრი=учитель*“⁴⁵.

იქვე წერს: „Так как те же древне-литературные грузинские слова наличны и в ново-грузинском, где они пишутся и произносятся *მოგვი, თაგვი, -თვის*, то в букве *ჯ* усмотрено было начертание для выражения *ვი*, но это—обычное недоразумение, основанное на восприятии и толковании древних текстов по нормам нового языка... Если бы *ჯ* являлось начертанием для *ვი*, то его мы имели бы всюду, где слышен слог *ვი*, но этого нет, так напр., в древних рукописях всюду имеем *შვილი*, а не *შჯლი*“⁴⁶.

ა. ჩიქობავა ამის შესახებ წერს: „ეს ტირადა არ დაიწერებოდა, ავტორს რომ ერთი რამ ჰქონოდა გათვალისწინებული: თანამედროვე ქართულის ვ უნეტეს შემთხვევაში ძველი ქართულის უმარცვლო უ-ს გადმოგვეცემს. აი თუნდაც ავტორის მაგალითებში: თაგვი, მოგვი. ვიკითხოთ: შეიძლებოდა თუ არა ძველს ქართულში ასეთი ვ (=უ უმარცვლო) + ი გვეგულისხმებინა ჯ-ში? შეიძლება თუ არა ჯ-ს შემადგენლობაში ვივარაუდოთ უ + ი? რასაკვირველია, კი. და ამის ნიმუშებიც მოიპოვება: დაამკუიდროს, ეტყუის... ყველა ამ სიტყვაში ამჟამად უი-ს ნაცვლად ვი გვაქვს, ძველი ქართულის სხვა ძეგლებში — ჯ. და ამიტომ საკითხავია: უნდა დავუჯეროთ თუ არა ავტორს, როცა კატეგორიულად გვეუბნება: *ჯ* ბოლოში თუ შეიგნით უნდა გამოვთქვათ, როგორც ნახევარხმოვანი ჯ სვანური სიტყვებისა: ბლაგვ, მუთჯრი... ასეთი კატეგორიულობისათვის საბუთები არც ისე ბევრია; ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ სხვანაირი გაგება (კერძოდ: ვი=უი-ს გულისხმობა ამ ჯ-ში) თითქოს „ჩვეულებრივი გაუგებრობა“ იყოს — უადგილო აჩქარებაა. ავტორი კითხვას სვამს: თუ ჯ=ვი, რატომ არ იწერებოდა „შჯლი“ ძველს ქართულშიო! ეს საბუთად მაშინ გამოდგებოდა, ვისმე რომ ეთქვა: ჯ=ვი (ძველი ქართულისასო). ახალ ქართულში

⁴⁵ Н. М а р р, Грамматика древнелитературного грузинского языка, 1925, გვ. 6.

⁴⁶ იქვე, გვ. 6.

უმარცვლო უ აღინიშნება ვ-თი, ისევე როგორც უფრო დენტო-
ლაბიალისკენ გადახრილი ვ ძველი ქართულისა... ამიტომ ახალი
ქართულის ვი ძველი ქართულის უი-საც უდრის და ვი-საც; უკა-
ნასკენელს ნაკლებ შემთხვევაში⁴⁷.

ჯ-ში რომ უი-ს გულისხმობა შესაძლებელია, ეს ჩანს ისეთი-
სიტყვებიდან, „რომელთა გენეზისში უ ბრჯგუს ენი ერთვის...
შეუძლებლად არ ვთვლით, ისეთივე შინაარსი მიეცეს ჯგეს იმ
სიტყვებშიაც, სადაც ჯგეს გენეზისი არ შეიძლება იქნეს გათვა-
ლისწინებული, მაგრამ სადაც თანამედროვე ქართულში ვი ისმა-
რება“⁴⁸.

ამგვარად, ნ. მ ა რ ი ს აზრით, ჯ დამოუკიდებელი მნიშვნელო-
ბის ნახევარაშოვანია, მისი ფუნქცია არაა უი დიფთონგის გამოხატ-
ვა. ა. ჩიქობავას აზრით, ჯ არის უი დიფთონგის გადმომცემი.

მაინც რა ბგერა შეესატყვისებოდა ჯ-ს?

ა. ჩიქობავას შენიშნული აქვს ის ფაქტი, რომ ჯ იხმა-
რება უმარცვლო უ-ს გამოსახატავად ძველი ქართულის წერილო-
ბით ძველებში. „ჯგე ასოთი უ-ბრჯგუს აღნიშვნა დაწერილობის
ტრადიციას, შკოლის უზუსტს მიეწერება“⁴⁹. ასეთია მოვლენის შე-
ფასება, მაგრამ იქვე კითხვაა დასმული: „რაზედ შეიძლებოდა ყო-
ფილიყო დამყარებული წესი ჯგე ასოთი უ-ბრჯგუს აღნიშვნისა?
ხომ არ გვაფიქრებინებს ეს, რომ რომელსამე კილოში ჯგეთი და
უ-ბრჯგუთი გადმოცემული ბგერები იმდენად ემსგავსებოდნენ
ურთიერთს, რომ შეუძლებელი არ იყო ამ ბგერათა ნიშნების
შენაცვლება (და ამ ნიადაგზე ჩაეყარა საფუძველი უ-ბრჯგუს ჯგე
ასოთი აღნიშვნას), ხოლო სხვა კილოში, რომელიც აგრეთვე
იღებდა მონაწილეობას სამწერლო ენის შემუშავებაში, ამ ორი
ასოთი აღნიშნული ბგერები საკმაოდ განსხვავებული იყვნენ იმის-
თვის, რომ ერთმანეთში მათი შენაცვლება შეუძლებელი გამხდა-
რიყო?!“⁴⁹.

ჯ-ს ფონეტიკური რაობა საბოლოოდ გარკვეულად არც
თვით წერილის ავტორს მიაჩნია: „უ ბრჯგუ პლუს ი ძველს ქარ-
თულში ჩვეულებრივად გადმოიცემის ჯგე ასოთი,—ამ უკანასკნე-
ლის შესატყვისი ბგერის რაობას კი განზე ვტოვებთ“⁵⁰.

⁴⁷ ა. ჩიქობავა, Н. Марр, Грамматика древнелитературного
грузинского языка, 1925, მიმოხილველი, I, 1926, გვ. 323—324.

⁴⁸ ა. ჩიქობავა, ვინის რეფლექტები ფერეიდულში, ჩვენი მეცნიერება,
1923, № 2—3, გვ. 74.

⁴⁹ იქვე, გვ. 75.

⁵⁰ იქვე, გვ. 76.

აქ. შანიძის ცნობით, 1941 წელს გამოცემულ „თომას სახარების“ ნაწყვეტში (ცნობილი A 95 ხელნაწერის მიხედვით) ჯნიშანი ორი ფუნქციის მქონეა: ერთი მისი ფუნქციაა ჟმარცვლო უ-ს გადმოცემა (ზოგჯერ უმარცვლო უ-ც. ორი ნიშნითაა გადმოცემული მარცვლიანის მსგავსად).

იგივე ჯ გადმოგვცემს უი ჯგუფისაგან წარმოშობად ზეჯრას: ქჷსასა ზედა, ჩჩჷსა, თჷს, თჷსაა, თჷთ, მიხჷდე (მიხჷდიღე -- მიხვიდესაგან), დაგიკრდების, ეტჷრთა, შევიმთხჷე⁵¹.

ამასვე აღნიშნავს „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ ჯ-ს „ძველად ზოგჯერ უმარცვლო უ-ს მნიშვნელობა ჰქონდა და ზოგჯერ (უფრო ხშირად) უ-სა და ი-ს შუა მდებარე ხმოვნისა (ჯ შეეფერებოდა ბერძნულ ა-ს და ცალკე გამოითქმოდა დაახლოებით ისე, როგორც ფრანგული u)⁵².

ამგვარად, ჯ აღნიშნავდა უი ჯგუფისაგან წარმოშობად ხმოვნის, რომელსაც საშუალი ადგილი ეკირა უნსა და ინს შორის. „მაშასადამე, ეს უნდა ყოფილიყო ერთი ხმოვანი, მონოფთონგი, და არა ორ-ხმოვანა, დიფთონგი, როგორც შეიძლებოდა კაცს ეფიქრა იმ შემთხვევების მიმოხილვიდან, სადაც მას მოსალოდნელი უი ჯგუფის ადგილი უქარავს. ამის მიხედვით, მაგ., ძველი ქართული „თაგჷ“ და „მისთჷს“ დაახლოებით ისე უნდა განოვთქვათ, როგორც გერმანელი გამოთქვამს ამ კომპლექსს: tagu, mistis⁵³.

ჩანს, ჯ-ს დიფთონგობა აქაც უგულებელყოფილია.

ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ძეგლების მონაცემების მიხედვით კი ჯ-ს დიფთონგობა უეჭველია.

საფიქრებელია, ჯ როგორც ნიშანი შემუშავდა მხოლოდ ერთი ბგერის გადმოსაცემად (იგივე ნიშანი ო-სთან ერთად უ ბგერას გადმოგვცემდა).

ის ფაქტი, რომ ძველი ქართულის დამწერლობაში ჯ უმარცვლო უ-ს გამოხატავს, აგრეთვე ის, რომ ჯ ნიშანი უ ბგერის ერთ-ერთი გადმომცემია და იგივე ჯ შესატყვისია უი დიფთონგისა,

⁵¹ აქ. შანიძე, თომას სახარების აპოკრიფის ქართული ვერსიის ნაწყვეტი და მისი გაუგებარი ადგილები, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XVIII, 1941, გვ. 31.

⁵² ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 18.

⁵³ ა. შანიძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ტფილისი, 1934, გვ. 010.

შეიძლება მეტყველებდეს ჯ ბგერის ნათესაობაზე როგორც უ, ისევე ი ბგერებთან⁵⁴.

ძველისძველად ენაში არ იყო გარჩეული უ ბგერა მარცვლიანობის თვალსაზრისით: უ მხოლოდ და მხოლოდ მარცვლიანი იყო. ასეთი სახელები - ი აფიქსისა ან ი-ზე დაწყებული ფორმანტის დართვისას გვაძლევდა უ ი ჯგუფს. შემდეგ მოხდა ცვლილება:

უი $\begin{matrix} \nearrow \text{ჟი} \\ \searrow \text{ჟი} \end{matrix}$

უ ი დიფთონგი ჩვენ მიერ განხილულ ყველა ხელნაწერში ჯ ნიშნითაა გადმოცემული, მაგრამ ზოგჯერ თავს იჩენს ოჯი დაწერილობაც⁵⁵. ვფიქრობთ, ეს დაწერილობა ქართული დამწერლობის განვითარების გარკვეული პერიოდისათვის იქნებოდა ერთადერთი; იმავე დიფთონგის ჯ-თი გამოხატვა მეორეული უნდა იყოს. ამას ხელს შეუწყობდა ან ის გარემოება, რომ ჯ ბგერა (თუ ის ამ დროს ცოცხალი იყო ენაში) მსგავსი იყო უ და ი ბგერებისა, ან ის გარემოება, რომ ნიშანი არსებობდა ბგერის გარეშე.

2. უ ბგერა გადმოიცემა ორი ნიშნით — ოჯ, ზოგჯერ კი ერთ-ერთი მათგანით: მხოლოდ ჯ-თი (უმარცვლო ხშირად, მარცვლიანი იშვიათად) და მხოლოდ ო-თი. უ ბგერის გამოხატვის ნაირნაირობა თავს იჩენს უძველეს ხანმეტ ძეგლებში და ხშირდება IX—XI საუკუნეთა დაწერილობაში.

ამგვარად, ოჯ = უ-ს; ჯ = უ-ს; ო = უ-ს.

კითხვა ისმის: რატომ ხდება ეს ასე?

ცხადია, ეს ვითარება არ შეიძლება ამოსავალი იყოს. უპირველესად უ ბგერა გადმოიცემოდა მხოლოდ ოჯ ნიშნებით.

ეგების, უ ბგერას მხოლოდ ჯ-თი გადმოსცემდნენ უ ბგერის რთული დაწერილობის თავიდან აცილებას მიზნით.

რით აიხსნება ო ნიშნით უ ბგერის გადმოცემა და, პირიქით, ოჯ ნიშნებით ო ბგერისა?

ო და ოჯ ნიშანთა მონაცვლეობა კ. კეკელიძეს ფონეტიკურ დიალექტიზმად მიაჩნია. ასეთივე „ფონეტიკური დიალექტიზმია“ „ძ მ. ზ: ძრახვაჲ, საძლუარი Выпадение з между

⁵⁴ ანგარიშგასაწვეია ჯ-სა და ბერძნულ ს ნიშანთა შესატყვისობა ბერძნულიდან შემოსულ სიტყვებში, თუმცა ეს შესატყვისობა არ არის ყოველთვის დაცული.

⁵⁵ ზოგიერთი ხელნაწერისათვის არც ოჯ დაწერილობაა უცხო. ხომ არაა იგი უ ი დიფთონგის შესატყვისი?

гласными **ა** и **ე**: ითხოვნ Пропуск аффрикаты **ღ** в предлоге
აღ.: ადგომად⁵⁶.

ა და **უ** ნიშანთა მონაცვლეობა დიალექტიზმადაა მიჩნეული
ქ. კეკელიძის მიერ სხვაგანაც, მაგ., ტექსტის „ცხოვრება
ნეტარისა ჩუენისა საბაჟის“ ენია მიმოხილვიას ეკათხულობთ:
„დიალექტური მერყეობა **ა/უ** : **უ** გვხვდება იქ, სადაც **ა** უნდა
იყოს: საჩინუ... უ-ს მაგიერ **ა**: ფსალმონსა, შოვა, მოხოცებუ-
ლი“⁵⁷. ასეთივე დიალექტური მერყეობის ნიშნად ავტორი თქლის
შეკლევა მაგალითებს: „ბ.ფ გაფუცეთთ; პ.ბ: ებისკოპოსი...“⁵⁸

ცხადია, ამ შემთხვევათა ერთ სიბოტყეზე მოთაქსება არ შეიქ-
ლება. **ა** და **აჟ**-ს მონაცვლეობა მხოლოდ ნიშანთა მონაცვლეობაა
სხვა მაგალითები კი ბგერია დაკარგვის, დაყრუებისა და მო-
ნაცვლეობის საილუსტრაციოდ და დასახელებული და იმდროინ-
დელი ცოცხალი მეტყველების თავისებურების ამსახველია.

მართალია ნ. მარი, როცა ერთ-ერთი ხელნაწერის მიმო-
ხილვისას წერს: „...Особн выделяю те искажения, которые про-
истекли от характера сложного начертания **უ** в древнем цер-
ковном письме (**აჟ**) особенно вышнвильном: здесь при малейшем
невнимании то **ა** появляется вм. **უ**... то, наоборот, **უ** вм. **ა**“⁵⁹.

მ. კახაძეს ბასილი დიდის „ექუსთა დღეთაჲ“ ტექსტის
დადგენისას შეაქვს რამდენიმე სახის შესწორება ერთ XI საუკუ-
ნის ხელნაწერში (A 73). იგი წერს: „A ხელნაწერში უნებლიე
შეცდომების გარდა არის მწერლის ნებისითი „შეცდომებიც“... ამ
სახის „შეცდომებად“ ჩვენ ბგერათა მონაცვლეობა მიგვაჩნია და
თუ ამის სამუალებას ნუსხა იძლევა, ასეთ „უნართებულო“ ფორ-
მებს ყველგან ვასწორებთ. ბგერათა მონაცვლეობა ხელნაწერში
ასეთია: **ა** სველის უ-ს (მაგ.: საშოვლად, პირტყუთა)⁶⁰.

ისმის კითხვა: გვაქვს კი აქ ბგერათა მონაცვლეობა? ავტო-
რის მიერ დასახელებულ მაგალითებში **ა** ბგერა კი არ ცვლის

⁵⁶ К. Кекелидзе, Древне-грузинский Архивератикон, 1912, გვ. XXII.

⁵⁷ ქ. კეკელიძე, ცხოვრება საბა პალესტინელისა, კიენი, II, 1946, გვ. 135.

⁵⁸ იქვე, გვ. 135.

⁵⁹ Н. Марр, Агнографические материалы по грузинским руко-
писям Ивера, ЗВО, XIII, 1901, გვ. 108.

⁶⁰ ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, მასალები საქართველოსა და კავ-
კასიის ისტორიისათვის, 1946, ნაკვ. II, გვ. 014.

უ ბგერას, არანედ უ ბგერა ორი ნიშნის (ოჲ) ნაცვლად გადმოცემულია ერთი ნიშნით — ო-თი; წერდნენ „პ ი რ უ ტ ყ თ ა“, გამოთქვამდნენ „პ ი რ უ ტ ყ უ თ ა“. ეს, როგორც ირკვევა, დაწერილობის ტრადიციას მიეწერება, ორთოგრაფიული თავისებურების მჩვენებელია, გრაფიკის საკითხია, და არა წარმოთქმისა. აქ არ გვაქვს არც დიალექტიზმი და არც ბგერათა მონაცვლეობა.

საინტერესოა ოჲ-ს ხმარება იქ, სადაც თეორიულად უი ჯგუფი და ანდენად ჳ ნიშანია მოსალოდნელი (ლოჯნო...).

ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს აზრით, „ჟ-ბრჯგუს ხმარება იქ, სადაც უი არის მოსალოდნელი (უკურდა), შეიძლება დიალექტოლოგიურ, ე. ი. შემოტანილ ფორმად ჩაგვეთვალა. მართლაც, ისეთი ფორმები, როგორცაა საკურველი, მე გამიგონია შიგნიკახეთის მკვიდრის გამოთქმაში და ს. ჯანაშიას გადმოცემით ქართლში (ლიახვის ხეობაში) სწორედ ასეთი ფორმები იხმარება“⁶¹.

ჳ და ოჲ-ს მონაცვლეობა, ა. შ ა ნ ი ძ ი ს აზრით, „უთუოდ რომელიდაც კილოს გავლენის ბრალია. მართლაც, გვხვდება როგორც ლუნოჲ, ისე ლჯნოჲ, მაგრამ ამათგან სპარბობს ლუნოჲ. ძნელი საფიქრებელია, რომ ასეთი ხშირი შენაცვლება შემთხვევითი მოვლენა იყოს და გადამწერის კალმის შეცდომად ჩაითვალოს“⁶².

ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი ს ცნობით, მსგავსი მოვლენა ახასიათებს ქილ-ეტრატის იადგარსაც. „აქ იშვიათად მოსალოდნელი -ოჲჲ ჯგუფის ნაცვლად მხოლოდ ოჲ გვხვდება ხოლმე: განკოვრებული (შდრ. განკოვრდეს). ასეთ შემთხვევაში ჳ ნიშანი, ალბათ, ორ ფუნქციას ასრულებს: 1. მიუთითებს, რომ იგი უ-ს ნაწილია და, მაშასადამე, აქ უ უნდა იქნეს წაკითხული და 2. რომ უ-ს შემდეგ ი იგულისხმება, ეს ი დაწერილი არაა. რადგან ნაეარაუდევია თვით ჳ-ში, როგორც ორთოგრაფიულ ნიშანში“⁶³.

როგორც ჩანს, აქ საპირისპირო აზრია გამოთქმული. ოჲი || ოჲ-ს პარალელური ხმარება ორთოგრაფიის საკითხია.

თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი აღნიშნავს, „ადიშის ოთხთავის გადამწერი ჳ ასოს ხმარობს იქ, სადაც უ არის მოსალოდნელი და უ-ს

⁶¹ ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ვინის რეფლექსები ფერეიდნჯლში. ჩვენი მეცნიერება, 1923, № 2—3, გვ. 75.

⁶² ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, 1945, გვ. 049.

⁶³ ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ქილ-ეტრატის იადგარის ორთოგრაფიული და ფონეტიკური თავისებურებანი, ხელნაწ. 1941, გვ. 37.

კიდევ იქ, სადაც ჩვეულებრივ ჯ იწერება. ამის მიხედვით ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ამბობდა „კიკუ“ და არა „კიკვ“ ან „კურენელი“ და არა „კურინელი“? მე მგონი, რომ არა. აქ ორთოგრაფიის საკითხი ისმის და არა გამოთქმისა. გადამწერმა იცის, რომ ამ ორ ასოს შორის (ჯ და უ) რალაც ნათესაობაა და, რადგან კარგად ვერ გარკვეულა მათ მიმართებაში (მაგ., უ და ჯ-ს ურთიერთობაში), ამიტომ ერთს ხმარობს მეორის შემცვლელად. იგი, მართალია, წერს: ლელუსაგან, მაგრამ ამ ფორმას არჩევს მეორისაგან: ვეძიებ ნაყოფსა ლელუსა ამას შინა... პირველ შემთხვევაში იგი, ალბათ, ამბობდა ლელვისაგან (=ლელუსაგან), ხოლო მეორე შემთხვევაში „ლელუსა“ (=ლელუსა)⁶⁴.

როგორც ჩანს, საკითხი ორგვარადაა გადაწყვეტილი: მოსალოდნელი ჯ-ს ნაცვლად ოჯ-ს ხმარება წარმოთქმას შეესება და დიალექტური მოვლენაა: წერდნენ და ამბობდნენ კიდევ „ლოჯნო“; მეორე მოსაზრებით ჯ-ს ნაცვლად ოჯ დაწერილობა ორთოგრაფიის საკითხია: წერდნენ „ლოჯნო“ და ამბობდნენ „ლოჯინო“.

ჯ-ს ნაცვლად ოჯ ნიშანთა ხმარების დიალექტურ მოვლენად ჩათვლა ნიშნავს: დიფთონგი დაიშალა, გამონოფთონგდა. მაგრამ აქ აუცილებელია აღინიშნოს — რომელი დიფთონგი. ჭი დიფთონგის დაშვება არ გამოდგება: თუ ვიტყვით, რომ ჭი → უ, ეს ნიშნავს: უმარცვლო უ უცვლელად დარჩა, ხოლო მარცვლიანი ი დაიკარგა. საკითხავია: რატომ დაიკარგებოდა ი, ჩვეულებრივ ხომ უმარცვლო ბგერა იკარგვის: აჰ → ა; ოჰ → ო; უჰ → უ⁶⁵. დიფთონგის გამონოფთონგება უმარცვლო ბგერის დაკარგვას გულისხმობს და არც ჭი დიფთონგი მოგვეცემდა გამონაკლისს. ამისდა მიხედვით ძველ ქართულში დადასტურებული ლოჯნო და მისი მსგავსი მაგალითები მიღებული უნდა იყოს უჰ დიფთონგის დაშლით. ჩანს, დიალექტთა გარკვეული წრისთვის სწორედ ასეთი დიფთონგი იყო დამახასიათებელი. ამას თითქოს ადასტურებს ოჯჰ დაწერილობის შემთხვევები, რომლებიც იშვიათად, მაგრამ მაინც იჩენს ხოლმე თავს.

მაშასადამე, შესაძლოა ძველი ქართული ლოჯნო იმდროინდელი წარმოთქმის თავისებურებას ასახავდეს და ამდენად უჰ დიფთონგის გამონოფთონგების შედეგად მიღებული ფორმა იყოს.

⁶⁴ თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ღ ი, მასალები შ-ს ისტორიისათვის, ხელნაწ. 1944, გვ. 381.

⁶⁵ საგულისხმოა დღევანდელი სალიტერატურო ქართულის ჩვენებაც: ძველი ქართულის უი დიფთონგის ნაცვლად ყველგან გვაქვს ვი მარცვლი. ჩანს, ცვლილება მოხდა და ეს ცვლილება სწორედ უმარცვლო ბგერას შეეხო.

ჯ-ს ნაცვლად ოჯ-ს ხმარების ორთოგრაფიულ მოვლენად ჩათვლა ნიშნავს: ორი ასოს ხმარებას (ოჯ) ერთი ნიშნის ჯ-ს ნაცვლად.

შეიძლებოდა თუ არა ეს მომხდარიყო? შეიძლებოდა. აქ ისეთივე მდგომარეობა უნდა გექონდეს, როგორცაა ოჯ ნიშანთა გამოყენება მოსალოდნელი ო-ს ნაცვლად. ერთგან ო ნიშანია ზედმეტი (მაგ.: ღოჯნო), მეორეგან კი ჯ (მაგ.: მიუჯოჯ...).

მაგრამ რატომ გვაქვს მოსალოდნელი ერთი ნიშნის ნაცვლად ორი?

ო ბგერის გადმოცემა ოჯ ნიშნებით წმინდა გრაფიკული აღრევის შედეგია, რასაც საფუძვლად უძევს ქართული დაწერილობის ის ანომალია, რომელსაც ქმნიდა უ ბგერის გადმოცემა. შესაძლოა, აქედანვე მომდინარეობდეს ოჯ-ს ხმარება მოსალოდნელი ჯ-ს ნაცვლად.

დიფთონგი

სუფიქსი -ი ან სუფიქსისეული -ი- ბოლოხმოვნთან სახელზე დართვისას კარგავს მარცვლიანობას და ბოლოკიდურთან ერთად ქმნის დიფთონგებს აჟ, ეჟ, ოჟ, უჟ.

ახალ სალიტერატურო ქართულში დიფთონგები დაიშალა, აღარ გვხვდება. გასარკვევია, როდის დაიწყო მონოფთონგიზაციის პროცესი და იჩენს თუ არა იგი თავს ოთხივე დიფთონგის მიმართ ერთნაირი სიძლიერით.

I. კვეცადი სახელები

დიფთონგი აჟ: საზოგადო სახელებში აჟ დიფთონგი შემთხვევათა უმრავლესობაში უცვლელადაა წარმოდგენილი, მისი მონოფთონგად ქცევის მხოლოდ ერთეული შემთხვევები გვხვდება:

ა) სახელობით ბრუნვაში: მეციით მე შენ დობა A 19, 44, 7; იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვრება შენი A 1109, 47 v, 3; ეცა მას ლხინება გამოსლვ. 8, 15; არა უნდა განმხილებს მისი მ 1, 19 C; არა იხილოს რამე ი 5, 19 D (შდრ. რაჟმე, იქვე E).

ბ) ზოგჯერ ა აღარ ჩანს ემფატიკური ა-ს შემდეგ ნანათესაობითარ სახელობითში: ქალაქი არს დიდისა მეუფისა მ 5, 35 C (შდრ. ქალაქი არს მეუფისა დიდისაჟ, იქვე DE); სალმობაჟ გულისა ჩემისა S 1138, 41 r, 5; მანდრაგურიცა ძისა ჩემისა

მიმილია დაბად. კა, 15; ჯმისა ჩემისა ისმინონ ი 10, 16 D (შდრ. ჯმისა ჩემისაჲ ისმინონ, იქვე E); ლელვისა ამის მ 21, 21 D (შდრ. ლელვსაჲ, იქვე E).

ხმოვანთუძიანი კვეცადი საზოგადო სახელები. ჩვეულებრივ, მოიკვეცენ ხოლმე ფუძისეულ ხმოვანა ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში. ასეთ დროს, ცხადია, დიფთონგი არაა მოსალოდნელი და არცა გვაქვს. მაგრამ ზოკჯერ საზოგადო და გეოგრაფიული სახელების ბოლოკიდური ა უცვლელად აილავს სახელს ნათესაობითშიც და მოქმედებითშიც; ბრუნვის ნიშნისეული ჟ-ს დართვისას წარმოიქმნება დიფთონგი, რომელიც უმთავრესად დაუშლელადაა შენარჩუნებული.

ეკლესია — ეკლესიაჲსა || ეკლესიისა: შეილნო წმიდისა ეკლესიაჲსანო A 9ა, 3, 6; ხუცესთა ეკლესიაჲსათა საქმ. მოციქ. თ. 20, 17 C (შდრ. ძკრის ყოფად რომელთამე ეკლესიისაგანთა, იქვე თ. 12, 1 C).

გუგა — გუგაჲსა || გუგისა: გუგაჲთა თუალისაჲთა A 19, 427, 13 (შდრ. გუგისა A 95, 764).

წინწილა — წინწილაჲსა || წინწილისა: იმღერდეს წინწილაჲთა 2 მეფ. 6, 5 (შდრ. ჯმაჲ წინწილისაჲ, დანიელ 3, 15).

გეჰენია — გეჰენიაჲს || გეჰენიის: ნაშობ გეჰენიაჲს მ 13, 15 C; ასევე: მ 23, 33; ნაშობო გეჰენიაჲსო კიმ. I, 146, 5 (შდრ. სარკჷ გეჰენიისა მის ცეცხლისაჲ კიმ. I, 144, 28).

კილიკია — კილიკიაჲსაჲ || კილიკიისაჲ: უფსკრული იგი კილიკიაჲსაჲ საქმ. მოციქ. თ. 27, 5 C; კილიკიაჲთა Sin 39, 11 (შდრ. კილიკიისაჲ, საქმ. მოციქ. თ. 27, 5 I).

ასია — ასიაჲსაჲ || ასიისაჲ: ასიაჲთა კერძო A 19, 256, 18; მკვდრთა ასიაჲსათა ესმა საქმ. მოციქ. თ. 19, 10 C (შდრ. ასიისათა, იქვე I)⁶⁶.

იშვითად დიფთონგი გამარტივებულია: ზღუს კიდესა მას გალილეასასა მრ 1, 16 C (შდრ. ზღუს კიდესა გალილეაჲსასა მ 15, 29; ესე არს... იესუ ნაზარეთით გალილეაჲსაჲთა მ 21, 11).

⁶⁶ გვაქვს დიფთონგიზებული და ბოლ-ხმოვანმოკვეცილი ფორმები: გუგა-ჲს || გუგ-ის. ამოსავალი ორივეს ერთი აქვს: გუგა-ი ს. დიფთონგიზაცია და კვეცა ორი დამოუკიდებელი პროცესია და ორივე ერთად მხოლოდ ა და ე ბოლოხმოვნიან საზოგადო სახელებს ახასიათებს (საკითხავია, რატომ არ იკვეცება საკუთარი სახელების ა და ე ხმოვნები; რით აიხსნება ო და უ ხმოვნების უკვეცელობა). პროცესთა ასეთი სხვადასხვაობის საფუძველი დასადგენია.

ჩანს აჲ დიფთონგის გამარტივების პროცესი დაწყებულია.

თუ გავიხსენებთ ე ფუძიან საზოგადო და საკუთარ სასელთა ჩვენებას სახელობითსა, ნათესაობითსა, მოქმედებითსა და ნანათესაობითარ ბრუნვებში და ე ფუძიან ზედსართავ სახელთა ხარისხის ფორმებს, ნათელი გახდება ეჲ დიფთონგის გამარტივების ძლიერი ტენდენცია.

II. უკვეცელი სახელები

აქ შედის საკუთარი და ო და უ ფუძიანი საზოგადო სახელები.

1. სააუთარი სახელები

ა) დიფთონგი აჲ: საზოგადო სახელთა მსგავსად აჲ დიფთონგი შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში უცვლელადაა წარმოდგენილი.

გვაქვს: იე ფთაქსთჳს S 1138, 167 r, 3; მაკრინაქსთჳს A 19, 300, 28; ევაქსსა A 95, 13, 30; ჯელითა ბარნაბაქსითა Sin 39, 31 v, 23; ჰეროდიაქსა Sin 26, 134 r, 5.

სისტემატურადაა წარმოდგენილი დიფთონგი ოთხთავის შატბერდულ ხელნაწერებშიც. აქ მხოლოდ ერთეული შემთხვევა გვხვდება აჲ დიფთონგის გამარტივებისა და ისიც მხოლოდ ადიშის ოთხთავში: დასისა მისგან აბიასილ 1, 5 C⁶⁷ (შდრ. შემდგომად დლითი დღედისა მის მსახურებისა აბიასსა, იქვე DE).

იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება აჲ დიფთონგის ნაცვლად ა მონოფთონგი სხვა ხელნაწერებშიც: იშვა ანასგან Sin 26, 143, r, 3; ბქენი იუ დასნი ესაიასი 28, 8; მონამან... ცოლისამან სეიდასმან კიმ. I, 166, 38.

დიფთონგი დაშლილი ჩანს სახელში იაროს ← იაქროს: სახელით იაროს მრ 5, 22 DE (შდრ. იაქროს, იქვე C).

ზოგჯერ იკარგვის სახელობითისეული ჯც: ძქქანანისა III მეფ. 22, 24; ძქ იოსათათისა IV მეფ. 8, 16.

ძველ ქართულში პარალელური ფორმებია: წინაქსწარმეტყუელი და წინაწარმეტყუელი: წინაქსწარმეტყუელ იწოდოლ 1, 76 C; შდრ. რომელმან შეიწყნაროს წინაწარმეტყუელი მ 10, 41; ასევეა: წინაწარმეტყუელელებდეს Sin 39, 55v, 17;

⁶⁷ ჯრუჱის ოთხთავის გაცხოველებული ადგილი ერთგან გვაძლევს ასეთ მაგალითს ძალითა ელიასითა ლ 1, 17 D, შდრ. ძალითა ელიაქსითა, იქვე EC.

წინაწარმეტყუელა მათოჲს 128 v, 13. ეს უკანასკნელი დიფ-
თონგის დაშლისა და ბგერის დაკარგვის შედეგად ჩანს მიღებული:
წინააწარ → წინასწარ → წინაწარ.

საინტერესოა წარწერებში აი დაწერილობა მოსალოდნელი
აა-ს ნაცვლად: დაწესე სული ფარაისი (მეჯუდის წარწერა);
სახელითა ღმრთისათა და მეოხებითა წმიდისა ღმრთის მშო-
ბელისათა⁶⁸; მე... ავაშენე ესე წმიდაი ეკლესიაი სავანისა
(სავანის წარწერა).

ასეთი რამ არც ხელნაწერებისთვისაა უცხო. მაგ., უდაბნოს
მრავალთავეში იკითხება: რომელ იგი პირველ ევაისგან წყევამ
იქმნა 47 v, 29.

მეთორმეტე საუკუნისა და შემდეგდროინდელ წარწერებში
აი დაწერილობა სშირია: ძალითა ღვთისათა (ზარზმის მონას-
ტრის წარწერა); მზე ქრისტეანობისაი (დავით აღმაშენებლის
წარწერა); მოწყალებითა ღსათა (ქობერის წარწერა); ზედა-
ით (იქვე); ეკლესიაი ესე (იქვე); ესე ბრძანებაი (არხოტის
ქვის წარწერა)⁶⁹; ნებითა ღმრთისათა (იქვე); მიწაი (გარეს-
ჯის წარწერა).

ბ) დიფთონგი **ოა**: ჰაბოა A 19, 420, 3; A 1109, 8 v, 29;
კრონოჲს, იქვე 30 r, 26; ირიდოჲსი 30 r, 25; დიოსკო-
რიდოჲსი A 19, 215, 24; ნინოჲსი, იქვე 38ა, 30; აპო-
ლოჲსი S 1138, 55 r, 3; იოსტოჲსსა საქმ. მოციქ. თ. 18, 7 ო.

გ) დიფთონგი **უა**: საკუთარი სახელი იესუ ხანშეტ ლექცი-
ონარში სულ ოთხჯერ გვხვდება ნათესაობითი ბრუნვის ფორმით
და ოთხივეჯერ დიფთონგს სრულად წარმოგვიდგენს. ასევეა სხვა
ხელნაწერებშიც, მაგრამ არის გამონაკლისიც: იესუს თანა მ 9,
10 CD; ასევეა: მ 8, 34 D; მ 14, 1 CD; მ 15, 30 CD; ლ 19, 3 C.

2. საზოგადო სახელები

ა) დიფთონგი **ოა**: შემთხვევათა დიდი უპირავლესობა დიფ-
თონგს (უცვლელად წარმოგვიდგენს: სახელობით ბრუნვაში: ზეთის
ხილი მსხმოა Sin 20, 36 v, 2; სული პითონოა A 95, 134,
25; მარტოა A 1109, 23 r, 4; საბქოა A 19, 178, 32. ნათე-

⁶⁸ E. Такайшвили, Шепяк, Арх. экскурсии, вып. IV, 1913, 88. 18.

⁶⁹ საქართველოს სახ. მუზეუმის კართულ ეპიგრაფიკულ ძეგლთა კატა-
ლოგი, 1953, № 58.

საობით ბრუნვაში: სიტყოვას მისგან Sin 39, 85 v, 3; გან-
ვარდა სამწყსოვასგან A 95, 314, 13; ასევე: A 19, 235, 21;
S 1138, 154 r, 3; ლ 8, 3; ი 10, 5; გამოსლვ. 2, 15; კიბ. II, 45,
30; მოქმედებით ბრუნვაში: სიტყოვათა ძილისათა A 19, 206,
3; ოქროვთა შეამკო, იქვე 283, 9; წყაროვთა სისხლისათა
მრ 5, 25 f.

დიფთონგის დაშლის პროცესი რომ დაწყებულია, ჩანს ო
ფუძიანი სახელებიდანაც. ზოგჯერ მოსალოდნელი ო-ს ნაცვლად
გვაქვს მხოლოდ ო პირმშო A 95, 55, 19; წყარო იგი ცხო-
ველი Sin 20, 46 v, 15; წყობა სამარადისო A 19, 457, 23;
მიიღეს თითო დრაჰანი მ 20, 9 DE (შდრ. თითოვ სატირი,
იქვე C); გარეშესა მის ეზოსა მრ 14, 68 D; უდაბნოს გარშ
A 19, 297, 16; საუქუნოსა მის A 1109, 8 v, 4.

სარისხის გადმომცემი სიტყვა „უფროვსი“ ჩვეულებრივ დიფ-
თონგს შეიცავს, არის შემთხვევები დიფთონგის გამარტივებისაც:

ხუფროს ამით ხადუმბდეს. ხანმ. მრ. 149, 7; 143, 1; 148, 7
(შდრ. ხუფროვსად, იქვე 149, 15); რაოდენად ხუფროს მა-
მამან მოგცეს ხანმ. ძეგ. ტფ. უნ. მოამბე, II, გვ. 377 (შდრ.
ხუფროვს, იქვე გვ. 379); რომელ უფროს სასწრაფო არიან Sin
39, 44 v, 16: სული უფროს არს საზრდელისა ლ 12, 23 D;
უფროს მისა არს ლ 7, 28 C; რად უფროს არს მ 23, 19 C; სული
უფროს არს საზრდელისა ლ 12, 23 C (შდრ. უფროვს მ 27, 24).

არის ასეთი შემთხვევაც: რომელთამე ორბეოცი წელი არს
და რომელთამე მცირედ უმცროს კიბ. I, 31, 25.

ზოგიერთი ხელნაწერისათვის უცხოა პარალელური ფორმები-
უკლებლივ ო-ს დიფთონგი გვაქვს, მაგალითად, S 1138 ხელნაწერში.
ეს ფაქტი მით უფროს საგულისხმოა, რომ იმავე ხელნაწერში.
ე ფუძიანი სახელების ხარისხი უკლებლივ ე-თია წარმოდგენილი:
უმჯობესი, უდიდესი.

ბ) დიფთონგი უ-ს: იშვიათად გამარტივებულია და გვაქვს:
ძუძუს მტშ საქმ. მოციქ. თ. 13, 1 C (შდრ. ძუძუს მტშ,
იქვე ლ; გამოარჩია ძუძუს მტშ მისი შუშ. 155, 24).

დიფთონგის დაშლის პროცესი -ს დაკარგვას გულისხმობს.
-ს ნიშნის შესაბამისი ბგერა ენაში გაქრობას იწყებს, -ს ასოს კა-
ნონზომიერი ხმარების აუცილებლობა იზღუდება. თუ ბგერა ქრება,
ნიშანიც უნდა გავიდეს ხმარებიდან, მაგრამ -ს ბგერის გაქრობის
მხოლოდ პროცესია დაწყებული. ეს ნიშნავს: -ს წერდნენ და მას
შეესაბამებოდა კიდევ -ს ბგერა, ზოგან არ წერდნენ და, ცხადია,
არც ბგერა იყო. მაგრამ სავარაუდებელია, რომ ზოგჯერ -ს-
48

წერდნენ ძველი ორთოგრაფიული ტრადიციის თანახმად, ოღონდ აღარ გამოთქვამდნენ.

ყოველივე ამას თან უნდა მოჰყოლოდა **ა** ნიშნის ბუნების გაუგებრობა — მისი არაკანონზომიერი ხმარება, რაც ნეტ-ნაცლებად თავს იჩენს ხელნაწერებსა და ეპიგრაფიულ ძეგლებში, მაგ.:

1. **ა**-ს შემდეგ: საადღუმლო *Sin* 26, 3 v, 11; საადღუმლოთა *Sin* 20, 37 r, 7; ადძულეს ლ 24, 29 C; დააბანე ი 9, 11 D; აადღეთ მ 11, 29 C; დააღევე მამათა სწ. 4, 7 C; დააწერენ, იქვე 4, 14 C; შთააგტაცა კიმ. II, 210, 9; დაადგინეს კიმ. II, 215, 37; დააფარენ კიმ. I, 199, 9; დააღვენ (ოშკის მონასტრის წარწერა).

მსგავსი მოვლენა გვაქვს XIII ს. წარწერაშიც: დააესუა კელი ესე (გუნი-ყალას წარწერა).

2. **ე**-ს შემდეგ: რომელი საფლაგმან შეაღევა *Sin* 20, 82 r, 19; შეაღერთე, იქვე 71 v, 19; შეაღება, იქვე 53 v, 18; შეაწყნარეს, იქვე 33 v, 16; შეაგოსენ, იქვე 32 r, 8; შეაგრაგბე, იქვე 26 v, 14; შეაგთხინეს, იქვე 2 r, 5; შეაგრიბა კიმ. II, 159, 28.

3. **ო**-ს შემდეგ: მოაგთხოვა კიმ. I, 199, 12; მოაგყვანენ, იქვე 199, 32; მოაგხუნენ, იქვე 199, 33; მოაგქო მამათა სწ. 4, 27 C; მოაგპე, იქვე 4, 26 C; უკმოაქცეს კიმ. II, 156, 14.

4. **ა**-ს არაკანონზომიერი ხმარების სხვა შემთხვევებია: ხუცესთა ეკლესიასათა საქმ. მოციქ., თ. 20, 17 D; რომელთამე ეკლესიასაგანთა, იქვე 12, 1 D; ახარებდ *S* 425, 38 v, 21.

მსგავსი მოვლენა შეინიშნება XII საუკუნისა და შემდეგდროინდელ წარწერებშიც: მაგობე (უბე); მამძლაგრებით წანალები (ქობერის წარწერა); შეწევენათა (იქვე); მეგობებათა (იქვე); მეზურათა (იქვე); კელი... მეფეთ-მეფისა გიორგასი (გუნი-ყალას წარწერა); მათათა (განანის წარწერა).

განხილული მასალის ჩვენებიდან ჩანს:

1. დიფთონგის დაშლის პროცესი დაწყებულია.

2. ხშირია. **ეა** დიფთონგის გამარტივების შემთხვევები, შედარებით მყარია **აა**, **აბ**, **უა** დიფთონგების პოზიცია. განსაკუთრებით ფასეულია -**ე** და -**ა** ბოლოსართიან სახელთა ხარისხის ფორმების შედარება: შეუღარებლივ ქარბობს **ეა** დიფთონგის გამარტივების შემთხვევები.

3. მონოფთონგიზაციის პროცესის შედეგია *შ*-სა და *ჟ*-ს პარალელური ხმარება თეორიულად მოსალოდნელი ემ დიფთონგის ნაცვლად და *შ* და *ჟ* ნიშანთა გრაფიკული აღრევა; წარმოქმნაში მომხდარი ცვლილება უძვეეს საფუძვლად *ჟ*-ს არაკანონზომიერ ხმარებასაც.

ასიმილაცია

ძველი ქართული ენისათვის ასიმილაცია ერთ-ერთი დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენაა. აქ მოქმედებს ასიმილაციის სხვადასხვა სახე — პროგრესული და რეგრესული, კონტაქტური და დისტანციური, სრული და ნაწილობრივი. ასიმილაციის შედეგად იცვლება ბგერის წარმოების ადგილიცა და ბგერის რაგვარობაც⁷⁰.

I. თანხმოვანთა ასიმილაცია

1. პროგრესული სრული დისტანციური ასიმილაცია

უძღული ← უძღური: უძღული S 1138, 480 r, 6; ფრიად არიან უძღულ, იქვე 73 r, 4; შდრ. უძღური მ 25, 39.
ლმოზიელი ← ლმოზიერი: ლმოზიელთა ესაიაჲსი 21, 10.

2. რეგრესული სრული დისტანციური ასიმილაცია

შიშთვილი ← სიშთვილი: შიშთვილი-ბა მ 27, 5 DE; შიშუდილი-ბა, იქვე C; შიშდული იპოლიტე, გვ. LI.
შაშუეალ ← საშუეალ: ორთა ამათ თუეთა შაშუეალ მარტსა იოანე ბოლნ. 2, 17.

3. რეგრესული ნაწილობრივი კონტაქტური ასიმილაცია

ა) შჯ ← სჯ

შჯა ← სჯა: საშჯელსა ხანმ. ლექც. 060, 20; დამშჯელო A 19, 354, 28; დაშჯილთა, იქვე 9, 21; ვიშჯოდი, იქვე 18, 15; A 95, 19, 7; დასაშჯელად, იქვე 21, 16; საშჯელად A 1109, 2 v, 19; გიშჯიან თავნი Sin 39, 38 v, 10; საშჯელითა კიმ. II, 184, 34; წყაროსა მას საშჯელისასა

⁷⁰ ცალკე წარმოვადგენთ ასიმილაციის შემთხვევებს ბგერათა მდგრობა-სიყრუის მიხედვით.

დაბად. 14, 7; ეშჯინ მას A 19, 284, 1; ასევე: 480, 25; 58, 6; მოვიდეს განშჯად A 1109, 37 v, 31; ეშჯოდა და ეტყოდა A 19, 284, 1.

შჯული ← სჯული: უშჯულოებათა ხანმ. მრ. 127, 9; შჯულისაჲ A 19, 29, 30; ასევე: 28, 21; 10, 26; შჯულსა S 1138, 35 v, 14; შჯული A 95, 314, 17; შჯულიერიოთა საქმ. მოციქ. თ. 19, 39 C.

მშჯავრი ← მსჯავრი: მშჯავრი ესაიადსი, 32, 16; უმშჯავროთა ბქობითა Sin 20, 89 v, 9.

ასიმილაციას განიცდის სუბიექტური და ობიექტური პრეფიქსი ხანიც: დაშჯდე Sin 20, 90 r, 14; ასევე: 92 r, 2; 102 v, 10; 112 v, 15; დაშჯედი კიცუსა ზედა Sin 26, 89 v, 12; დაშჯეღდების A 95, 29, 29; შჯობდა A 19, 221, 31; Sin 26, 94 r, 13.

არაასიმილირებული სჯ იშვიათია: დასასჯელად A 19, 329, 13; დასასჯელ Sin 26, 187 r, 13; დღესა მას სასჯელისასა მ 10, 15 D; ასევე: ი 5, 29 C; მ 7, 2 C; სჯულსა Sin 26, 127 r, 18; სჯულისაჲ მ 23, 23 C; სჯულისა A 1109, 18 r, 20; სჯიდეთ ლ 22, 30 C; დასჯდე Sin 26, 184 r, 16.

საგულსხმოა დისტანციური ასიმილაციის შემთხვევა: საშჯელი შაჯეთ ი 7, 24 C.

ბ) შჩ ← ხჩ

შჩან ← ხჩან: შჩან A 19, 226, 9; გამოშჩნდე, იქვე 324, 26; შჩნდეთ S 1138, 121 v, 17; გამოშჩნდი A 1109, 24 r, 22; Sin 26, 13 r, 12; ასევე: 15 v, 17; 19 v, 9; 47 v, 2; შჩნდე კიმ. II, 99, 7.

გ) შჭ ← ხჭ

სამშჭუალი ← სამსჭუალი: სამშჭუალი A 19, 165, 15; შემშჭუალული, იქვე 98, 17; შემშჭუალეს ჯუარსა A 9ა, 105, 10; ასევე: 128, 19; 145, 17; შემშჭუალეთ Sin 39, 2 v, 10.

შჭამ ← სჭამ: შჭამ A 19, 279, 26; შჭამთ S 1138, 61 r, 9; A 95, 3, 15; შჭამე Sin 26, 31 v, 7; შეშჭამდეს Sin 39, 96 r, 12; შეშჭამენ ლ 20, 47 R; მრ 12, 40; შეშჭამდეს დაბად. 40, 17; 45, 18.

შკირს ← სკირს: შკირდა A 19, 121, 21; შკირ-
დეს Sin 39, 97 r, 14; შეშკირდა მას კიმ. II, 161, 33.

დაჰშკრიდენ ← დაჰსკრიდენ: დაჰშკრიდენ
ქმლებსა კიმ. II, 150, 8.

იზიათად ხე კომპლექსი უცვლელადაა წარმოდგენილი: ჰხე-
დვიდა შემსქუალულსა A 19, 99, 18; დაემსქუალა
იოანე ბოლნ. 4, 3; სამსქუალთა A 1109, 45 r, 17; შეგმს-
ქუალეს Sin 26, 213 v, 2; რაჲ სქამოთ მ 6, 25 C.

განხილული მაგალითებიდან ჩანს: სჯ, სჩ, ხე კომპლექსებში
ს ქვეულია შ-დ მომდევნო ჯ, ჩ, ჰ ბგერათა გავლენით. ასიმილა-
ციის ძალა ამ კომპლექსებში იმდენად ძლიერია, რომ ამოსავალი
ფორმა თითქმის განდევნილია ხმარებიდან.

ძველ ქართულში დადასტურებულია კომპლექსი რჩ სიტ-
ყებში: რჩული, სარჩელი...

რჩული იგივეა, რაც სჯული || შჯული: ვაჲ თქუნდა,
შჯულის მოძღუართა ლ 4, 52. სხვა ხელნაწერში რჩული-
ა ნახმარი: ვაჲ თქუნდა, რჩულის მოძღუარნო, იქვე C.

ლექსიკოგრაფი საბაძ აღნიშნავს: შჯული, სჯული, რჯუ-
ლი, რჩული ყოველივე ერთი და იგივე არიან.

იგივე ითქმის სარჩელი-სა და სასჯელი-ს შესახებ: ამათ
მიიღონ უმეტესი სასჯელი ლ 20, 47 DE; შდრ. მიიღონ
უმეტესი სარჩელი, იქვე C.

შჯული რეგრესული ასიმილაციის შედეგად მიღებული
ფორმაა, სჯული და რჯული კი ს- და რ- პრეფიქსთა მონაც-
ვლეობის შედეგია.

ძველ ქართულში რჩულ-თან ერთად შეიძლებოდა გვეპოვოდა
სჩული-ც (შდრ. სჯული || რჯული; სთველი || რთველი;
სძალი || რძალი...).

საინტერესოა, რა მიმართებაა სჯ- და სჩ- კომპლექსებს
შორის?

ა. მარტიროსოვის აზრით, „ძველ ქართულში სჯულ-მა
მოგვცა ორგვარი განშტოება; ერთი მხრით, ჯ-სთან ს იქცა შ-დ
და შჯული მივიღეთ (ს და რ-ს მონაცვლეობის გამო კი სჯულ-
მა შემდეგ რჯული მოგვცა), მეორე მხრით კი, ჯერ ს-სთან
ჯ იქცა ჩ-დ ნაწილობრივი ასიმილაციის გამო და შემდეგ ს-სა და
რ-ს მონაცვლეობის შედეგად რჩული და აქედან ნაწარმოები
სხვა ფორმები მივიღეთ“⁷¹.

⁷¹ ა. მარტიროსოვი, კილ-ეტრატის იადგარის ორთოგრაფიული და-
ფონეტიკური თავისებურებანი, 1941, გვ. 49.

თანხმოვანთა ასიმილაციის შემთხვევათა განხილვიდან ჩანს:

1. ნუნისმიერი ბგერა რ საესებით ემსგავსება წინამავალ ლ ბგერას.

2. წინანუნისმიერი სისინა ხ იცვლება უკანანუნისმიერ შიშინა შ ბგერად ასეთივე ჯ, ჩ, ჭ ბგერათა გავლენით; იგივე ხ ბგერა ზოგჯერ საესებით ემსგავსება მომდევნო შიშინა შ ბგერას.

3. თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია იშვიათია, რეგრესული კი—შედარებით ხშირი.

თუ აქვე გავითვალისწინებთ ისტორიული ასიმილაციის შემთხვევებსაც, სადაც პროცესი არაა გამჭვირვალე თვით ძველ ქართულშივე (მაგ.: შეშა ← * სეშა; შიში ← * სიში; ცეცხლი ← * სეცხლი) და სუბიექტური და ობიექტური პრეფიქსის სახეცვლილებებს მომდევნო ბგერათა გავლენით (ა. შანიძე), ნათელი გახდება ასიმილაციის კანონის მოქმედების ძალა.

დისიმილაცია

დისიმილაციას ადგილი ჰქონდა ძველ ქართულ წარმოთქმაშიც. იგი ერთნაირი ან მსგავსი ბგერების განმსგავსებაში მდგომარეობს და თავს იჩენს როგორც თანხმოვნებში, ისე ხმოვნებშიც.

საკითხავია:

1. რომელი ბგერა იცვლება და რით დისიმილაციის შედეგად? 2. რა მიმართულების დისიმილაციაა უპირატესად ნიშანდობლივი ძველი ქართულისათვის?

I. თანხმოვანთა დისიმილაცია

1. პროგრესული მიმართულების დისტანციური დისიმილაცია

ა) რ — რ → რ — ლ

ქურქერი → ქურქელი: ქურქელ ეშმაკისა იქმნა იგი A 19, 47, 28; ქურქლად, იქვე 355, 29; ასევეა: 343, 19; ქურქლისა გამოსლვ. 12, 37; ქურქელსა მ 13, 48 C; ქურქელი Sin 39, 82 v, 4; ქურქელისა ა კიმ. I, 170, 32; შდრ. ქურქერი A 19, 218, 29; S 1136, 137 v, 20; დაბად. 27, 3; ქურქერნი A 95, 44, 29; ქურქერსა მ 13, 48 DE; ქურქერის სასყიდელი კიმ. II, 215, 15; ასევეა: 156, 35.

გრიგორ → გრიგოლ წმიდისა გრიგოლისი A 95, 60, 17; გრიგოლი A 19, 268, 25; ასევე: 75, 26; გრიგოლ (ოშკის მონასტრის წარწერა); შდრ. გრიგორი ჰაემ. ტექსტ., გვ. 364; ასევე: A 95, 69, 12; A 19, 75, 4; 53, 21; კიმ. I, 144, 15; 143, 4.

საგულისხმოა, რომ რ არ არის დისიმილირებული სახელში შერგირ XIII საუკუნის წარწერაში: ერისთავთ ერისთავი შერგირ დადიანი (ხობის მონასტრის წარწერა).

მარტვრი → მარტვლი: მარტვლნი A 19, 411, 16; აღშენებად სამარტვლესა მისსა A 95, 128, 11; იმარტვლა S 1138, 2 v, 12; მარტვლთა A 1109, 12 v, 16; ასევე: 1 r, 3; მარტვლთანი A 95, 82, 22; მარტვლი კიმ. I, 171, 26; შდრ. მარტვრობაჲ S 1138, 2 r, 13; მარტვრობით A 19, 368, 2; მარტვრად A 95, 315, 15; იმარტვროსო A 1109, 49 v, 18; სამარტვროსა კიმ. I, 173, 15 და ბერძნული μαρτυριος.

მარგარიტი → მარგალიტი: რომელი ეძიებნ კეთილთა მარგალიტთა მ 13, 45 C; მარგალიტი მ 13, 46; შდრ. ბერძნ. μαργαριτης.

ორჯერ → ორჯელ: აპოლონი ორჯელ დაიმუსრა კიმ. I, 148, 21; შდრ. ერთჯერ ხოლო შევიდის A 19, 29, 10; ერთჯერლა კიმ. I, 148, 25.

არმური → არმული: მოვიდა ზემ ზედა არმული ბნელი Sin 26, 215 r, 20; შდრ. ესე არიან არმურნი Sin 39, 112 r, 9; ასევე: 1 r, 2; არმურისაგან A 19, 80, 6; არმური ბნელისაჲ A 19, 180, 26; ასევე: დაბად. 19, 28; გამოსლვ. 10, 22; ლ 8, 23; საქმ. მოციქ. თ. 13, 11 C.

არმური ასიმილაციით მიღებული ფორმა უნდა იყოს: აღმური → არმური. საგულისხმო ფაქტია: სიტყვაში ორი რ-ს წარმოდგენა ფონეტიკური ცვლის შედეგია.

*უფსკრური → უფსკრული: დაინთქას იგი უფსკრულთა ზღვსათა მ 18, 6.

*ურწყური → ურწყული: მიმოვალთ ურწყულთა ადგილთა მ 12, 43; ლ 11, 24.

*სარწყური → სარწყული სარწყული არა გაქუსი 4, 11 C.

ძველ ქართულში იხმარება სიტყვა საწყაული საწყაოს მნიშვნელობით: რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუენ მ 7, 2; იფქლსა უწყვიდა საწყაულით დაბად. 47, 12.

სავარაუდოა, საწყაულ-ში ლ დისიმილაციის შედეგადაა მიღებული. ეს ნიშნავს: ამ სიტყვის ფუძეშიც გვექონდა რ: *სარწყაური → *სარწყაული → საწყაული⁷⁴.

ამდენად, სარწყული და საწყაული ერთი ძირის შემცველი სიტყვებია: *სარწყაური → *სარწყაული $\begin{cases} \nearrow \text{სარწყული} \\ \searrow \text{საწყაული} \end{cases}$.

სარწყული დისიმილაციისა და რედუქციის შედეგადაა მიღებული, საწყაული კი დისიმილაციისა და ბგერის დაკარგვით.

თავდაპირველად ორივე იხმარებოდა წყლის ქურჭლის მნიშვნელობით; ამ მიზრე საგულისხმოა მათი პარალელური ხმარება ხელნაწერებში, მაგ.: თქუენცა აღავსეთ სარწყული მამათა თქუენთაჲ მ 23, 32; შდრ. თქუენცა აღავსეთ საწყაული, იქვე C. ძველ ქართულშივე მოხდა მნიშვნელობის დიფერენციაცია: სარწყული აღნიშნავს საწყლე ქურჭელს, საწყაული კი — საწყაოს.

ბ) რ — რ → რ — ნ

ორი რ ბგერიდან ერთ-ერთს რომ ზოგჯერ ენაცვლება ნ ბგერა, შენიშნული აქვს ნ. მარს სომხურიდან თარგმნილ X საუკუნის ხელნაწერში: «Иногда особенность формы возникает на грузинской почве, так грузинский язык избегает двух r в одном слове, почему арм. *shatakagar* в грузинском тексте читается *მატაკარანი* (в новогрузинском мы ожидали бы *მატაკარალ-ი*)»⁷⁵.

ამგვარად, მატაკარარი → მატაკარან-ად პროგრესული დისიმილაციით. ასეთი ფორმითაა ეს სიტყვა შეტანილი საბას ლექსიკონშიც: მატაკარანი მზარეულთუხუცესი და დამოწმებულია დაბად. 39, 1.

ა. შანიძის აზრით, დისიმილაციის შედეგადაა რ თანხმოდანი შეცვლილი სიტყვაში გვირგვინი⁷⁶: გვრგვნოსან გყო A 95, 313, 16; შეთბზეს გვრგვნი მ 27, 29.

გ) ნ — ნ → ნ — ლ

ძველ ქართულში გვაქვს სიტყვა ლანკნა: ვინაჲ უდაბნოსა ზედა ლანკნაჲ A 19, 443, 6; ლანკნასა მრ ნ, 25 C. აქედან უნ-

⁷⁴ საგულისხმოა გურულში დადასტურებული რწყვა, დარწყვა, ჯარწყული საწყაოთი დახომვის, საწყაოთი დახომილის, აწყულის მნიშვნელობით.

⁷⁵ H. M a p p, TP, VI, 1904, გვ. XXXVI.

⁷⁶ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 151.

და მომდინარეობდეს დისიმილაციის გზით ლანკლა: ლანკლა ა
A 19, 442, 32; სამნი ლანკლანი დაბად. 40, 16; ლანკლითა
მ 14, 11; ლანკლასა ზედა Sin 26, 134 v, 5.

დ) ლ — ლ → ლ — რ

ლელწამი → ლერწამი: ლერწამი შემუსრვილი მ 12,
20; ლერწმითა მრ 15, 19 DE.

მკელობლები → მკელობრები: მას შინა ისხა... ბრმე-
ბი, მკელობრები ი 5, 3 D; მკელობრები მ 15, 30 DE;
შდრ. მკელობელები ი 5, 3 E; ასევე: მ 15, 30 C.

მკელობლება → მკელობრება: მკელობრებასა
A 1109, 30 v, 29.

2. რაბრაუსული მიმართულების კონტაქტური დისიმილაცია

ა) მზ → მზ

ჰამზავი → ჰანზავი: მიიწია ანზავი Sin 39, 64 r, 16. ასე-
ვეა, კ. კეკელიძის ცნობით, XI ს. ხელნაწერშიც (Add 11281)⁷¹;
შდრ. განითქუა ჰამზავი მ 4, 24; სხვაგვარი ფორმა უცხოა
ოთხთავის შატბერდულ ხელნაწერთათვის.

ორი ბაგისმიერი ბგერიდან ერთ-ერთის, კერძოდ მ-ს შეცვლა
ნუნისმიერ ნ ბგერით ჩვეულებრივია უცხო წარმოშედლობის სახე-
ლებშიც:

სეკდემბერი → სეკდენბერი: სეკდენბერი A 95,
36, 5; ასევე: 31, 8; 31, 32; თუესა სეკდენბერსა A 19, 76,
5; შდრ. სეპტემბერისასა კიმ. II, 146, 5; ასევე: 186, 5; 197,
30; 198, 14; 204, 36; შდრ. ლათინური september.

ნოემბერი → ნოენბერი: ნოენბერი A 95, 36, 13;
ნოენბერსა კიმ. I, 5, 5; კიმ. II, 37, 17; შდრ. თთუესა
ნოემბერისასა კიმ. II, 171, 25; 159, 5; შდრ. ლათინური
november.

დეკემბერი → დეკენბერი: დეკენბერი A 95, 36,
13; 60, 2; დეკენბერსა A 19, 420, 22; კიმ. II, 58, 14; შდრ.
თთუესა დეკემბერსა კიმ. II, 55, 1; შდრ. ლათინური de-
cember.

⁷¹ К. Кекелидзе, Житие и подвиги св. Иоанна..., Хр. В., т. II, вып. III, 1913, გვ. 312.

ძველ ქართულში პარალელური ფორმებია სუნელი, სულელი, სურნელი. მათი ურთიერთობის თაობაზე სხვადასხვა აზრია გამოთქმული.

ა. მარტიროსოვის სიტყვით, „დისიმილაციის შედეგად გვხვდება: სურნელება და სულნელებანიც, მაგრამ ძეგლისთვის დამახასიათებელია: სუნნელება, სუნელი“⁷⁸.

ჩანს, სურნელი და სულნელი დისიმილირებული ფორმებია, მაგრამ არაა ნათქვამი, რა ფორმაა მათთვის ამოსავალი და რა მიმართებაა ამ ორ ფორმასა და სუნნელ-ს შორის.

ავტორი სხვა ნაშრომში გარკვევით მიუთითებს, რომ „ლ—ლ → რ—ლ სულნელი → სურნელი“⁷⁹ რეგრესული დისიმილაციის შედეგადო. მაშასადამე, ამოსავალია სულნელი, მაგრამ არ ჩანს, რა წარმოშობისაა თვით იგი.

ს. ჟღენტის აზრით, სურნელი მომდინარეობს სულნელისაგან რეგრესული დისიმილაციით, სუნნელი კი ასიმილაციის შედეგად მიღებული ფორმაა⁸⁰.

სუნნელი არაა ასიმილაციის შედეგად მიღებული ფორმა. პირიქით, იგია ამოსავალი დანარჩენი ორისათვის: სურნელი || სულნელი რეგრესული კონტაქტური დისიმილაციის შედეგია⁸¹.

შესაძლოა ეს ორი ფორმა ორი სხვადასხვა კილოს კუთვნილება იყოს. ერთში 55 → რნ-დ იცვალა, ხოლო მეორეში — ლნ-დ; ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ოთხთავის შატბერდულ ხელნაწერთა ჩვენება: ჯრუჟის ხელნაწერში უკლებლივ სურნელი გვაქვს, პარხლისაში კი—სულნელი.

კარგად ჩანს ქართული ენის წარმოთქმის თავისებურება — ორი ერთნაირი ბგერიდან ერთ-ერთის განმსგავსების ტენდენცია.

⁷⁸ ა. მარტიროსოვი, კილ-ეტრატის იადგარის ფონეტიკური და ორთოგრაფიული თავისებურებანი, 1941, გვ. 50.

⁷⁹ მისივე, საერთო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, იბერ.-კავკ. ენათმეცნიერება, VI, 1954, გვ. 99.

⁸⁰ ს. ჟღენტი, ქართული ენის ფონეტიკა, 1956, გვ. 230.

⁸¹ საინტერესოა საბა ორბელიანის განმარტება: „სუნნელი მრავალთა სულნელად აღუწერიათ. არა ეწოდების სულნელი, არამედ სუნნელი, ვინათგან სული ეწოდების სულსა კაცისასა, ხოლო სახელი სუნნელისა არს სუნი, ვინათგან უსუნებთ საყნოსელითა, რომელსამე ავი სუნი უვა და რომელსამე კეთილი სუნი და ნელი“.

ეგმანუელ → ევმანუელ || ენმანუელ: ევმანუელ A 19, 355, 3; Sin 26, 157 r, 21; ენმანუელ A 19, 95, 4; ენმანოელ Sin 26, 194, 17; ენმანუელ A 1109, 7, 11; მ 1, 23 C; შდრ. ბერძნული Εμμανουήλ.

3. რაბრახული მიმართულების დისტანციური დისიმილაცია

რ—რ → ლ—რ

საბრარდნელი → საბლარდნელი

სვანურ მრავალთავში გვაქვს სიტყვა საბლარდნელი: საბლარდნელი სპეტაი A 19, 135, 18; 196, 9; ეს სიტყვა ცნობილია საბასთგისაც—საბლარდნელი შესახვეველიო.

საბლარდნელი დისიმილაციის შედეგად მიღებული ფორმაა. ამოსავალია საბრარდნელი: ორი რ ბგერიდან ერთ-ერთს რეგრესული დისიმილაციით ლ ბგერა ენაცვლება.

ნათქვამს ადასტურებს ოთხთავის შატბერდული ხელნაწერი. აქ გვაქვს საბრარდნელი: მოირტყა საბრარდნელი ი 21, 7 C. ჩანს, პირველი რ ბგერა უცვლელადაა შემონახული, მეორე კი დაკარგულია კვლავ დისიმილაციური კანონის მოქმედების შედეგად.

უცვლელადაა წარმოდგენილი რთული სიტყვა ურთიერთას: ზრახვა-ყვეს ურთიერთას მ 21, 38 C.

შესაძლოა, უცვლელობას განსაზღვრავდეს სიტყვის სემანტიკური ფაქტორი „იშის გრძნობა, რომ სიტყვა რთულია, ე. ი. შედგენილია ორი (ან მეტი) სიტყვისაგან“⁸², როგორც ეს სხვა შემთხვევაშია (შდრ. ქართ. ფერ-ფური, კრელ-ქრული და სხვ.).

ორი რ-დან ერთ-ერთი არ არის დისიმილირებული უცხო წარმომავლობის სიტყვაშიც ჰურაკპარაკი: შეკრბეს ჰურაკპარაკსა ი11,47 C.

ლ — ლ → რ — ლ

წულილი → წურილი: საქმენი წურილნი ცხორებაჲ იოვ. და ეფთ. 74, 5. შემთხვევათა დიდი უნრაულესობა ამ სიტყვას უცვლელად წარმოგვიდგენს: წულილი A 95, 100, 30; წუ-

⁸² გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 203.

ლილად A 19, 197, 26; ნიავქართია წულილითა Sin 26, 31 v, 16; მწულილად გამოსლვ. 32, 20.

ძველ ქართულ ტექსტებში ერთმანეთის პარალელურად იხმარება მოსლული და მოსრული. პირველი მათგანი ასეთი წარმომავლობისაა: * მოსვალული → * მოსვლული → მოსლული; აქედანაა მიღებული დისიმილაციით მოსრული, მაგ.: მოსრული A 19, 14, 3; ი 4, 46; მოსრულნი მრ 3, 22 C; შთასრულ კიმ. II, 219, 1; შდრ. მოსლულ ლ 15, 27 C; ი 4, 47 C; მოსლული მრ 9, 1 C.

რეგრესული დისიმილაციის შედეგადაა მიღებული, გ. ა ხ ე დ ი ა ნ ი ს ა ზ რ ი თ, ს რ უ ლ ი ← * ს ლ უ ლ ი ⁸²: იყვენით თქუენ ს რ უ ლ, ე ა მამა თქუენი ზეცათაჲ ს რ უ ლ არს მ 5, 48.

დისიმილაციაა მომხდარი ამ ფუძისგან ნაწარმოებ ყველა სიტყვაში: სრულიად, აღსასრული, აღსრულება, გასრულებული, დასასრული, წარსრულება... სხვაგვარი ფორმა ძველმა ქართულმა არ იცის.

II. სმოვანთა დისიმილაცია

რეგრესული დისიმილაციითაა მიღებული ქართული ურთიერთი ← ერთიერთი : უ რ თ ი ე რ თ ა ს ს ი ყ უ ა რ უ ლ ი S 1138, 48 v, 9; შდრ. პატივისცემასა ერთიერთსა უსწრობდით, იქვე 47 r, 1; არცა განყოფითა ერთიერთსა განვაშორებთ A 19, 363, 22; 346, 10; ერთიერთისაგან ეძიებდეს, იქვე 347, 11.

ძველ ქართულში გვაქვს სუფიქსი -ეან, რომელსაც რამდენიმე ფუნქცია აქვს: აღნიშნავს ვინმესგან წარმომავლობას, ვისიმე მიმღევერობას და კუთვნილებას. იგი დაერთვის თანხმოვან და ხმოვანფუძიან საბელებს:

ა) დაიქსნენ ადამეანნი წყევისა მისგან Sin 26, 28 v, 5; კრებული ადამეანთაჲ Sin 20, 44 v, 19; ადამეანთა A 19, 390, 24; თესლო აბრამეანო Sin 26, 40 r, 12; ედემეანისა მთისაგან... მოივლინნეს A 19, 392, 23; აუგეან ყონ, იქვე 327, 5; გესლევანისა A 1109, 7 v, 8; ისრითა წამლევანითა Sin 26, 191 r, 4; კიმ. I, 110, 29.

ბ) სიტყვატა კმევანითა Sin 26, 56 r, 3; ნავი აფრევანი A 19, 185, 16; ჰეროდევანთა თანა მრ 3,6 C.

-ეან სუფიქსის დართვით მოსალოდნელი იყო გვექონოდა

⁸² გ. ა ხ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 201.

ქრისტეანი (←*ქრისტეანი), მაგრამ გვაქვს ქრისტე-
ანე.

საგულისხმო ისაა, რომ სუფიქსისეული ე ზოგჯერ e-თაა შეც-
ვლილი და ახალი ქართულის მსგავსად -იან სუფიქსი გვაქვს:
ქრისტეანე ხარ კიმ. II, 46, 25; მაგრამ: ქრისტეიანე, იქვე
46, 33; ასევეა: ქრისტეიანე იყენეს A 1109, 19 r, 16.

-იან სუფიქსი კარგა ხანს შემორჩა ენას. იგი დაცულია
XIII—XIV საუკუნეთა ძეგლების ენაშიც. მის პარალელურად -იან
სუფიქსი, ჩანს, ძველ ქართულში იხპარებოდა.

-იან სუფიქსი რომ -იან'ისაგან მომდინარეობს, საეჭვო არაა.
ცვლილების მიზეზი ხმოვანთა რეგრესული დისიმილაციაა.

ძველ ქართულში განსაკუთრებით ხშირია ხმოვანთა მონაც-
ვლეობა უცხო წარმომავლობის სახელებში. ზოგიერთი მათგანი
ბგერის არაადეკვატური აღქმის შედეგი უნდა იყოს, ზოგის საფუ-
ძველი სცილდება ქართული ენის წარმოთქმის სფეროს, ბერძი-
საც — გამოსარკვევია.

შესაძლოა დისიმილაციით იყოს მიღებული ქართულში:
ან დ რ ი ა საქმ. მოციქ. თ. 1, 13 C; შდრ. ან დ რ ე ა ჰემ.
ტექსტ. გვ. 365; შდრ. ბერძნული Ἀνδρέᾱς; ე ნ ი ა საქმ. მოციქ.
თ. 9, 34 C; შდრ. ე ნ ე ა, იქვე Ἰ, წარმოშობით ბერძნული Ἰνῆα.
ასევე: ს ო ს თ ი ნ ე საქმ. მოციქ. თ. 18, 17 D; შდრ. ს ო ს თ ე-
ნ ე, იქვე C, ბერძნული Ἰωάννης.

თანხმოვანთა დისიმილაციის შემთხვევათა განხილვიდან ჩანს,
რომ

1) დისიმილირდება ორი ერთნაირი და მსგავსი ბგერადან
ერთ-ერთი⁸⁴:

ა) რ—რ → რ—ლ || რ—ნ || ლ—რ

ბ) ლ—ლ → ლ—რ || რ—ლ

გ) მმ → ვმ || ნმ

დ) ნნ → ლნ || რნ

ე) მმ → ნმ

როგორც ვხედავთ, დისიმილაცია ეხება სონანტ თანხმოვნებს
რ, ლ, მ, ნ. დისიმილაციის ფაქტი შეცვლით ვლინდება⁸⁵: რ
ბგერას ენაცვლება ლ, ნ ბგერები, ლ ბგერას, პირიქით, რ ბგერა,
მ ბგერას—ნ, ვ ბგერები, ნ ბგერას — ლ, რ ბგერები. ამგვარად,
მონაცვლე ბგერებია ლ, ნ, რ, ვ. შედეგი ისაა, რომ ერთნაირი

⁸⁴ ცალკე განვიხილავთ დისიმილაციის იმ შემთხვევებს, რომლებიც ეხება
მსგავს ყრუ ბგერათა და მსგავსი მჟღერი ბგერების განმსგავსებას.

⁸⁵ ცალკე განვიხილავთ დისიმილაციური დაკარგვის შემთხვევებს.

ბგერების ნაცვლად მსგავსი ბგერები გვაქვს; მსგავს ბგერათა დისიმილაციით კი, რომელიც ჩვეულებრივ კონტაქტურია, ვლუბულობთ უფრო მეტად განსხვავებულ ბგერათა კონკლექსს.

2) ი. ყიფშიძის გამოკვლევით, „მეგრულში ჯერჯერობით შემჩნეულია მხოლოდ პროგრესიული დისიმილაციის შემთხვევები... ხოლო ქართულში ადგილი აქვს უმთავრესად რეგრესიულ დისიმილაციას, მაგრამ არის პროგრესიული დისიმილაციის შემთხვევებიც“⁸⁶.

ავტორს მოჰყავს საილუსტრაციო მაგალითები მეგრულიდან და ქართულიდან, აღნიშნავს ქართული წარმოთქმის დამახასიათებელ მოვლენას—სიტყვაში ორი რ-დან ერთ-ერთის განმსგავსებას, ასახელებს პროგრესული და რეგრესული დისიმილაციის ნიმუშებს⁸⁷ და დაასკვნის: „ამგვარად, ქართულსა და მეგრულში თუმცა ყველა სახის ასიმილაცია და დისიმილაცია გვხვდება, მაგრამ უპირატესნი და დამახასიათებელნი არიან: რეგრესიული ასიმილაცია და პროგრესიული დისიმილაცია“⁸⁸.

საკითხავია შემდეგი: თუ მეგრულში მხოლოდ პროგრესული დისიმილაციაა შემჩნეული, როგორ გავიგოთ იმავე მეგრულში ყველა სახის დისიმილაციის არსებობა. ამავე დროს: თუ ქართულში ადგილი აქვს უმთავრესად რეგრესულ დისიმილაციას, როგორღაა იმავე ქართულისთვის დამახასიათებელი უპირატესად პროგრესული დისიმილაცია?

გ. ახვლედიანი აზრით, „ქართულში სონორულთა დისიმილაცია მეტადაა გავრცელებული თავისი რეგრესული სახით, ვიდრე პროგრესულით“⁸⁹. ის ფაქტი, რომ სუფიქსების -ურ-, მ—არ, -იერ-ის რ დისიმილირებულია პროგრესულად, განპირობებულია სემანტიკით: „სიტყვის ნიეთობრივი მნიშვნელობა ისე ძლიერაა დაკავშირებული რ-ს შემცველ ძირთან, რომ მისი ლ-დ ქცევა (ე. ი. რეგრესული დისიმილაცია) ხიფათში ჩააგდებდა მის გასაგებრობას“⁹⁰.

⁸⁶ ი. ყიფშიძე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში, ტფ. უნ. მოამბე, 1, 1919—1920, გვ. 8.

⁸⁷ პროგრესული დისიმილაციის ნიმუშად შეცდომით დასახელებულია ოლარი←ბერძნ. *αρχαϊσ* და ალაჯორი ← სომხ. *առաջաღոր*.

⁸⁸ იქვე, გვ. 8.

⁸⁹ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი 1949, გვ. 203.

⁹⁰ იქვე, გვ. 203.

სემანტიკური ფაქტორი ზოგჯერ, მართლაც, აპირობებს ფონეტიკურ პროცესს, კერძოდ დისიმილაციას. არაა შეუძლებელი იგივე ფაქტორი განსაზღვრავდეს დისიმილაციის მიმართულებასაც, მაგრამ საკითხავია: ქართულისთვის რომ უცხო ყოფილიყო დისიმილაციის პროგრესული მიმართულება საერთოდ, სემანტიკური ფაქტორი განსაზღვრავდა თუ ვერა დისიმილაციის მიმართულებას? ვფიქრობთ, რომ ვერა.

დისიმილაციის პროგრესული მიმართულება აღნიშნულ შემთხვევებში სავსებით ლოგიკურია და, ამდენად, შესაძლებელია არ იყოს განპირობებული მხოლოდ სემანტიკური ფაქტორით.

თუ გავითვალისწინებთ პროგრესული დისიმილაციის სხვა შემთხვევებსაც, ნათელი გასდება: ძველ ქართულში პროგრესული დისიმილაცია არაა ნაკლებ გავრცელებული რეგრესულთან შედარებით.

დისიმილაციის მიმართულების განმსაზღვრელი არაა არც სადისიმილაციო ბგერათა ერთნაირობა, არც მსგავსება და არც სიტყვაში ბგერათა პოზიცია: ერთნაირი ბგერები დისიმილირდება რეგრესულადაც და პროგრესულადაც; მსგავსი ბგერების დისიმილაცია რეგრესულია, მაგრამ რეგრესულადევა ცვლილი ერთნაირი ბგერებიც. ასეთი მიმართულებისაა, ჩვეულებრივ, კონტაქტური დისიმილაცია, მაგრამ წინამჟღადი ბგერაა შეცვლილი მაშინაც, როცა პროცესი დისტანციურია.

თანხმოვანთა ცვლილება მქლელობისა და სიყრუის მისეღვით

სამეტყველო ბგერები ორ დიდ ჯგუფს ქმნიან; ესენია: ყრუ და მკლერი ბგერები.

მიუთითებენ მქლელობის სხვადასხვა ხარისხიანობაზე. მკლერობის ხარისხის მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდება, ერთი მხრივ, სხვადასხვა ენის მქლერი ბგერები, მეორე მხრივ, თვით ერთი ენის ასეთივე ბგერები. ამ უკანასკნელის საფუძველს ქმნის ბგერათა მეზობლობა სიტყვაში.

ბგერათა სხვადასხვაგვარი ფონეტიკური პოზიცია არა მარტო განსაზღვრავს ბგერის მქლელობის ხარისხს, არამედ აპირობებს სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესსაც: მკლერი ბგერა ყრუ ბგერის გავლენით კარგავს მქლეობას და იქცევა ყრუდ; ყრუ ბგერა მკლერ-

რი ბგერის გავლენით მელერდება; ორი ყრუ ბგერიდან ერთ-ერთი შესაძლოა გამელერდეს ან, პირიქით, ორი მელერიდან — ერთ-ერთი დაყრუვდეს. ამავე დროს, აუსლაუტში მოქცეულმა მელერმა ბგერამ შესაძლოა დაკარგოს მელერობა.

საინტერესოა, რა სურათს იძლევა ძველი ქართული ენა. კითხვები ასეთია: 1. ყრუვდება თუ არა მელერი ბგერა; 2. მელერდება თუ არა ყრუ ბგერა.

თუკი ასეთი შემთხვევები აღმოჩნდება, მაშინ უნდა გაირკვეს, რა კანონზომიერებას ემორჩილება ეს ცვლილება ან, რაც იგივეა, რა ფონეტიკური კანონი განსაზღვრავს მას.

მუღერი ბგერის დაყრუვება და მისი მიზეზები

I. ასიმილაციური დაყრუვება

1. პროგრესული კონტაქტური ასიმილაცია

შდ → შთ: დაშდომა → დაშთომა: ჯერ გჯინდა ათენას შინა დაშთომაჲ S 1138, 136 r, 18; არა დაშთა შვილი მ 22, 25 DE; ლ 20, 31 C; არა დაშთეს მ 24, 2; მრ 13, 2; ლ 19, 44; შდრ. არა დაშდეს მ 24, 2 C; მრ 12, 19 C; მრ 13, 2 C; დაგ-შდების თქუენ სახლი თქუენი მ 23, 38 C.

შიშდვილი → შიშთვილი: შიშთვილ ექმნა A 19, 348, 13; შიშთვილი Sin 26, 89 r, 10; შეაშთვეს A 19, 245, 15.

სდ → სთ: ესდენი → ესთენი: ესთენ ოდენ გურქუა A 95, 869, 4; თთუესა ესთენსა და ინდიკტიონსა ესთენსა A 19, 328, 19; ესთენი განძი ცხორ. იოვ. და ეფთ. 97, 4.

ხუასდაგი → ხუასთაგი: ერისა კაცნი განენზადნეს ბრძოლად... ხუასთაგისა შათისათუს კიმ. I, 36, 1; შდრ. ხუას-დაგისა კიმ. II, 141, 26.

ჯდ → ჯთ: გადაჯდა → გადაჯთა: ცისკრად ალავერდს ილოცა, მწობრი ბრემსა გადაჯთა (ერედვის 906 წ. წარწერა); შდრ. უბრძანა... გარდაჯდად იგი მ 18, 25 C.

ცდ → ცთ: ცდომა → ცთომა: გონიერებად ვაცთუნენ A 1109, 22 r, 11; მცნებისა მისგან ვაცთუნა S 1138, 36 r, 10; ჰგონებდა ცთუნებასა ჩემსა A 95, 13, 30; ევოსცთა A 19, 52, 3; უცთომელად, იქვე 357, 7; შემთხინე ჩუენ

საცოთურსა ცოთმისასა, იქვე 325, 17; შესცოთეს მ 18, 12; მოცოთუნებად კიმ. I, 33, 5.

ამოსავალი ცდ (← ცედ) ძველ ქართულს არ შემოუნახავს. ცედ ძირის პირველადობა მტკიცდება სვანური ენის მონაცემით: „სვანური ქად- ძირი ქართულში ცედ-ს შეისატყვისებს, რომლის პირველი მარცვალი (ცე-) ძველი ქართულით შეჯგერებულია, ხოლო პრიმარი -დ სვანურის მიხედვითაა აღდგენილი“⁹¹.

ქდ → ქთ: სთქდომა → სთქთომა: კლდენი განსთქ-თებოდეს Sin 26, 242 r, 14; განსთქთებოდეს ბადენი ჰაემ. ტექსტ. 383, 6; შდრ. ვეშაპი განსთქდა A 19, 337, 16; კლდენი განსთქდეს A 1109, 49 v, 27; განსთქდა აპკაე იობ, 17, 11; მოსთქდა ქვაე კიმ. II, 84, 16; განსთქდებოდეს საქმ. მოციქ. თ. 7, 54 C; შდრ. კლდენი გასქდებოდეს Sin 20, 73 v, 7; განსქდეს, იქვე 129 r, 11; განსქდა კიმ. II, 210, 8.

ჰდგ → *ჰთგ → ჰთქ:

ქართული ოთხთავის აღიშურ ხელნაწერში გვაქვს ასეთი მაგალითი: ერთი იგი მოწათმ წინა წაჰთქრა უადრეს პეტრესა ი 20, 4 C; ჯრუჟ-პარხლის ხელნაწერებში მის შესატყვისად სხვა ძირის შემცველი სიტყვაა: წინა რბიოდა.

წაჰთქრა-ში ძირია თქრ (←*თქერ); მას კავშირი უნდა ჰქონდეს დგრომა (→ დგომა)-სთან: *წარჰდგერა → წარ-ჰდგრა → წაჰდგრა → *წაჰთგრა || წაჰთქრა.

ჩანს, ხმოვანთა რედუქცია, თანამოვნის დაკარგვა, ყრუ ჰ ბგერის გავლენით მელერი დ-ს ქცევა ყრუ ფშვინვიერ თ-დ. ხოლო ამ უკანასკნელის გავლენით მელერი გ ბგერის დაყრუება ერთად იყრის თავს და ვიღებთ წაჰთქრა-ს.

2. პრობრახული დისტანციური ასიმილაცია

ს—დ → ს—თ: მისწუდებოდა → მისწუთებოდა: მისწუთებოდა თავი ვიდრე ცადმდ A 19, 334. 1; ვიდრე მუქლთამდინ მისწუთებოდა ბალავ. 85, 20; შდრ. მისწუად-ნა რქანი A 95, 138, 24.

⁹¹ ვ. თოფურია, ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა ქართველურ ენებში, ტფ. უნ. მოამბე, 1941, X, გვ. 304.

ც-ღ → ც-თ: ცედ→ცეთ: ნუთუ თქუნცა შესცეთით
ო 7, 47 C; შესცეთ A 19, 298, 19.

ყ-ღ → ყ-ტ: საყუდელი → საყუტელი: უხილავ არს
საყუტელი შენი A 95, 148, 5.

ეგების ასიმილაციის შედეგად იყოს მიღებული: პარაფ-
სიტი ← პარაფსიდი: რამეთუ განსწმედთ გარეშესა პარაფ-
სიტისასა მ 23, 25 C; შდრ. პარაფსიდისასა, იქვე DE;
ბერძნ. *παριψιδος*.

პროგრესული დისტანციური ასიმილაციით დ ბგერის ნაცვ-
ლად ტ-ს მიღება რომ არაა უცხო ქართული წარმოთქმისათვის,
ეს ჩანს ახალი და ძველი ქართულის ზოგიერთი მონაცემის შედა-
რებიდანაც: კეტი ← კელი (აღიღეს ცულები... სათხრელები
და კედები კიმ. II, 166, 20...); მოწყვეტა ← მოწყუედაჲ
(რახსა გნებაეს... მოწყუედაჲ კიმ. I, 167, 17; მოწყუედი-
სათჳს A 19, 50, 7; მოცწყუდეთ S 1138, 14 r, 13).

3. რებრესული კონტაქტური ასიმილაცია

ძს → ცს → ც: გიძს → გიც: დირე გიც თუალსა
შენსა მ 7, 4 C; ასევეა: მრ 10, 21 C; მ 5, 36; მ 9, 28; შდრ. ძალ
გვიძს იოს. არიმათ. 11, 1.

ჩანს, მელერი ძ ბგერა ყრუ სანთან მეზობლობაში კარგავს
მელერობას, მის ნაცვლად ყრუ ფშინვიერი ც ბგერა გვაქვს. გამვ-
ლენელი ბგერის დაკარგვას ხელს შეუწყობდა ის ფაქტი, რომ ც
ბგერა როგორც აფრიკატი, შეიცავს ს ბგერასაც.

ღყ → ტყ: ლაღაღყო → ლაღატყო: ლაღატყო Sin
26, 199 v, 14; A 19, 225, 22; ლაღატყვეს Sin 39, 16r, 6;
შდრ. ლაღაღყო Sin 26, 124 v, 16; 40 r, 1.

ღს → თს: კრედსაბმელი → კრეთსაბმელი: კრეთ-
საბმელი იგი კარვისაჲ S 1138, 158 v, 19; შდრ. კრედსაბ-
მელად A 95, 33, 28.

ღთ → თთ: ბრძმედთა → ბრძმეთთა: რომელი იგი
ბრძმეთთა მათ მარხვისათა გამოიცადის A 1109, 61 r, 3 (თუ
იგი შემთხვევითი არაა).

რეგრესული კონტაქტური ასიმილაციით გ კარგავს მელერო-
ბას და ქ-ღ იქცევა. ამ უკანასკნელის მეზობლობაში დ ბგერაც.
ყრუედება: შემოგკდგს → შემოგკდქს → შემოგკთქს: არა
შემოგკთქს ჩუნ ლ 9, 49 C; შდრ. შეგკდგს, იქვე. D¹

ასევე: შეგიტქთ ← * შეგიდქთ ← შეგიდგთ: შე-
გიტქთ შენ ლ 18, 28 C. გ უცვლელადაა წარმოდგენილი, თუ
იგი არ არის თ ბგერის უშუალო მეზობლობაში: აღუდეგით
A 95, 5, 20; A 19, 105, 21; შემომიდეგით, იქვე 253, 28;
შეუდეგით Sin 20, 41 r, 2; დადეგით დაბად. 19, 2.

საგულისხმოა, რომ II პირის ობიექტური პრეფიქსი გ-ასი-
მილაციას განიცდის.

გც → ქც: გცა → ქცა ქცა... წყალი იგი ცხოელი ი 4,
10 C; მოქცა თქუენ ი 7, 19 C.

ბკ → ჰკ: აბკურებს → აჰკურებს: აჰკურებდა
იგი ტუარსა მას A 19, 353, 22; განწყმელად არიან საჰკურე-
ბელითა მით ცნობისაჲთა A 19, 381, 2.

ბთ → ფთ: გაფუცებთ → გაფუცეთ: გაფუცეთ
თქუენ ლოცვასა კიმ. II, 164, 12.

ბს → ფს: ნებსით → ნეფსით: ნეფსით A 95, 48,
24; 314, 14; Sin 39, 113 r, 21; A 1109, 27 v, 12; A 19, 222,
29; კიმ. II, 213, 7; შდრ. ნებსით ყო, იქვე 351, 15.

ზ ბგერაც კარგავს მეღერობას, ა. მარტიროსოვის
ცნობით, კილ-ეტრატის ხელნაწერში: ასპარეზსა → ასპა-
რესსა⁹².

XI საუკუნის ხელნაწერში გვაქვს ასეთი პარალელური ფორ-
მები: გააოზს || გააოსს⁹³. თუ აქ არის დაცული ბერძნული -ოს
დაბოლოება, მაშინ გააოსს ფორმაში ასიმილაცია არ გვექნება.

4. რაბრასული დისტანციური ასიმილაცია

ძ—წ → წ—წ: ძოწეული → წოწეული: იმოსებოდა
წოწეულითა ლ 16, 19 C.

მსგავსი მოვლენა გვაქვს ასპინძის XV ს. წარწერაში: შე-
ვზარებივარ სიკუდილსა შემაწრწუნებელსა.

ღ—ხ → ხ—ხ: აღუსება → ახუსება: დღესა ახუსე-
ბასა ხანმ. ლექც. 062, 18; დღესა ახუსებისა 062, 25.

ეს სიტყვა ორჯერაა ნახმარი ამ ძეგლში და ორივეჯერ ამ
ფორმით. საინტერესო იყო, როგორ წარმოგვიდგენდა მას ოთხ-

⁹² ა. მარტიროსოვი. კილ-ეტრატის იადგარის ორთოგრაფიული და
ფონეტიკური თავისებურებანი, 1941, გვ. 46.

⁹³ კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული 'ვერსიები, ქ. ლორთქიფანი-
ძის გამოცემა, 1956, გვ. 120.

თავის შატბერდული ხელნაწერები. სამწუხაროდ, ეს ადგილი არც ერთ რედაქციას არ შემოუნახავს. ყველგან ამბავი წყდება მარიამ მაგდანელის მოსვლით და შემდეგ ახალი, მე-19 მუხლი იწყება. სხვა ადგილას კი ყოველთვის გვაქვს აღვსება, რომელიც რამდენიმე მნიშვნელობით — ავსება, შესრულება, დასრულება, გათავება — იხმარება.

ამგვარად, მოგვეპოვება ახუსება და აღვსება. პირველი რეგრესული დისტანციური ასიმილაციის შედეგად უნდა იყოს მიღებული: ყრუ ფშვინვიერ ს ბგერის ზეგავლენით ლ ბგერა კარგავს მეღერობას.

ბ—კ → ჰ—კ: დაბრკოლება → დაპრკოლება: დაპრკოლდენ A 1109, 61 r, 4; დაპრკოლებად ესაიასი 28, 6; დაპრკოლდეს მ 15, 12 E; შდრ. დაბრკოლდებოლიან მ 24, 10; ნუ დააბკოლებ კიმ. II, 146, 19.

მსგავსი მოვლენა ახასიათებს, ნ. მარის ცნობით, X საუკუნის იმ ხელნაწერსაც, რომელიც შეიცავს ტექსტს „თარგმანებაჲ ქებაჲ ქებათაჲ“: «Наше встречаемся со случаем появления глухого в там, где мы привыкли читать звонкое б, так пркколлеи, დაუპრკოლებელად, შეპრკოლდეს»⁸¹.

ზოგჯერ ბგერა დაყრუებულია ორ ყრუ ბგერას შორის, მაგ.: შაბათი → შათათი: თქუენ ჰყვით ერთ შათათად S 1138, 82 v, 2; შათათსა შინა ლ 6, 2 C; საშათათოჲ საქმ. მოციქ. თ. 17, 2 D; შდრ. შაბათობითა S 1138, 82 v, 2; შათათსა მ 12, 1 DE; ლ 6, 2 DE და ებრაული šābāt.

II. ბგერის დაყრუება სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში

ღ → თ. ძველ ქართულში შეინიშნება ღ ბგერის დაყრუების არა ერთი შემთხვევა. ეს ხდება განსაკუთრებით ვითარებით ბრუნვაში:

უნებლიად → უნებლიათ: უნებლიათ Siu 26, 259 r, 7; ასევე: 306 v, 5.

სათნოდ → სათნოთ: სათნოთ ცხოვრებისათჳს S 1138, 172 v, 17.

გულსმოდგინედ → გულსმოდგინეთ: გულსმოდგინეთ A 1109, 26 r, 22.

⁸¹ Н. Марр, Исполит, Толкование песни песней, ТР, III, 1901, 83. XXXVII.

დღითი დღედ → დღითი დღეთ: დღითი დღეთ
ვაშენებ A 1109, 38 v, 10.

კორინთედ → კორინთეი: განწესებულ არს კორინ-
თეთ S 1138, 9 v, 2; 54 r, 16.

ფილიპედ → ფილიპეთ: ფილიპეთ S 1138, 9 v, 6.

ჰრომედ → ჰრომეთ: ჰრომეთ S 1138, 9 v, 9.

ცხებად → ცხებათ: ნოილო... ნელსაცხებელი და იწყო
ცხებათ ქილ-ეტრატ. 128 v, 19.

ვნებად → ვნებათ: რომელი მოვიდა... ვნებათ ქორ-
ცითა, იქვე 145 v, 1.

ზეცად → ზეცათ: ამალღი ზეცათ, იქვე 270, 5.

მთად → მთათ: აღვიდა იგი მთათ მრ 3, 13 C.

ძველ ქართულში ნანათესაობითარი ვითარებითის -დ ნიშანი
ხშირად არ არის წარმოდგენილი. ეს მოვლენა ეხება დღემდე
ცნობილ თითქმის ყველა ძეგლს. მაგ., გვაქვს ასე: წყაროდ ცხო-
რებისა Sin 26, 160 v, 8: შღრ. მომეცა წყაროდ ცხორები-
სად, იქვე 251, 6.

ძველ ქართულშივე, როგორც ვნახეთ, ხშირია სიტყვის ბო-
ლოკიდური დ ბგერის დაყრუება. ეს გარემოება გვაფიქრებინებს,
რომ ვითარებითის -დ ნიშანი ორმაგბრუნვიან სახელებთანაც ჯერ
-თ'დ იქცა, ამის შემდეგ კი დაიკარგა: ცხორებისად → ცხორე-
ბისათ → ცხორებისა.

ზაგრამ იკითხავენ: რალა მაინცდამაინც ნანათესაობითარ
ვითარებითში მოხდა ასეთი ცვლილება -დ → -თ → მ, მაშინ რო-
დესაც ვითარებითის ნიშანი -თ (←-დ) საერთოდ არ იკარგვის?
არასოდეს არა გვაქვს, მაგ, კორინთე, მთა... ვითარებითის
ფუნქციით. საფიქრებელია, რომ აქ სემანტიკურმა ფაქტორმა იხსნა
ბგერა დაკარგვისაგან: -თ (←-დ) ნიშნის ფუნქცია აქ ისე დიდია,
სიტყვათა შორის მიმართება ისე ძლიერაა მასთან დაკავშირებული,
რომ მისი დაკარგვა დააბრკოლებდა აზრის ნათლად აღქმას.

ბ → ფ. აკურთხებ → აკურთხეთ: ნაცვლად წყევისა
აკურთხეთ A 95, 91, 30.

ასევეა საკუთარ სახელში იოსებ → იოსეთ: იოსეთ
A 95, 13, 5; Sin 39, 8 v, 11; მ 1, 16 C და შემდეგ ანალოგი-
ითაა გადასული ფორმაში: იოსეთი Sin 39, 13 r, 16; ძენი
იოსეთისნი S 1138, 166 r, 5; იოსეთის დედა მ 27,
56 C; შღრ. იოსებისა მ 1, 18 D; იოსებისგან A 95, 14, 20.

გ → ქ. ძველ ქართულში გვაქვს საკუთარი სახელი ფა-
ლეგ: ძედ... ფალეგისა ლ 3, 35 DE; მაგრამ გვხვდება ასე-
დაც: ძედ... ფალექისა, იქვე C.

ეს უკანასკნელი მიღებულია აბსოლუტურ ბოლოში გ-ს დაყ-
რუებით და შემდეგ სიტყვაში დამკვიდრებით.

ჩანს, სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ბგერის დაყრუების
ტენდენცია ქართული წარმოთქმის ერთ-ერთი დამახასიათებელი
თვისებაა ძველიდანვე. ამდენად, არ უნდა იყოს მისაღები სამეცნიერო
ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ თითქოს „საშუალ
ქართულში დაიწყო მოქმედება ფონეტიკურმა კანონმა, რომლის
ძალითაც სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მელერი ჩქამიერები
ყრუვდებიან. ეს კანონი არ მოქმედებდა ძველ ქართულში“⁸⁵.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ სახელისა და ზმნის რიცხვის
-თ სუფიქსი მომდინარეობს -დ'საგან: „ზმნაში ეს დოკუმენტალუ-
რად მტკიცდება სვანურის ჩვენებით: შდრ. ქართ. ვარ-თ,
ხარ-თ, არი-ან და სვან. ხვარი-დ, ხარი-დ, ვრი-ხ...
ზმნის სუფიქსი -თ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში დაყრუებული
და გაფშვინიერებული -დ სუფიქსია. ამით წყდება სახელის
მრავლობითის -თ სუფიქსის საკითხიც: კაც-თ- ← კაც-დ-“⁸⁶.

საგულისხმოა ზოგიერთი ხელნაწერის ჩვენება. გვაქვს ასეთი
მაგალითები: მივისწრაფედ სამოთრაკედ საქმ. მოციქ. თ.
16, 11 D; შდრ. მივისწრაფეთ, იქვე C; მამადმთავარი
Sin 39, 13 r, 1; შდრ. მამათმთავართა, იქვე 12 v, 23.
მამადმთავართა საქმ. მოციქ. თ. 7, 8 D.

მოსალოდნელი იყო გვექონოდა: მივისწრაფეთ, მამათმა-
ვარი...

თუ ეს მაგალითები გადმონაშთია უძველესი ვითარებისა,
მაშინ მრ. რიცხვის -თ სუფიქსის -დ'საგან წარმომავლობის დოკუ-
მენტალური მაჩვენებელი თვით ქართულშივე გვექნება.

ამრიგად, სვანურისა და ქართულის ჩვენება ექვემოტანელს
ხდის, რომ რიცხვის ნიშანი -თ ← -დ'საგან. ამავე დებულების
დამამტკიცებელია დ ბგერის დაყრუების განხილული მაგალითები
და მელერი ბგერის დაყრუების ის შემთხვევები, რომლებიც უკვე
დავასახელოთ.

⁸⁵ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, 1956, გვ. 195.

⁸⁶ ა. ჩიქობავა, მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქარ-
თულში, იბერ.-კავკ. ენათმეცნიერება, VI, 1954, გვ. 75.

ყოველივე ეს, ერთ მთლიანობაში აღებული, ნათელს ხდის ბგერის დაყრუების ტენდენციის სიძლიერეს ძველ ქართულში.

III. დისიმილაციური დაყრუება

1. პროგრესული დისიმილაცია

ძველ ქართულში გვაქვს სიტყვა მბნდჯნვარე: პატრუკი მბნდჯნვარ^ლ არა დაშრიტოს მ 12, 20 E (შდრ. პატრუკი აღნთებული, იქვე C). გვაქვს ასედაც: მბრდჯნვარე: ვარსკულავსა ხილვითა მბრდჯნვარესა A 19, 390, 20; ბგერის დაქარგვით კი — მდჯნვარ^ლ, იქვე 395, 11; მბდჯნვარედ, იქვე 393, 15.

ძველი ქართული იცნობს ამ სიტყვას კიდევ ერთი ფორმით — ბრტჯნვა: ვერ დავითმენ მოხუცებულისა ბრდჯნვასა და ბრტჯნვასა A 19, 18, 24.

ბრტჯნვა იგივე ბრდჯნვა უნდა იყოს: დ ქცეულა ტ-დ მელერი ბგერების მეზობლობაში. ჩანს, ადგილი აქვს დისიმილაციურ დაყრუებას.

ერთ X საუკუნის ხელნაწერში, რომლის მიხედვით ნ. მარმა გამოსცა „თარგმანებაჲ ქებაჲ ქებათაჲ“ გვხვდება ფორმა წართქრომილი. გამომცემელი ამ სიტყვას უკავშირებს წარდგრომილ-ს და წერს: «Сомнение берет... появившаяся в нм. д., ссаш верно мое толкование წართქრომილ, как წარდგრომილ представшимъ, явившимся»⁹⁷.

საგულისხმო მაგალითია: მელერ ბგერებს შორის მოქცეული ღგ ბგერები კარგავენ მელერობას. შესაძლოა პირველად დ იქცათ ბგერად, შემდეგ კი პროგრესული ასიმილაციით გ-ც დაყრუვდა.

საწიობხავია, რა არის დ-ს თ-დ ქცევის მიზეზი? ამ ცვლილებას არ იწვევს ყრუ მკვეთრი წ ბგერა: მას შეეძლო მელერი გადაექცია ყრუ მკვეთრ ბგერად და არა ყრუ ფშვინვიერად.

თუ ფორმა წართქრომილი არაა მიღებული ჰ პრეფიქსიანი ზმნის ფორმის ანალოგიით (წაჰთქრა): სადაც ჰ ბგერაა ასიმილატორი, მაშინ ერთადერთი ახსნა რჩება: წართქრომილი დისიმილაციური დაყრუების შედეგია.

⁹⁷ Н. Марр, Ипполит, Толкование песни песней, ТР, III, 1901, გვ. XXVI.

ძველ ქართულში ერთმანეთის პარალელურად იხმარება სიტყვები: კ რ ი ბ ა ო კ რ ი ფ ა. ამ მხრივ საყურადღებოა ერთი IX საუკუნის ხელნაწერის ჩვენება: შეკრიფა საფასჲ დიდი და განუყო გლახაკთა A 19, 435, 22; შდრ. შეკრიბეს ყოველივე იგი თესლები მრ 15, 16.

ორი მელერი ბგერიდან ერთ-ერთის დაყრუების მიზეზი შესაძლოა დისიმილაციური დაყრუების კანონი იყოს.

სხვაგვარ ახსნას იძლევა გ. ახვლედიანი: თავდაპირველად „იხმარებოდა მხოლოდ ფორმა კ რ ე ბ, სადაც სიტყვის ბოლოში ყრუ media იხმოდა, რომლის გრაფიკული ნიშანი ისტორიულად იყო ბ... რადგანაც სიტყვის ბოლოში ნორმალურად მელერი თანხმოვანი ვერ ძღვებს, ამიტომ დიფერენციაციის მოთხოვნილების დაკმაყოფილება შესაძლებელი იყო ნორმალურად მესამე გვარის წყვილბაგისმიერის ხმარებით; ეს კი იყო ფშვინვიერი ფ. მაშასადამე, მნიშვნელობის დიფერენციაციამ მოითხოვა ან ხელი შეუწყო მორფოლოგიურსაც, და ამგვარად დღეს რეალურად (და არა ისტორიულად) ჩვენ გვაქვს ორი სხვადასხვა ძირი (ვკრებ და ვკრეფ). მხოლოდ ამიტომ შეიქნა შესაძლებელი, რომ ვკრეფის ფ, სიტყვის ბოლოში მდებარეობით წარმოშობილი და დიფერენციაციის მოთხოვნილებით განმტკიცებული, გადატანილიყო სიტყვის შიგნით: კრება, კრეფს“⁸⁸.

ქართული ენის დიალექტებში გვაქვს ასეთი სიტყვა: კ ა რ ქ ი ← კ ა რ გ ი. გ შეიცვალა ქ'დ. გ. ახვლედიანის აზრით, პირველად ასეთი ცვლილება „შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგალითად, მიცემითში ან ყრუ თანხმოვნით დაწყებული თანხმოვნის წინ... ამის შემდეგ ქ განზოგადებულია“⁸⁹.

ეგების აქაც ორი მელერიდან ერთ-ერთი დაყრუვდა და ამდენად საქმე გვკონდეს ქართული წარმოთქმისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესის — დისიმილაციური დაყრუების — შედეგთან.

2. რაბრმსული დისიმილაცია

ძველი ალექსის წიგნთა ხელნაწერებში გვაქვს ასეთი სიტყვა — ფ ა ჩ უ ნ ი ე რ. მას უპირისპირდება მნიშვნელობით წყლტუ: ძმაჲ ჩემი არს ფ ა ჩ უ ნ ი ე რ და მე კაც წყლტუ დაბად. 27, 11.

⁸⁸ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 356.

⁸⁹ მისივე, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, გვ. 181.

ფაჩუნეირი ბალნიანი, წყლტუ უზალნოო — განმარტავს საბა. საბასვე აქვს განმარტებული სიტყვა ბანჯვალი: ბანჯვალი—აფი ბალანი. ახალ ქართულში იხმარება ბანჯგელი: ბანჯგელი—მსხვილი, ხშირი და გრძელი ბალანი... | გადატ. ადამიანის მსხვილი და ხშირი თმა (ტანზე)¹⁰⁰.

ამგვარად, გვაქვს: ფაჩუნეირი, ბანჯვალი და ბანჯგელი. ორი უკანასკნელი რომ ერთი ძირის წმინციანი სიტყვებია, უეჭველია (შეიძლება გ განეითარებული და ამდენად მეორეული იყოს). სამივე ფორმისათვის ამოსავალი უნდა იყოს *ბაჯუნეირ (|| *ბანჯუნეირ). აქედან შეიძლებაოდა მიგველო *ფაჯუნეირ ან *ბაჩუნეირ დისიმილაციური დაყრუების შედეგად, შემდეგ კი ასიმილაციით ფაჩუნეირ.

ბ ბგერის ფ.დ ქცევის შესაძლებლობა ექვს არ უნდა იწვევდეს. არც ჯ.ს ჩ.დ ქცევაა შეუძლებელი. ეს ჩანს, სხვათა შორის, შემდეგი მაგალითიდანაც: აღიშის ოთხთავის ხელნაწერში გვხვდება სიტყვა ჩურღმული: ჩურღმული ესე ღრმა არს ი 4, 11 C. იმავე ხელნაწერში გვაქვს ჯურღმული: ჯურღმული მოგუცა ჩუენ ი 4, 12 C. ამოსავალია ჯურღმული, ცვლილების მიზეზი კი დისიმილაციური დაყრუება.

ზოგჯერ ცვლილების მიზეზის ახსნა რთულდება და აი რატომ: ძველ ქართულში სიტყვა კრედსაბმელი სამი ფორმით გვხვდება: კრედსაბმელი, კრეთსაბაელი და კრეტსაბმელი: ცასა უწოდა კრედსაბმელად A 95, 33, 28; 33, 17... კრეთსაბმელი იგი კარეისაჲ S 1138, 158 v, 19... კრეტსაბმელი იგი ტაძრისაჲ მ 27, 51; მრ 15, 38; ლ 23, 45 DE.

ამოსავალია კრედსაბმელი, ასიმილაციითაა მიღებული კრეთსაბმელი. მაგრამ გამოსარკვევია, რა ფონეტიკური პროცესის შედეგია უკანასკნელი — კრეტსაბმელი.

ახსნის სამგვარი შესაძლებლობა არსებობს: 1. კრედსაბმელი → კრეტსაბმელი-ს პროგრესული დისტანციური ასიმილაციით: ასიმილატორია კ; 2. კრედსაბმელი → კრეტსაბმელი პროგრესული დისიმილაციური დაყრუებით: ორი მქლერიდან რ—დ ერთ-ერთი დაყრუვდა; 3. კრედსაბმელი → კრეთსაბმელი → კრეტსაბმელი რეგრესული დისიმილაციური გამკვეთრებით: ორი ფშვინვიერი ბგერიდან ერთ-ერთი მკვეთრით შეიცვალა.

¹⁰⁰ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950.

დისიმილაციური გამკვეთრება რომ დამახასიათებელია საერთოდ ქართული წარმოთქმისათვის, ჩანს შემდეგიდან: ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებში გვხვდება -თვის თანდებულის რამდენიმე ვარიანტი. მათგან საინტერესოა -ტვინ: ამის-ტვინი-იმის-ტვინ ← ამის-თვინ, იმის-თვინ. ცვლილების მიზეზი დისიმილაციური გამკვეთრება უნდა იყოს: სთ → სტ : ორი ფშვინვიერი ბგერიდან ერთ-ერთი გამკვეთრდა.

საინტერესოა გურული დიალექტის ჩვენება: ცდ ძირის შემცველი სიტყვა (ცდა—გიციდი) სხვადასხვა სახითაა წარმოდგენილი: გიცთი || გისტოი || გისტი¹⁰¹. გისტი დისიმილაციური გამკვეთრების შედეგია.

იმავე პროცესის გავლითაა მიღებული დასავლურ კილოებში დადასტურებული:

აღმოჩნდა: აღმოჩნდა → აღმოჩნთა → აღმოჩნტა.

მეიხვტერე: მეიხვდერე → მეიხვთერე → მეიხვტერე.

გადვიხტი: გადვიხდი → გადვიხთი → გადვიხტი.

გახტა: გახდა → გახთა → გახტა.

შეხტა: შეხვდა → შეხვთა → შეხვტა → შეხტა.

ხპო: ხბო → ხფო → ხპო.

ამგვარად, მეღერდ, ბ ბგერათა ნაცვლად ყრუ მკვეთრი. ტ, პ ბგერების წარმოდგენა რთული ფონეტიკური პროცესის შედეგია: ასიმილაციური გაფშვინვიერებისა და შემდეგ დისიმილაციური გამკვეთრებისა¹⁰².

ძველ ქართულში მოგვეპოება სიტყვა ხლდომა: აღდგა ყრმა იგი და ახლდა ეტლთა ზედა A 95, 135, 12; ახლდა და გარდავიდოდა Siu 39, 4 v, 20.

ძირია ხლდ. იგივე ძირი გვაქვს სიტყვაში ხლტომა. ხლტომა მალლა შეხტომოა, წერს საბა. ჩანს, ხლდომა და

¹⁰¹ ეს უკანასკნელი მითითებული აქვს ბ. ფოჩხუას ნაშრომში „თანხმონათა პროგრესული ასიმილაცია დასავლურ კილოებში“, სტალინის სახ. თბ. სახელმწ. უნ. შრ., X, 1939, გვ. 189.

¹⁰² სივავარ ახსნას იძლევა ბ. ფოჩხუა დასახელებულ ნაშრომში: ხბ — ხპ ცვლილება მისთვის იმავე რიგის მოვლენაა, როგორცაა, მაგალითად, ყბ — ყპ (ყბაი — ყპაი). ვფიქრობთ, ასეთი ახსნა არაა გასაზიარებელი, ამავე დროს იგი ეწინააღმდეგება ავტორის დებულებას: „ასიმილირებული ბგერა იქცევა ყრუ მკვეთრად, თუ მისი წინამავალი ბგერა ყრუ მკვეთრია და ფშვინვიერად, თუ მისი წინამავალი ბგერა ფშვინვიერია“.

ხ ლ ტ ო მ ა პარალელური ფორმებია; ამოსავალია პირველი — ხ ლ დ ო მ ა. რა ფონეტიკური პროცესის შედეგია ხ ლ ტ ო მ ა?

ხ ლ დ-ს ქცევა ხ ლ ტ-დ არ უნდა იყოს ასიმილაციის შედეგი. ეს ჩანს შემდეგიდან: ხ ბგერა ყრუ ფშვინვიერი ბგერაა. თუ იგია ასიმილაციის მომხდენი, დ ბგერისაგან უნდა მიგველო ყრუ ფშვინვიერი თ და არა მკვეთრი ტ. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ყრუ ფშვინვიერ ს, შ, ჯ ბგერათა გავლენით, მაგალითად, დ იქცევა თ-დ და არასოდეს ტ-დ: ეს თენი, და შთეს, გადაქთა...

ყრუ ფშვინვიერი ხ ბგერის გავლენა რაკი გამოირიცხა, დარჩა ახსნის ორი შესაძლებლობა: ხ ლ ტ ო მ ა ან დისიმილაციური გამკვეთრების შედეგია: ხ ლ დ ო მ ა → ხ ლ თ ო მ ა → ხ ლ ტ ო მ ა, ან დისიმილაციური დაყრუებისა: ხ ლ დ ო მ ა → ხ ლ ტ ო მ ა.

ზოგჯერ კი აშკარაა, რომ ბგერა დაყრუებულია, მაგრამ ქირს გამიჯვნა ერთმანეთისაგან ასიმილაციური და დისიმილაციური კანონების მოქმედების შესაძლებლობისა.

ძველ ქართულში მოიპოვება სპარსულიდან ნასესხები სიტყვა ქ უ ლ ბ ა გ ი (|| ქ ო ლ ბ ა გ ი): ქ უ ლ ბ ა გ ი კიმ. II, 32, 21; შთავი-და ქ უ ლ ბ ა გ ა დ კიმ. I, 166, 37; ავაგენ სახლნი და ქ ო ლ ბ ა გ ი (ატენის წარწერა); სა ქ ო ლ ბ ა გ ე ნ ი... გვბოძნა (იქვე).

საბას ლექსიკონშია: ქ უ ლ ბ ა ქ ი, სა ქ უ ლ ბ ა ქ ე ... ივ. ჯ ა-ვა ხ ი შ ვ ი ლ ის აზრით, ქ უ ლ ბ ა ქ ი გვიანდელი ფორმაა. ატენის ტაძრის წარწერის განხილვისას იგი წერს: «С стороны фонетички архаизм сказывается в таких словах, как ქ ო ლ ბ ა გ ი и სა-ქ ო ლ ბ ა გ ე вместо позднейшего ქ უ ლ ბ ა ქ ი»¹⁰³.

ქ ო ლ ბ ა გ ი → ქ ო ლ ბ ა ქ ი ან პროგრესული დისტანციური ასიმილაციის შედეგია, ან დისიმილაციური დაყრუებისა: ორი მელერი ბგერიდან ბ — გ ერთ-ერთი დაყრუვდა.

გვაქვს გა ლ ა ტ ო ზ ი (ოშკი, X ს. წარწ.) და კ ა ლ ა ტ ო ზ ი (უბე, XII ს. წარწ.). ცვლილების მიზეზი ან მომდევნო ყრუ მკვეთრი ტ ბგერაა, ან ორი მელერიდან გ — ლ ერთ-ერთი დაყრუვდა დისიმილაციის ძალით.

ძველი ქართულის სიტყვა წ რ ე დ ა (რომლითა მ ო ს წ რ ი დ ო ს წყალი მცირედ ესაიახსი, 30, 14) საბას ლექსიკონში შეტანილია შეცვლილად: წ რ ე ტ ა სრულიად წარმოცა. ასევეა ახალ სალიტერატურო ქართულშიც. თუ აქ საქმე არა გვაქვს პროგრესულ დის-

¹⁰³ И. Джавахишвили. К вопросу о времени построения грузинского храма в Атене, Хр. В., т. I, вып. III, 1912, გვ. 289.

ტანციურ ასიმილაციასთან (ან -ელ- სუფიქსის -ეტ-ად შეცვლასთან), მაშინ რჩება ერთადერთი ახსნა: წრეტ'ს დისიმილაციური დაყრუებითაა მიღებული.

ძველ ქართულში ხმარებული სიტყვა უპირადღს (ღთ უპირადღს იყო A 19, 19, 31; კიმ. I, 151, 11...) ახალ ქართულში წარმოდგენილია უპირატესი: მღლერი დ ბგერის დაყრუების მიზეზი ან ასიმილაციაა, ასიმილატორია მ ბგერა, ან დისიმილაციური დაყრუება.

დისიმილაციური დაყრუების კანონის არსებობა ექვს არ უნდა იწვევდეს. საძებნია მისი მოქმედების შედეგად მიღებული ფორმები, რომლებიც უფრო უხვად უნდა არსებულებოდნენ, ვიდრე ჩვენ აქ წარმოვადგინეთ.

ძველი ქართული ენობრივი მონაცემების ანალიზით ირკვევა:

1. მღლერი ბგერა კარგავს მღლერობას ყრუ ბგერის გავლენით — ადგილი აქვს ასიმილაციურ დაყრუებას. მიმართულების მიხედვით ეს პროცესი შესაძლოა იყოს პროგრესული ან რეგრესული, მანძილის მიხედვით კონტაქტური და დისტანციური. მღლერობას კარგავენ ბ, გ, დ, ზ, ლ, ძ ბგერები. ასიმილაციის გამომწვევია ყრუ ფშვინვიერი თ, ს, ქ, შ, ც, ჯ და მკვეთრი კ, ყ, წ. შედეგად სავსებით კანონზომიერია: მღლერის ნაცვლად გვაქვს, ერთი მხრივ, ყრუ ფშვინვიერი, ხოლო, მეორე მხრივ, ყრუ მკვეთრი იმისდა მიხედვით, როგორი ბგერა იწვევს ასიმილაციას.

2. ორი მღლერი ბგერიდან ერთ-ერთი ყრუედება დისიმილაციური დაყრუების შედეგად.

3. მღლერი ბგერა ყრუედება სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში. შეიძლება დავასკვნათ:

მღლერი ბგერის დაყრუება განპირობებულია სხვადასხვა ფონეტიკური ფაქტორით: ა) ასიმილაციით, ბ) დისიმილაციითა და გ) ბგერის ფონეტიკური პოზიციით.

ზოგჯერ ხერხდება თითოეული მათგანის გამოყოფა, ზოგჯერ კი ქირს. ძნელია გადაჭრით თქმა, რა აპირობებს ცვლილებას, რადგანაც ერთმანეთს ერწყმის ორი შესაძლებლობა: ერთი მხრივ, ასიმილაციისა თუ დისიმილაციის მოქმედების შესაძლებლობა, მეორე მხრივ, დისიმილაციური დაყრუებისა და ბგერის პოზიციით გამოწვეული ცვლილების შესაძლებლობა, ზოგჯერ კი ვითარება უფრო რთულდება — სამი ფონეტიკური პროცესის დაშვება შესაძლებელი: ასიმილაციური თუ დისიმილაციური დაყრუება და ასიმილაციური გაფშვინვიერების შემდეგ დისიმილაციური გამკვეთრება.

I. ასიმილაციური გამქღერება

1. რბრასული ასიმილაცია

საფრტე → საბრტე. ძველ ქართულში გვაქვს სიტყვა საფრტე (= მახე): რათა მიჩნენს საფრტეთაგან Sin 26, 42 r, 3; შეიპყრენ საფრტითა ცოდვისათა A 19, 472, 14; 470, 29; საფრტე S 1138, 44 v, 2; საფრტისა დაგებაჲ კიმ. II, 168, 32; დაედგა საფრტე, იქვე 168, 34; საფრტე უგონ მას მ 22, 15 DE; საფრტე მოუტდეს ლ 21, 35.

საფრტის პარალელურად იხმარება საბრტე: მიჩნენ ჩუნ საბრტეთაგან Sin 26, 168 r, 8; საბრტე ექმნა ქმარსა თვსსა A 19, 195, 2; შევრდომილ არს ფერტი მათი საბრტესა იობ. 18, 8; მოვიდენ საბრტენი მის ზედა, იქვე 18, 9; საბრტენი დაუდგენს კიმ. I, 195, 15.

საფრტე მომდინარეობს საფერტე-საგან¹⁰⁴ და ამდენად საბრტე-სთვის საფრტე-ა ამოსავალი¹⁰⁵.

საბრტე რეგრესული კონტაქტური ასიმილაციის შედეგად მიღებული ფორმა ჩანს. ასიმილატორია მელერი რ ბგერა.

განცკფრება → განცკბრება რეგრესული კონტაქტური ასიმილაციის შედეგი უნდა იყოს: განცკბრდა A 19, 324, 4; განცკბრებულნი A 95, 864, 5; განცკბრდეს იქვე 875, 8.

ქ. კეკელიძის ცნობით, ასეთივე შემთხვევა გვხვდება ყოფილი საეკლესიო მუზეუმის № 682 ხელნაწერშიც, რომელიც XIII საუკუნეშია გადაწერილი. ეს ხელნაწერი „ფ-ს წინაშე უპირატესობას აძლევს ყოველთვის ბ-ს. მაგ., განცკფრდა—განცკბრდა“¹⁰⁶.

ამსგავსა ← ამზგავსა. უდაბნოს მრავალთავეშია ასეთი მაგალითი: მათსა სახელსა ამზგავსა ლელჲ A 1109, 80 r, 5.

-გან თანდებულთან მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის -თ ელემენტი მელერდება, მაგ.:

¹⁰⁴ ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I მიწომბილველი, I, 1926, გვ. 210.

¹⁰⁵ ძველ ქართულში სიტყვა ფერტი სხვა შემთხვევაშიც რედუცირდება, მაგ., დავითის ფსალმუნში ეკითხულობთ: წიაღდა მდინარესა ფრტით 65.5.

¹⁰⁶ ქ. კეკელიძე, ტიმოთე ანტიოქელი, ენიშკის მთაბზე, VII, 1940, გვ. 29.

ეპყრა კიდელგან Sin 39, 84 v, 4; მლდელიდგან S 1138, 162 r, 13.

შემთხვევათა უმეტესობა ბრუნვის ნიშნისეულ თ ბგერას უცვლელად წარმოგვიდგენს: ამიერიითგან ხანმ. მრ. 144, 1; ვინაჲთგან A 95, 28, 3; საუკუნითგან A 1109, 1 r, 14.

არიოპაგი → არიობაგი: რომელთაგან იყო დიონოსოსს არიობაგელი Sin 39, 52 v, 22; შდრ. არიოპაგედ მიიყვანეს, იქვე 51 v, 7; შორის არიოპაგესა, იქვე 51 v, 10; შდრ. აგრეთვე ბერძნული Ἰεροπαγίτης. ასიმილატორი გ ბგერაა.

ასიმილაციური გამჟღერების შემთხვევები რომ უცხო არ არის საერთოდ ქართული წარმოთქმისათვის, ჩანს საერო მწერლობისა და ქართული ენის დიალექტთა მონაცემებითაც:

მელერი ბგერების დ, გ, ღ მეზობლობაში ყრუ ს, თ ბგერები მჟღერდება: მოზღის ← მოსღის; მაგიზგან ← მაგისგან; ამაზღამე ← ამასღამე; ერდგული ← ერთგული¹⁰⁷.

ასიმილაციის შედეგადვეა მიჩნეული ბლარტი და ბღერტა: „სამწერლობო ენის ბარტყი და ბერტყა სიტყვებმა ჯერ მეტათესი განიცადეს და მოგვცეს *ბყარტი, და *ბყერტა, შემდეგ მჟღერმა ბ-მ ყ აქცია ღ-ღ“¹⁰⁸.

შეიძლება დავასკვნათ: ძველ ქართულში დასტურდება ასიმილაციური გამჟღერების რამდენიმე შემთხვევა. მიმართულების მიხედვით პროცესი რეგრესულია; მანძილის მიხედვით კონტაქტური და დისტანციური.

მჟღერდება ფ, თ, პ და ს ბგერები: ასიმილაციის მომხდენიარ და გ ბგერები.

პროგრესული ასიმილაციური გამჟღერების შემთხვევა ჩვენს მასალებში არ შეგვხვედრია¹⁰⁹.

ასიმილაციური დაყრუების შემთხვევათა განხილვა გვიჩვენებს, რომ კომპლექსი მჟღერი + ყრუ იძლევა კომპლექსს ყრუ + ყრუ. ესაა რეგრესული ასიმილაციური დაყრუება. არის პირიქითაც:

¹⁰⁷ ა. მარტიროსოვი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, იბ.-კავკ. ენათმეცნიერება, ტ. VI, 1954, გვ. 95—97.

¹⁰⁸ ვ. თოფური, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში ტფილისის უნ. მოამბე, X, 1930, გვ. 293.

¹⁰⁹ შესაძლოა პროგრესული ასიმილაციის შედეგი იყოს აგაბოს: სახელი ერქუა აგაბოს საკმ. მოციქ. თ. 21, 10 ტ; შდრ. აღაპოს. იქვე D და ბერძნული Ἀγαβός.

კომპლექსი ყრუ + მელერი იძლევა ყრუ + ყრუ-ს პროგრესული ასიმილაციური დაყრუების შედეგად.

ახლა კი საწინააღმდეგო ვითარებასაც ვნახულობთ: მსგავსი კომპლექსი ყრუ + მელერი იძლევა კომპლექსს მელერი + მელერი (-ი თგან → -იღგან) ასიმილაციური გამქლევრების შედეგად.

რით უნდა აიხსნას ეს გარემოება? რატომაა, რომ ორი მსგავსი კომპლექსი სხვადასხვა შედეგს იძლევა? რატომ ამქლევრებს თ-ს გ და რატომაა თ „უძლური“, რომ დააყრუოს გ ბგერა? რატომ არ იძლევა -ი თგან ფორმა -ითქან'ს, მაშინ როცა ასეთ პროცესს არაფერი შეუშლიდა ხელს: არც ასიმილაციის მიმართულება— პროგრესული ასიმილაციური დაყრუება ჩვეულებრივია ძველ ქართულში; არც გ ბგერის ქ-დ ქცევა და არც თქ კომპლექსის არსებობის შესაძლებლობა?

მეორე ბხრივ, საკითხი დგება, რატომ ვიღებთ, მაგ., შდ კომპლექსის ნაცვლად ყოველთვის შთ-ს (დაშთომა, შიშთეილი...) ასიმილაციური დაყრუებით და არასოდეს უღ-ს ასიმილაციური გამქლევრებით?

ასეთი სხვადასხვაობის მიზეზის გარკვევა ზოგადი ფონეტიკის საკითხია და შემდგომი კვლევის საგანია.

II. დისიმილაციური გამქლევრება

ძველ ქართულში მოიპოვება ხშულთა დისიმილაციური გამქლევრების ფაქტები. დისიმილაციური გამქლევრება შეიძლება იყოს პროგრესული და რეგრესული მიმართულებისა.

1. პროგრესული დისიმილაცია

ტკებნა ← ტკეპნა: დატკებნეს A 19, 458, 1.

ესტადი ← ესტათი ← ევსტათი (← *Ἐσταθίος*): მაჰა ესტადი კიმ. I, 25, 20.

კაბარქ ← კაპარქ (← სომხ. *կապարք*): კაბარქნი A 1109, 62 r, 26; კაბარქთა იობ. 30, 11; შდრ. კაპარქნი კიმ. I, 110, 28.

ბეთბაგედ ← ბეთფაგედ: ბეთბაგედ მ 21,1; ლ 19,29; მრ 11,1 DE; შდრ. ბეთფაგედ, იქვე C და ბერძნული Βηθφαγῆ.

საბას შეტანილი აქვს ლექსიკონში სიტყვა ფასათი || ფსათი. ეს სიტყვა ბერძნულია და ჭილობს ჰქეიაო. აქვეა შეტანილი ფსიადი, რომელიც იმავე მნიშვნელობით იხმარება.

ფსიადი დისიმილაციური გამეღერების შედეგი უნდა იყოს, რამდენადაც ბერძნულშია $\psi\acute{\alpha}\mu\omicron\varsigma$.

ძველ ქართულში ჩვეულებრივ ამოსავალი ფორმაა დაკული: პარებსა ზედა წევნ ერთსა ფსჯათსა კიმ. II, 175, 14... დისიმილირებული ფორმით ეს სიტყვა არ შეგვხვედრია.

2. რებრასული დისიმილაცია

ბილწი ← პილწი: რაემს იხილოთ ბილწი იგი ოტრებისაჲ მ 24, 15 C; მრ 13, 14 C; შდრ. პილწ არს ლ 16, 15 C; შდრ. სომხ. *պիլի*.

ამ ძირიდან ნაწარმოები ბილწება, შემაბილწებელი... ოთხთავის შატბერდულ ხელნაწერებში ყოველთვის ბ-თია წარმოდგენილი.

ეპისკოპოსი ← ეპისკოპოსი: ეპისკოპოსი A 95, 69, 23; ეპისკოპოსისა A 19, 331, 1; ეპისკოპოსმან (იშხნის წარწერა); შდრ. ეპისკოპოსმან A 95, 69, 12; ეპისკოპოსისაჲ A 19, 474, 1; ეპისკოპოსმან (იშხნის წარწერა); საეპისკოპოსოდ კიმ. II, 161, 8 და ბერძნ. $\epsilon\pi\iota\sigma\chi\omicron\pi\omicron\varsigma$.

ეპისტოლე ← ეპისტოლე: ეპისტოლედ-ეპისტოლედ აღწერილი S 1138, 7 r, 18; ეპისტოლშ A 19, 37, 13; შდრ. ეპისტოლესა S 1138, 7 r, 2 და ბერძნ. $\epsilon\pi\iota\sigma\tau\omicron\lambda\eta$.

დრტჯნვა ← ტრტჯნვა: დრტჯნვიდეს მ 20, 11 DE; შდრ. ტრტჯნვიდეს მ 20, 11 C; ლ 5, 30 C; ლ 15, 2 C.

ამგვარად, ცვლილებას განიცდის სიტყვაში ორი ხშულიდან ერთ-ერთი: დისიმილირდება ყრუ მკვეთრი პ, ტ და ყრუ ფშინიერი თ, ფ, შედეგად ვიღებთ ბ და ღ მელერ ბგერებს.

შეიძლება დავასკვნათ: ყრუ ბგერის გამეღერება განპირობებულია სხვადასხვა ფონეტიკური ფაქტორით: ასიმილაციითა და დისიმილაციით.

დასკვნა

1. ძველ ქართულში მოქმედი ფონეტიკური კანონებია:

ა) ასიმილაციური გამეღერება (ყრუ + მელერი → მელერი + მელერი).

ბ) დისიმილაციური გამეღერება (ყრუ + ყრუ ↗ ყრუ + მელერი
↘ მელერი + ყრუ)-

გ) ასიმილაციური დაყრუება (ყრუ + მელერი → ყრუ + ყრუ; მელერი + ყრუ → ყრუ + ყრუ).

დ) დისიმილაციური დაყრუება

(მელერი + მელერი ↗ მელერი + ყრუ
↘ ყრუ + მელერი).

ე) სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მელერი ბგერის დაყრუება. ჩანს, ქართული წარმოთქმისათვის დაზნახსიათებელი ყოფილა არა მარტო ერთნაირი ბგერების განმსგავსება, არამედ მსგავსი ბგერებისაც: ორი მელერიდან ან ორი ყრუდან ერთ-ერთი იცვლება, კარგავს ან იძენს მელერობას იმავე კანონის თანახმად, რომლითაც ორი ერთნაირი ბგერა შეიცვალა. დისიმილაციური დაყრუების კანონის მოქმედება სავსებით ლოგიკურია.

2. ასიმილაციის კანონის მოქმედების სფერო გაცილებით ფართოვდება მაშინ, როცა სიტყვაში თავს იყრის ყრუ და მელერი ბგერები. ასიმილაციური ტენდენცია აქ საკმაოდ ძლიერი ჩანს. შედეგად ვიღებთ ან ორ ყრუ ბგერას (ასიმილაციური დაყრუებით), ან ორ მელერ ბგერას (ასიმილაციური გამეღერებით). პირველი გაცილებით ქარბობს მეორეს.

ამის მიზეზია მელერობის დაბალი ხარისხიანობა ძველ ქართულში. ამიტომაც, რომ მელერი და ყრუ ბგერების მეზობლობა სიტყვაში უმრავლეს შემთხვევაში ასიმილაციის კანონის მოქმედების სფეროდ იქცევა; ამიტომაც ისიც, რომ მელერი ბგერაა უმეტესად ცვლილი და ყრუ ბგერაა ასიმილაციური: მელერი ბგერა ჩვეულებრივ „უძლურია“ მოახდინოს ზეგავლენა ყრუ ბგერაზე. მსგავს კომპლექსებში (ყრუ+მელერი) ორი შესაძლებელი პროცესიდან უპირატესად ერთს აქვს ადგილი: მელერი ბგერა ყრუვდება.

თუ მელერობის ხარისხიანობაა დაბალი და ესაა მიზეზი ასიმილაციისა, კერძოდ, ასიმილაციური დაყრუებისა, მით უფრო საინტერესოა გაირკვეს — რა განსაზღვრავს ასიმილაციურ გამეღერებას.

სუბსტიტუცია

ძველი ქართული ენის ბგერითი მხარე გარკვეულ კანონზომიერ ცვლას განიცდის. ყოველ ცვალებადობას თავისი საფუძველი აქვს, ამიტომ შედეგიც განსხვავებულია. როგორც ზემოთ ითქვა, არსებობს ორი საპირისპირო მოვლენა: ერთი მხრით, ორი განსხვავებული ბგერა ემსგავსება ერთმანეთს და ეს დამსგავსება ხან ნა-

წილობრივია, ხან სრული; მეორე მხრით, ორი მსგავსი ან ორი ერთნაირი ბგერა განემსგავსება ერთმანეთს. ორივე მოვლენის — ასიმილაციისა და დისიმილაციის — შედეგი ზოგადად ერთია: სიტყვაში მოსალოდნელი ბგერა არ ჩანს, მის ნაცვლად სხვა ბგერა გვაქვს. ასეთი ცვლა დამახასიათებელია ქართული წარმოთქმისათვის უძველესი დროიდან დღემდე.

მაგრამ ქართულ წარმოთქმას სიტყვაში ბგერის სხვაგვარი ცვლაც ახასიათებს. ძველ ქართულში გვაქვს ასეთი პარალელური ფორმები: ვასკულავი || მასკულავი; ცხოუნდა || ცხომუნდა... სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მოვლენა ცნობილია სუბსტიტუციის სახელწოდებით.

ისმის კითხვა: რა არის სუბსტიტუციის საფუძველი?

გ. ახვლედიანის სიტყვით, „ხშირია ყოველ ენაში ისეთი ფონეტიკური მოვლენები, რომლებიც წარმოადგენენ ბგერის შეცვლას ცალკეულ სიტყვაში ან მხოლოდ რამდენიმე სიტყვაში — ფონეტიკური განპირობებულობის გარეშე“¹¹⁰.

შემდეგ ავტორი განაგრძობს: „ასეთი ბგერათშეცვლა, როგორც წესი, არაა კანონზომიერი, ფონეტიკური განვითარების შედეგი: იგი არაა, მაგალითად, არც ასიმილაციის და არც დისიმილაციის, არც მახვილიანობა-უმახვილობის შედეგი და ა. შ.

მაგ., ტიმოთე-ს... ნაცვლად ქართულად იხმარება კიმოთე: მომხდარა ტ-ს შეცვლა კ-თი; პატიყი — პატიჯი: ჟ-ს შეცვლა ჯ-თი და სხვ. არც ერთი ეს შეცვლა არ წარმოადგენს რითიმე განპირობებულ ფონეტიკურ ცვლილებას.

ესაა ბგერის ერთბაში, „შემთხვევითი“, სპორადული ცვლილება სიტყვაში. ერთგვარი „კანონზომიერება“, რომელსაც ადგილი აქვს ასეთ ბგერათშეცვლაში, მდგომარეობს იმაში, რომ ერთმანეთის შეცვლა შეუძლიათ მხოლოდ ისეთ ბგერებს, რომლებიც წააგვანან ერთმანეთს უმთავრესად აკუსტიკურად“¹¹¹.

შემდეგ გაკეთებულია დასკვნა: „როგორც ჩანს, ბგერათსუბსტიტუცია წარმოიქმნება ბგერათა არასწორი (არაადეკვატური) აღქმის ნიადაგზე. ამიტომ ეს მოვლენა უმთავრესად აკუსტიკურია“¹¹².

საკითხავია: ყველა ის შემთხვევა, რომლებიც მიჩნეულია სუბსტიტუციად, მართლა ბგერის არასწორი აღქმის შედეგია, თუ

¹¹⁰ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, 1936, გვ. 179.

¹¹¹ იქვე, გვ. 179.

¹¹² იქვე, გვ. 179.

ნაწილი მაინც ფონეტიკურადაა განპირობებული. თუ ფონეტიკურადაა განპირობებული, მაშინ საინტერესოა გაირკვეს — სახელდობრ რომელი ფონეტიკური კანონია განმსაზღვრელი. შემდეგ: თუ ცვლილების საფუძვლის განსაზღვრა ვერ ხერხდება, რამდენად შესაძლებელია შედეგი ბგერათა არაადეკვატური აღქმით აიხსნას?

1. ქართულ ენაში არსებობს პარალელური ფორმები: პატარა და ბატარა, პარაკლისი და ბარაკლისი... ძველ ქართულში: პილწი და ბილწი...

გ. ახვლედიანი¹¹² დისიმილაციის წესის გამოყენებით ახსნა ქართული წარმოთქმისათვის დამახასიათებელი ე. წ. დისიმილაციური გამეღერების შემთხვევები. ამის შემდეგ მთელი რიგი მაგალითები (მათ შორის ბარაკლისი, ბატარა-ც), რომლებიც წინათ მიჩნეული იყო ბგერის ერთბაში, სპორადული ცვლის შედეგად, გარკვეული კანონზომიერი ცვლის შედეგი აღმოჩნდა: ორი ყრუ ბგერიდან ერთ-ერთი დისიმილაციური გამეღერებით იქცა მეღერ ბგერად.

2. საერო მწერლობის ძეგლებში ერთნანეთის პარალელურად იხმარება კრიბა || კრიფა. ასევეა ძველ ქართულშიც: შეკრიფა საფასქ დიდი A 19, 435, 22; შდრ. შეკრიბეს ყოველივე იგი თესლები მრ 15, 16.

სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მაგალითი სუბსტიტუციის ნიმუშადაა მიჩნეული¹¹³.

შეიძლება აქ დავეშვათ დისიმილაციური გამეღერების საპირისპირო მოვლენა — დისიმილაციური დაყრუება. მაშინ ბგერათანაცვლება აღნიშნულ სიტყვაში გარკვეული ფონეტიკური ცვლის შედეგი აღმოჩნდება, მით უფრო, როცა დისიმილაციური დაყრუების კანონი არაა უცხო ქართული წარმოთქმისათვის. ამ კანონის გათვალისწინების შემდეგ ბგერათმონაცვლეობის მრავალი შემთხვევა, რაც ერთი შეხედვით არაკანონზომიერი, სპონტანური ხასიათისა ჩანს, ფონეტიკურად განპირობებული აღმოჩნდება.

3. საერო მწერლობის ძეგლთა ენის დამახასიათებელი სუბსტიტუციის ნიმუშთა განხილვისას ა. მარტიროსოვი ცალკე თავად გამოყოფს „ბოლოკიდური მეღერი თანხმოვნების დაყრუებას“. მაგალითებად დასახელებულია: აღექ ← აღეგ: გაყრევიენეფ ←

¹¹³ ა. მარტიროსოვი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, იბ.-კავკ. ენათმეცნიერება, VI, 1954, გვ. 109.

გაყრევინებ; დიახ ← დიალ... და ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დ-ს დაყრუების შემთხვევები¹¹⁴.

ეს თვისება ახასიათებდა ძველ ქართულ წარმოთქმასაც. ამის საილუსტრაციოდ მრავალი მაგალითი იყო ზემოთ მოყვანილი.

მსგავსი შემთხვევები სუბსტიტუციის ნიშნუბადაა გაგებული. სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მქლერი ბგერის დაყრუება რომ კანონზომიერი ფონეტიკური მოვლენაა, უეჭველია. ამდენად, მისი მოქმედების შედეგად მიღებული ფორმებიც არაა ბგერის არაადეკვატური აღქმის — სუბსტიტუციის — შედეგი.

შეიძლება დავასკვნათ: დისიმილაციური გამქლერება, დისიმილაციური დაყრუება, ბოლოკიდური მქლერი ბგერის დაყრუება ძველ ქართულში მოქმედი ფონეტიკური კანონებია. ამ კანონთა მოქმედებით აიხსნება ბგერათმონაცვლეობის რიგი შემთხვევები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში სუბსტიტუციის სახელით იყო ან არის ცნობილი.

ამ კანონთა გათვალისწინების შემდეგ ნათელი ხდება, რომ საქმე გვაქვს კანონზომიერი და არა შემთხვევითი, სპორადული ცვლის შედეგთან.

ძველ ქართულში ბგერათმონაცვლეობა შეინიშნება არა მარტო ქართული წარმოშობის სიტყვებში, არამედ უცხოური წარმოშობის სიტყვებშიც. გვაქვს, მაგალითად: ს ი მ ო ნ || შ ი მ ო ნ; მ ე ს ი ა || მ შ ი ა.

ამცნო მამასა ჩემსა შ ი მ ო ნ ს A 1109, 43 r, 12; შღრ. ს ი მ ო ნ მ 27, 32.

გამოჩნდა მ შ ი ა, რომელ არს ქრისტე A 95, 103, 16; რომელსა ზედა მ შ ი ა ჯუარს ეცუა A 1109, 42 v, 14; შღრ. ვპოვეთ მ ე ს ი ა ი 1, 41.

აქ. შ ა ნ ი ძ ი ს აზრით, „შ ი მ ო ნ (= ს ი მ ო ნ) და მ შ ი ა (= მ შ ი ა, მ ე ს ი ა) ასურული ფორმებია, რომელთაც სომხეთზე უნდა გამოეფლოს და რომლებიც, უეჭველია, ძველი ლიტერატურული გზების მაჩვენებელია“¹¹⁵.

ბერძნულიდან ბომდინარე ფორმებია ა გ ა ბ ო ს || ა დ ა ბ ო ს (საქმ. მოციქ. თ. 11, 28); ა რ ი ს ტ ა რ ქ ო ს || ა რ ი ს ტ ა რ ხ ო ს (საქმ. მოციქ. თ. 19, 29); პ რ ო ქ ო რ ო ნ || პ რ ო ხ ო რ ო ნ (A 19, 213, 5).

¹¹⁴ ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, იბ.-კავკ. ენათმეცნიერება, VI, 1954, გვ. 115.

¹¹⁵ ა. შ ა ნ ი ძ ე, ხანმეტი მრავალთავი, ტფ. უნ. მოამბე, VII, 1926, გვ. 107.

მათი პარალელური ხმარება ქართულში არ არის განპირობებული ქართული ენის ფონეტიკური თავისებურებით. ეს მონაცვლეობა სცილდება ქართული ენის წარმოთქმის თავისებურებათა სფეროს და მიუთითებს მათი ქართულში დამკვიდრების გზებისა და დროის რკვევის საკიროებაზე.

სუბსტიტუციის შემთხვევათა კვლევისას, ჩანს, უნდა გავმიჯნოთ საკუთრივ ქართული წარმოთქმისათვის დამახასიათებელი ბგერათმონაცვლეობა უცხო ენის ფონემათა მონაცვლეობისაგან. უფრო ზუსტად: ჯერ უნდა გაირკვეს ბგერათმონაცვლეობა საკვლევი ენის წარმოთქმის განეკუთვნება თუ არა და შემდეგ დაიძებნოს ბგერათმონაცვლეობის მიზეზი. შეუძლებელი არაა ზოგიერთ უცხო წარმოშობის სიტყვაში ცვლილება მომხდარი იყოს ქართული ენის ნიადაგზე, მაგრამ, ცხადია, თუ პარალელური ფორმები სასესხებელი ენიდან მომდინარეობს, ცვლილების საფუძველს ქართულ წარმოთქმაში ვერ ვიპოვნით.

ძველ ქართულში ერთმანეთს ენაცვლება არა მარტო არტიკულაციურად მსგავსი ბგერები, არამედ არტიკულაციურად განსხვავებულიც.

I. არტიკულაციურად მონათესავე ბგერათა მონაცვლეობა

აქ გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი: 1. ორი ბგერა ერთმანეთს ენაცვლება (მაგ., რომელიმე ბგერას ცვლის მსგავსი ბგერა და პირიქით); 2. ერთი რომელიმე ბგერა ცვლის მეორეს, მაგრამ მეორე არასოდეს არ არის შეცვლილი პირველის მიერ.

პირველი სახის ბგერათმონაცვლეობას შეიძლება ვუწოდოთ საურთიერთო ბგერათმონაცვლეობა, ხოლო მეორეს — ცალმხრივი.

1. საურთიერთო ბგერათმონაცვლეობა

ა) ზ — ძ

ზ რ ვ ა, შ დ რ. ძ რ ვ ა კოსტანტინეპოლისის ზენა ზ რ ვ ა ს ა სახლი დაიხულა კიმ. II, 218, 27¹¹⁶.

ც ხ რ ა ზ მ ა, შ დ რ. ც ხ რ ა ძ მ ა: ჩუენ ც ხ რ ა ზ მ ი ს კვეს კვეის-უფლად ვიყვენით (XI ს. ფიქალწერილი).

¹¹⁶ ამ ადგილს გამომცემელი კ. კეკელიძე ასე განმარტავს: „ზრვაა — მიწის ძრვა“, კიმენი, II, 1946, გვ. 221.

ანზიანზორი, შდრ. ანძიანძორი: გრიგოლი... ანზი ანზორს იქმნა ეპისკოპოს A 19, 269, 27; ანძიანძორეველ ეპისკოპოსისაჲ, იქვე 360, 6.

ზღუანვა, შდრ. ძღუანვა: რომლისა სახლი ეზღუან-ვოდა შესაკრებელსა მას საქმ. მოციქ. თ. 18, 7 C... ეძღუნებო-და, იქვე 4.

გვაქეს პირიქითაც: წინაღვეოლარი ძ ენაცვლება ზ ბერას: ბძარვა. შდრ. ბზარვა: განცნული და თრეული უბანთა ზედა, ცემული და გაბძარული A 19, 184, 10; რომელთამე ქვითა თავი დაებძარნეს A 95, 865, 10; შეიპყრა იგი და დაბ-ძარა A 19, 216, 13.

ბ) ვ — მ

მასკულავი, შდრ. ვასკულავი: მასკულავისა სიმ-დიდრს A 95, 91, 3; მასკულავნი მრ 13, 25 C; ვარსკუ-ლავთ მრაცხუველსა A 95, 80, 19; ვარსკულავისაჲ მ 2, 7 D¹¹⁷.

ემსგამსა, შდრ. ემსგავსა: კულად ადგილი იგი ემსგამსა ბერვასა აპრონისასა A 19, 432, 11; ემსგავსე-ბით მ 6, 8.

ევმაოს, შდრ. ემმაუს: ორნი მათგანნი მოვიდოდეს... დაბასა, რომლისაჲ სახელი ევმაოს ლ 24; 13 E; ემმაუს, იქვე DC.

ამოსავალია ემმაუს, ხოლო ევმაოს ბერის შენაცვლების გზით მიღებული ფორმაა. საგულისხმოა ხანმეტი ლექციონარის ჩვენება: ეს სიტყვა იქ ერთხელაა ნახმარი და გვაქეს ემმაოს: მოვიდოდეს დაბასა, რომლისაჲ სახელი ემმაოს 059, 13. ბერძ-ნულშიც ასეა: Εμμαῖος.

თუ ამ მონაცვლეობის საფუძველი არ არის ქართული წარ-მოთქმის თავისებურება — ორი ერთნაირი ბგერიდან ერთ-ერთის განმსგავსება, მაშინ ცვლილების სხვა მიზეზი, მსგავსად ზემოთ დასახელებული შემთხვევებისა, საკვლევია.

გ) ნ — მ

მიბრკუნა, შდრ. მიბრკუნა: მიბრკუნა დაბად. 27, 36; არა უბრკუნეს ი 11, 9 C; ი 11, 10.

წუმწუბი, შდრ. წუნწუბი: ჰევი წუმწუბითა აღგზე-ბული ესაიაჲსი, 30, 33; აწუმა ... წუმწუბი ლ 17, 29 C; წუნ-

¹¹⁷ ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავეში მხოლოდ ერთი ფორმით გვაქეს: ვარსკულავი || ვასკულავი.

წუბი, იქვე DE; წუნწუბაა დაბად. 19, 24; წუნწუბითა იობ. 18, 15.

ცხომდა, შდრ. ცხონდა: რამეთუ ჰცხომდეთ ჰაემ. ტექსტ. ი 46 r, 10; ცხონდა ლ 15, 24 C; სცხომდეთ კიმ. I, 143, 36; ცხომდებოდის კიმ. II, 44, 22; ცხონდა მ 9, 22 C.

დ) ლ — ნ

ქორწილი, შდრ. ქორწინი: ქორწილი ბგერის შენაცვლების გზით მიღებული ფორმაა. საგულისხმოა, რომ სახეცვლილი ქორწილი უფრო ხშირად გვხვდება ძველ ქართულში, ვიდრე ამოსავალი ფორმა ქორწინი. უკლებლივ ქორწილი გვაქვს, მაგალითად, ოთხთავის სამივე შატბერდულ ხელნაწერში: ქორწილი ძისა თჳსისაჲ მ 22, 2; მ 22, 8; ქორწინი უცვლელადაა შენახული ნაზმნარ სახელში — საქორწინე, ქორწინება და ზმნაში იქორწინებოდიან, განქორწინებოდიან: არა შეჰგავს ქორწინებაჲ მ 19, 10; იქორწინებოდიან მრ 12, 25; განჰქორწინებდენ მ 22, 30 CD.

ლარდიონი, შდრ. ნარდიონი: რომელსა აქუნდა... ნარდიონი მრ 14, 3 C; ლარდიონი ი 12, 3 C; შდრ. ბერძნული *ναρδωνος*.

მარმარილო, შდრ. მარმარინო: ტაქუკნი მარმარილოჲსნი ი 2, 6 C; მარმარინოჲთ კიმ. I, 153, 5; მარმარინო, იქვე 133, 28; შდრ. ბერძნ. *μαρμαρινος*.

გიძნავს, შდრ. გიძლავს: გიძნავს საქმ. მოციქ. თ. 15, 1 D; გიძლავს, იქვე C; მიძლავს A 19, 395, 20; 395, 21.

ე) მ — ბ

განვრცომილი, შდრ. განვრცობილი: გული ჩუენი განვრცომილ არს S 1138, 9 r, 7.

დაუქნომელი, შდრ. დაუქნობელი: მტევანი მწიფს დაუქნომელი კიმ. I, 158, 13.

თუ აქ არა გვაქვს -ომ- || -ობ- სუფიქსთა მონაცვლეობა, მაშინ მ || ბ ბგერათა მონაცვლეობის საფუძველი საკვლევია¹¹⁸.

¹¹⁸ ბ ბგერა ენაცვლება მ ბგერას ბერძნული წარმოშობის სიტყვაში ბოქლონი (← *μολχλός*); ძველ ქართულში, ჩვეულებრივ, მოქლონი იხმარება.

ა) რ ენაცვლება ლ ბგერას: თ ა ფ რ უ ქ ი, შდრ. თ ა ფ ლ უ ქ ი: განპკრთეს თ ა ფ რ უ ქ ი ს ა თ ჯ ს ესაიამსი 28, 7; შესცოდეს თ ა ფ რ უ ქ ი თ ა, იქვე 28, 7; თ ა ფ ლ უ ქ ი ა რ ა ს უ ა ს ლ i, 15 DE.

ბ) ყ ენაცვლება ჳ ბგერას: ყ შ ი რ ი, შდრ. ჳ შ ი რ ი: ვითარცა ყ შ ი რ ა დ და მრლვედ გარდააქცევენ A 1109 55 v, 9. და ყ შ ი რ ი ბ ი ლ ი, შდრ. და ჳ შ ი რ ი: და ყ შ ი რ ი ბ ი ლ ს ა მ ა ს მძინარე-ბასა გონებისასა განალძებდა A 1109, 59 v, 13; კარი და ჳ შ უ ლ ა რ ს ლ 11, 7; კართა და ჳ შ უ ლ თ ა ი 20. 26.

გ) სა ლ ო დ ე ბ ე ლ ი, შდრ. სა გ ო დ ე ბ ე ლ ი: ადგილსა რ ო მ ე ლ ს ა სა ლ ო დ ე ბ ე ლ ე წ ო დ ე ბ ის A 1109, 10 v, 8.

თუ ამ სიტყვას კავშირი აქვს სა გ ო დ ე ბ ე ლ 'თან. მაშინ სა-ლოდებელ'ში ლ ბგერა გ ბგერის მონაცვლედ უნდა მივიჩნიოთ.

დ) ზ ენაცვლება ს ბგერას: ს ი ზ რ ქ ე, შდრ. ს ი ს ქ ე ← *ს ი ს რ ქ ე : ს ი ზ რ ქ ე მ რ 4, 5 C; ჯორჯი ესე ზ რ ქ ე ლ ი ა რ ი ა ნ A 19, 65, 30; მთისასა ზ რ ქ ე ლ ი ს ა ესაიამსი 28, 1.

საბას განმარტებით, ს ი ზ რ ქ ე ი გ ი ე ვ ა, რ ა ც ს ქ ე ლ ო ბ ა (ზ რ ქ ე ლ ო ბ ა). მაგრამ ს ქ ე ლ 'ს ა და ზ რ ქ ე ლ 'ს შ ო რ ის ს ე მ ა-სიოლოგიური სხვაობაა: „ს ქ ე ლ ი ი თქმის ნოტიოთა და სისხლ-თა და წვეთათჳს, ხოლო ზ რ ქ ე ლ ი ყოვლისა სხეულიანისათჳს და გაუქვრვალისათჳს“.

ძველი ქართულის მონაცემებიდან ჩანს, რომ ს ქ ე ლ ი შეიძ-ლება იყოს არა მარტო იმის ატრიბუტი, რაც დასათხვეველია (ნო-ტიოთა), არამედ სხვისაც. ოთბთავის 'მატბერდულ ხელნაწერებში, მაგალითად, გვაქვს: არა იყო ს ი ს ქ ე მ ი წ ი ს ა მ მ 13, 5 DE; ს ი ს ქ ე მ ი წ ი ს ა მ მ რ 4, 5 C.

აღნიშნულ ბგერათა მონაცვლეობის საფუძველი დასადგენია.

ე) წინანუნისმიერი ხ ბგერა ენაცვლება უკანანუნისმიერ ზ ბგერას: და კ ს ვ ა, შდრ. და ჳ შ ვ ა (და ჳ ჳ ა შ კ არ ი შ ე ნ ი მ 6, 6): და ჳ ჳ ს ა ვ თ სასუფეველსა ცათასა მ 23, 14 C; და ჳ შ ა ს კ არ ი ლ 13, 25; და ე ჳ შ ა მ 25, 10.

სპირანტთა ასეთი მონაცვლეობის საფუძველი თითქოს არ ჩანს, თუ მხედველობაში არ წივილებთ ბგერათა კომპლექსს.

II. არტიკულაციურად განსხვავებულ ბგერათა მონაცვლეობა

ა) ც || თ

პარალელური ფორმებიდან ნაქურცენი, ნაქურთენი ძნელია თქმა, თუ რომელია ამოსავალი, მაგრამ, ცხადია, მონაცვლეობა ებება არტიკულაციურად განსხვავებულ ბგერებს — წინა-ნუნისმიერ სისინა ც ბგერასა და კბილისმიერ თ ბგერას: მყის გარდამოვარდის თუალთაგან მისთა ვითარცა ნაქურცენი რაამე საქმ. მოციქ. თ. 9, 18 1): შდრ. ნაქურთენი, იქვე 2; მყის გარდამოვარდის თუალთაგან მისთა ვითარცა ნაქურთენნი რაამე Sin 39, 21 r, 21.

ბ) ყ || კ

საბაას ლექსიკონში შეტანილია სიტყვები ტყბილი და ტკბილი, რომლებიც ასეა განმარტებული: ტყბილი — ძველნი ყურძნის წვეწვს ტკბილსა ესრე ტყბილს უწოდენ; ტკბილი — თაფლის გემოსავით.

თუ ტყბილი იგივეა წარმოშობით, რაც ტკბილი, მაშინ აშკარაა კ და ყ ბგერათა მონაცვლეობა.

ძველ ქართულში გვაქვს სიტყვა შეტყობა: შეიტყობო იგი მრ 9, 36 C. ჯრუჟ-პაროილის ხელნაწერის ჩვენებიდან ნათელი ხდება ამ სიტყვის მნიშვნელობა; აქ გვაქვს: მკლავთა მოიქუა იგი მრ 9, 36 DE. მოქუმა ნიშნავს აყვანას, ჩახუტებას. აქედან ნათელია შეტყობა'ს მნიშვნელობა: შეტყობა — შეტყუება გულში ჩაკვრა, ჩახუტებაო — ასეა განმარტებული ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონში.

ეგების ამ სიტყვას (შეტყობა'ს) კავშირი ჰქონდეს ტყბილ'თან (|| ტკბილ'თან). თუ ეს ასეა, მაშინ კ და ყ ბგერათა მონაცვლეობა აქაც გვექნება: შეტყობა || შეტკობა¹¹⁹.

დავასაბელებთ მაგალითებს ხელნაწერებიდან: საფასესა მას ცხორებისასა შეიტყობდა A 19, 20, 21; მოვიხუენით წმიდათა იგი ნაწილნი და თაყუანის ვეცათ და შევიტყუბენით, იქვე 106, 4; შეიტყობო სიხარულით A 1109, 64 r, 19; საუკუნოე ცხორებაჲ შეიტყობო A 95, 116, 8.

¹¹⁹ შდრ. ტყუბი და ქანური ტკუბი (ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფ. 1937, გვ. 397) და მეგრული ტკუტკუბირო („ტყუბ-ტყუბად“).

კ || ყ ბგერათა მონაცვლეობა სხვა სიტყვებშიც შეინიშნება; შდრ. მაგ. ყურდგელი (ლევიტ. 11,5) და კურდღელი (საბა); შდრ. აგრეთვე: ჯირკვალი და დიალექტ. ჯირყვალი.

ჩ უნდა ენაცვლებოდეს ც ბერას ისეთ სიტყვებში, როგორცაა: ფ რ ც ხ ი ლ ი || ფ რ ჩ ხ ი ლ ი, ფ რ ც ხ ე ნ ა || ფ რ ჩ ხ ე ნ ა: ფ რ ც ხ ი ლ თ ა მათა განაცუმიდეს კიმ. II, 106, 11; მოილე შენ.. ფ რ ც ხ ი ლ ი გამოსლვ. 30, 34; რომელნი ფ რ ც ხ ე ნ ე ნ ფ რ ც ხ ი ლ ი თ ა ლევიტ. 11, 4; შდრ. ფ რ ჩ ხ ი ლ ი თ ა ფ რ ჩ ხ ე ნ დ ე ს ლევიტ. 11, 3; ფ რ ჩ ხ ე ნ ს ფ რ ჩ ხ ი ლ ი თ ა ლევიტ. 11, 7.

ბ ენაცვლება ჰ ბერას:

ე ტ ი ფ ა ნ ე, შდრ. ე პ ი ფ ა ნ ე: ესე მე ე ტ ი ფ ა ნ ე ს კათალიკოზსა დამიწერია (ანისის 1218 წ. წარწერა); ე პ ი ფ ა ნ ე კიმ. II, 201, 6.

მსგავსი მონაცვლობა, ნ. მ ა რ ი ს ცნობით, ახასიათებს გრ. ხანძთელის ცხოვრების შემცველ ხელნაწერსაც (XII ს.); აქ გვაქვს: ე ტ უ ფ ა ნ ე || ე პ ი ფ ა ნ ე¹²⁰.

ჩვენ განვიხილეთ ბგერათმონაცვლობის შემთხვევები ძველ ქართულში. ყველა დასახელებული მაგალითი მოიპოვება სხვადასხვა წარმომავლობისა და ქრონოლოგიურად განსხვავებულ წერილობით ძეგლებში. მათ შორის საერთო, რაც ნებას გვაძლევს ვიმსჯელოთ მათზე, არის ის, რომ ისინი განეკუთვნებიან V—XI საუკუნეებს. ეს საუკუნეები კი, როგორც ცნობილია, გულისხმობს ქართული ენის განვითარების ერთ ისტორიულ პერიოდს, რომელიც ძველი ქართული ენის სახელწოდებითაა ცნობილი.

საერთო სურათი ასეთია:

ერთმანეთს ენაცვლება მღერეი ბგერები ზ და ძ, ვ და შ, ნ და მ, ლ და ნ.

საგულისხმოა შემდეგი: მ ბგერას შეიძლება შეენაცვლოს არა მარტო ვ ბგერა (ე ვ მ ა ო ს), არამედ ნ ბგერაც (მ ი ბ რ კ უ ნ ა); მეორე მხრივ, მ ბგერა შეიძლება შეენაცვლოს არა მარტო ვ ბგერას (მ ა ს კ უ ლ ა ვ ი), არამედ ნ ბგერასაც (ც ხ ო მ დ ა); იგივე ნ ბგერა შენაცვლებულია ლ ბგერითაც (ქ ო რ წ ი ლ ი).

რა უნდა იყოს ამ მონაცვლობის საფუძველი?

ჩანს, რომ ერთმანეთს ენაცვლება მღერეი ბგერები. ეს იმას ნიშნავს, რომ მიზეზი მონაცვლობისა არ შეიძლება იყოს არც დისიმილაციური გამჟღერება (ორივე ბგერა ნელერია!), არც დისიმილაციური დაყრუება (ცვლის შედეგად ისევ მღერეი ბგერები გვაქვს), არც ასიმილაცია (შენაცვლებამდე და შენაცვლების შემდეგაც

¹²⁰ Н. М а р р, Георгий Меркун, 1911, გვ. 11.

მსგავსი ბევრები გვაქვს). მიზეზი ცვალებადობისა თითქოს არ ჩანს. მაგრამ ნიშნავს განა ეს იმას, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ბგერის ერთბაშ, „შემთხვევით“, სპორადულ ცვლილებასთან?

ზემოთ დასახელებული დიალექტური ბატარა (← პატარა) სუბსტიტუციის, ე. ი. ბგერის სპორადული, „შემთხვევითი“ ცვლის შედეგად მიაჩნდათ მანამ, სანამ არ დადგინდა დისიმილაციური გამჟღერების კანონზომიერება. ამის შემდეგ ნათელი გახდა, რატომ მივიღეთ ბატარა: გვაქვს ისეთი ბგერათმონაცვლეობა, რომლის საფუძველი ვიცით. თვით ასეთი და მსგავსი ფაქტების არსებობა, აგრეთვე ის გარემოება, რომ ერთმანეთს ენაცვლება არა მარტო არტიკულაციურად მსგავსი, არამედ განსხვავებული ბგერებიც, გვაძლევს უფლებას, აღვნიშნოთ: ბგერათმონაცვლეობა, რომელიც სუბსტიტუციის სახელითაა ცნობილი და რომლის საფუძველი ჯერ უცნობია, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ბგერის არასწორი აღქმის შედეგად, აკუსტიკურ მოვლენად. შეუძლებელი არაა ბგერი მათგანის ფონეტიკური საფუძველი ისევე გაირკვეს, როგორც გაირკვა პატარა'ს ბატარა'დ ქცევის მიზეზი.

თუკი ბგერათმონაცვლების საფუძველი სხვა შემთხვევაშიც გაირკვევა, მაშინ საკითხავია: რა შინაარსი დარჩება სუბსტიტუციას, როგორც ცნებას, როგორც სახელწოდებას? იქნება კი იგი ერთი რომელიმე ფონეტიკური მოვლენის აღმნიშვნელი?

ანგვარად, სიტყვის ის ცვლილებანი, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ, გარკვეული ფონეტიკური ცვლის შედეგია. ზოგი მათგანის ცვალებადობის ფონეტიკური საფუძველი ჩანს, ზოგისაც საკვლევი.

ბგერათა დაკბრკვა

I. სმოვანთა რედუქცია

ძველ ეპიგრაფიულ და წერილობით ძეგლებში, ერთი მხრივ, დაცულია სიტყვის სრულხმოვნობა, ჰეორე მხრივ, სიტყვიდან ამოღებულია ორი ხმოვანიც კი. ნათქვამი ეხება მეტყველების ყველა ნაწილს, სახელსაც და ზმნასაც. ჩვენ მიერ განხილულმა ძეგლებმა ამ მხრივ გამონაკლისი არ იცის.

X საუკუნის ხელნაწერი „სვანური მრავალთავი“, მაგალითად, ასეთ სურათს იძლევა:

რედუცირებულია ა ხმოვანი

სახელებში:

-ალ-: სძლისა 302, 8; ძლით 470, 3; წყლითა 349, 27; წყლად 394, 32; სძლად 36, 27.

-ან-: ტვენისა 468, 30; შროშნითა 139, 32; არგნითა 464, 25; ჰურიასტნად 369, 1; ახოვნად 406, 29.

-ავ-: მეძვისა 128, 12; 42, 12.

-არ-: ცხედრისა 296, 32; მოძღურისა 301, 19; გუჯრისაგან 329, 31; ფუტკრისა 115, 29; ცხოვრისა 191, 13; შაშრითა 124, 7 (შდრ. ლაიფარა შაშარი იგი შინაგან 122, 12); ტაძრად 330, 13; 460, 17; მქედრად 459, 11.

-ამ-: ლერწმითა 381, 6.

ამოღებულია ა სხვა შემთხვევაშიც: ქადგებისა (!) 25, 15.

მიმღეობებში:

-ალ-: აღმოსავლადმდე 24, 26.

-ავ-: მცურვალნი 369, 24; საკრველნი 45, 31; შეუძრველ 96, 24.

-არ-: მაცხოვრისა 356, 4; საკმრისათჳს 305, 12; უკმრისა 479, 8; წინამძღურად 37, 30; საჯსრად 10, 21; მაცხოვრად 10, 29; საკმრად 80, 19.

ამოღებულია ფუძისეული ა სხვა შემთხვევაშიც: უცხოსა და უკუღეველსა გზასა მოვიდა 41, 31 (შდრ. შეუღგეს კუალსა მისსა ი 1, 40 C).

ზმნებში:

-ალ-: გძლე 279, 15; მწყლეს 105, 4; იწყლა 119, 29; გაძართლდების 311, 25.

-ავ-: ჰყვით 29, 27.

-არ-: აღიპყრა 277, 18; მომედგრდებოდის 116, 31; შეუვრდეს 233, 2; შეუვრდა 221, 26; 249, 27.

მაგრამ მსგავს ვითარებაში ა არ რედუცირდება.

სახელებში:

-არ-: თთუესა იანვარისასა 418, 17.

-ან-: ქუეყანისაჲ 377, 10; მწინკულეევანისა 385, 2.

მიმღეობებში:

-ალ-: მომავალისა 480, 24; მფრინვალისა 343, 7; მრავალით 443, 8; ნაკუერცხალითა 302, 9; ნაცვალად 458, 24; აღმომავალად და დამავალად 315, 21.

-არ-: მაცხოვარებისაჲ 20, 25; საქმარად 141, 5.
ასევეა ნაზმნარ სახელებში: ამპარტავანებითა 63, 5;
ნაკლულევანებითა 60, 27.

ზმნებში:

-ან-: თარგმანებენ 46, 25.

-არ-: აღვიზარდებით 76, 10.

რედუცირებულია ე ხმოვანი

სახელებში:

-ელ-: სოფლისა 328, 14; ცხოვლისა 114, 25; ნავ-
ლლისა 70, 14; ნტკაველითა 200, 12; სოფლად 372, 3;
მესათხეველენი 42, 7; ცხოვლივევე 486, 8.

-ენ-: ძლუნის შემწირველ ვართ 37, 7; უბრძნსთა
274, 3.

მიმღებობებში:

-ელ-: ნათლისაჲ 314, 24; საკურთხეველისაგან
282, 14; დამბადებლისაგან 63, 29; სასუმლისა 367, 25;
მშობლისაჲ 280, 10; სამოსლითა 271, 2; სასყიდლით
305, 19; საშუებლითა 368, 14; სასუმლითა 123, 4; ფიც-
ხლითა 227, 18; სარკუმლით 167, 28; ნათლითა 363,
5; გასაყოფლად 434, 31; ფიცხლად 439, 6; სასუმ-
ლად 439, 2; საყოფლად 461, 10; მშობლად 355, 2; სა-
მოსლად 357, 5; საქმლად 394, 29.

ზმნებში:

განალმრთნა 309, 21; განირცხა 349, 29.

მსგავს ვითარებაში ე არ რედუცირდება

სახელებში:

-ელ-: მლდელისაჲ 248, 12; 275, 10; მლდელად
378, 11; ფარისეველისა 368, 17; ქურქელად 47, 30.

-ენ-: მარცხენით 139, 12; 239, 31.

-ერ-: მტერისა 196, 30; 10, 15; მტერისათა 394, 23;
ქურქერის 280, 30; უღმერთოსა 11, 19.

მიმღებობებში:

-ელ-: სასუფეველისასა 430, 25; საქსენებელისა
464, 5; სჯდომელისა 308, 14; სამკვდრებელით 277,

20; სასმენელითა 309, 21; სარეცელად 439, 7; სანთელად 421, 32; მისაპკურებელად 80, 11; საგალობელად 424, 1; სარცხუნელად 437, 25; საკდემელად 451, 24; განსასუენებელად 285, 14; საკურთხეველად 298, 9; მოსაგონებელად 314, 3; საწამებელად 326, 31; სარგებელად 331, 10; საწმედელად 378, 29; საცხოვრებელად 10, 3... ნათლის მცემელისა 316, 4; მშობელისა 371, 1; მდებელისაჲ 374, 23; მპყრობელისა 379, 15; მახარებელისაგან 31, 4... განუქარყებელითა 423, 6; დაუდუმებელად 189, 16; შეუძრწუნებელად 182, 15; დაუჯდომელად 421, 18; დაუბრკოლებელად 460, 8; უტყუველად 311, 10; უცთომელად 357, 7; გნუყოფელად 363, 15; უღმობელად 375, 13; გამოუჭუებელად 52, 18.

ასევე შეუქუმშავია: მღდელობად 327, 4; გამოუჩინებელობაჲ 115, 15.

ქართულში გამოიყოფა რიგი ზმნებისა, რომლებსაც ბოლოკიდურად -ევ, -ენ, -ელ, -ეზ, -ეთ, -ეზ, -ეფ, -ეპ, -ეს, -ეშ, -ეზ, -ერ, -ელ, -ეკ, -ექ, -ეხ, -ეც, -ეჩ, -ეწ, -ეჭ, -ეჯ სუფიქსები აქვთ¹²¹. ასეთი ზმნები დროთა შეორე ჯგუფში ფუძისეულ ე-ს ნაცვლად ი-ს წარმოგვიდგენენ ხოლმე: წმედ — წმიდე... და ფუძედრეკად ზმნათა სახელწოდებით არიან ცნობილნი¹²².

ფუძისეული ხმოვნის ალტერნაციის მიზეზი შესაძლოა ხმოვნით დაწყებული მახვილიანი სუფიქსი იყოს, მაშინ ი ნაწილობრივო რედუქციის შედეგი აღმოჩნდება¹²³.

ო-ს რედუქციის შემთხვევებს ცალკე აღარ დავასახელებთ, აღენიშნავთ კი: ისევე როგორც სხვა ძეგლებში, აქაც ო ზოგჯერ უკვალადაა დაკარგული: ეგდენ 129, 16; 399, 19, ზოგჯერ კი უცვლელადაა შემონახული: დიაკონად 300, 6; დიაკონებისაჲ 300, 17.

ძველ ქართულში რედუქციას განიცდის არა მარტო ა, ე, ო ხმოვნების შემცველი ფუძე, არამედ ამოიღება ი და უ ხმოვნებიც.

¹²¹ ვ. თ. თ. ფ. რ. ი. ა. ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, ტფილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, III, 1936, გვ. 229—232.

¹²² იქვე, გვ. 230.

¹²³ ა. ჩიკობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში, ენიშკის მოაზრებ., V—VI, 1940, გვ. 36—37.

ი-ს რედუქციის რამდენიმე შემთხვევა დასახელებული აქვს ვ. თოფურიას ნაშრომში „რედუქციისათვის ქართველურ ენებში“¹²⁴: მომცრო, შდრ. მცირე; აბჯენს, შდრ. ბიჯი; ალორძნდებოდა, შდრ. ალორძინება, ორძილი; ბატკანი, შდრ. ბათიკანი; მარგელა, შდრ. მარგილი; ინგდატიტბვა, შდრ. ტიტტიბი; თხილი, შდრ. სვან. შდიხ; სიყმილი, შდრ. სვან. ჩვადჯიმე.

შეიძლება დავუმატოთ:

ძველ ქართულში გვაქვს ნაზმნარი სახელები: დასულება (= გაშეშება, შეშფოთება, დაბნედა), დასულეებული: იწყო დასულებად მრ 14, 33 DE; იყენეს გულნი მათნი დასულეებულ მრ 6, 52 DE.

გვაქვს ზმნაც: ხედვედ მას და დასულბიან ლ 2, 48 C; დაუსულბეს გულნი მათნი ი 12, 40 DE... ზმნის ფორმა ი-ს რედუქციით უნდა იყოს მიღებული; შდრ. შეუსულბინა გულნი მათნი ი 12, 40 C.

ჯრუტის ოთხთავში გვხვდება ასეთი მაგალითი: ვითარცა ელვაჲ რაჲ გამობრწყინდის მ 24, 27; აღიშისაში არის — გამობრწყინდის.

თუ გამობრწყინდის გადამწერის შეცდომის შედეგი არაა, მაშინ ი-ს რედუქცია ექვს არ გამოიწვევს.

იგივე შეიძლება ითქვას „სვანურ მრავალთავში“ დაცული ფორმის შესახებ: აქუნდა შერაცხლებაჲ (← შერაცხილებაჲ) ღმრთისაჲ 116, 15.

ახალი ქართულის ჯეჯილი-ის მნიშვნელობით ძველ ქართულში ჩვეულებრივ ჯეჯლი გვხვდება A 19, 435, 20; 410, 18; Sin 26, 18 r, 2... ხომ არაა ჯეჯლი შეეკმშული ფუძე?

ი-ს რედუქციით უნდა იყოს მიღებული დაცრცნის: ვა მლილმან მატლი დაცრცნის A 19, 117, 23.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ძველი ქართულის უმარცვლო უ-ს წარმოშობის ერთ-ერთი გზაა უ-ს რედუქცია. „თუ ძირში უ არის და მას მოსდევს ხმოვნით დაწყებული ფორმანტი, ის უ ნარედუქციალია“¹²⁵.

ახალ ქართულში რედუქცირებული უ-ს შესატყვისად ან არაფერი გვაქვს (სმა, თქმა...), ან გვაქვს ვ თანხმოვანი (შესვა, თქვა...).

¹²⁴ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, 1946, გვ. 75—76.

¹²⁵ ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, გვ. 81.

დაკარგულია უ ბგერა რედუქციის შედეგად ძველსავე ქართულში (და არა მხოლოდ ბაგისმიერთა მეზობლობაში):

აღთქმისა Sin 26, 229 v, 7; შდრ. აღთქუმისაჲ მ 26, 28.

გამოუთქმელად Sin 20, 32 v, 3; Sin 26, 124 r, 9; გამოუთქმელო Sin 26, 149 v, 5; ვა თქმულ არს ლ 2, 24 D; თქმული მ 13, 35 D; შდრ. თქმული მ 1, 22.

წოდეს წუთნი Sin 20, 67 v, 10; შდრ. დასწუთა სისხლი Sin 26, 229 v, 12.

შეწყდომილ იყვნეს Sin 20, 105 r, 7; მომწყდარი Sin 20, 78 r, 18; შდრ. მოსწყვდნეთ მ 23, 34; მოგწყვდნენ მ 24, 9 და: რომელნი-იგი მოსწყუედდენ კორცთა თქუნთა მ 10, 28 C.

ჩვეულებრივ რედუცირებულია მოწყუედა ზმნის ენებითის ფორმა: მოვწყუდეთ ი 11, 16; მოვწყუდებით S 1138, 40 v, 15; მოსწყუდეთ ი 8, 21; მოწყუდეს მ 2, 20.

რედუცირებულია უ ამ ზმნისაგან ნაწარმოებ მიმღეობაშიც: მომწყდარი A 95. 114, 7; მწყდარი ლ 10, 30 E; შდრ. მწყუდარი, იქვე DC.

მიუწდომელ არიან 313, 11 (← მიუწუდომელ).

მკედარმან ლაჭრითა გუერდი შენი განალო Sin 26, 259 v, 10; ლახრითა განხეთქე, იქვე 247 r, 8; 259 v, 10; შდრ. ლახრითა უგუმირა ი 19, 34.

ეტყუდ... სიტყუთა ლიქნისაჲთა A 19, 420, 19; შდრ. ახალი ქართული მლიქვნელი.

მსგავსად მკდრისა Sin 26, 257 v, 16; ძმაჲ მოუკდეს ლ 20, 28 D; მრ 12, 19 D; შდრ. მოუკუდეს, იქვე E; მკუდრად შეირაცხე Sin 26, 176 v, 8.

ლახურითა უგუმირა ი 19, 34 C; შდრ. უგუმირა, იქვე DE.

წინაუკმო იშვების A 19, 316, 24; რვით დლით წინაუკმო, იქვე 316, 21; შდრ. რვით დლით წინაუკუმო, იქვე 316, 27; ქარი წინაუკუმო იყო მრ 6, 48 C.

უკმოდგებოდეს A 95, 135, 29; უკმოიპყრა კიმ. II, 204, 25; უკმოაქცია A 95, 103, 30; ნუ უკმოიქცევინ ლ 17, 31 C; შდრ. უკუმოიქცევინ მ 24, 18 C.

ნუკუე ჩუენცა გუეუწყოს A 19, 251, 18; ნუკუე... გტანჯოს, იქვე 250, 31; 440, 5; შდრ. ნუუკუე მიგტეს... მსაჯულსა 5, 25.

მაყლოვანსა ზედა მრ 12, 26 D; შდრ. მაყლოვანსა
ლ 20, 37 DE; მაყლოვანით A 19, 311, 23.

საკმილი ცუართა დაშირტე Sin 26, 216 v, 14; 256 v,
19; შდრ. საკუმილსა მ 13, 42.

სინური წარმომავლობის ხელნაწერში (Sin 26) გვაქვს ასეთი
მაგალითებიც: მაშრალთა (← მაშურალთა) 197 v, 6; და-
ემშქალე (← დაემშქუალე) 236 r, 9; სიშიშლე (← სი-
შიშულე) 255 r, 9; წარმოტყენნა (← წარმოტყუენნა)
255 v, 3; იქმია (← იქუმი) 46 v, 5.

სპეციალურ ლიტერატურაში ქართული მახვილის საკითხი
შედარებით-ისტორიული თვალსაზრისითაა განხილული.

ა. ჩიქობავას აზრით, ძველ ქართულში, განსხვავებით ახა-
ლი ქართულისაგან, მახვილი ინტენსიურ-დინამიკურია და არაა
სტაბილიზებული გარკვეულ მარცვალზე, არაფიქსირებულია¹²⁶.

მახვილსა და ხმოვნის რედუქციას შორის გარკვეული კანონ-
ზომიერი ურთიერთობა არსებობს¹²⁷. სწორედ ხმოვანთა რედუქ-
ციაა უეჭველი შედეგი ინტენსიურ-დინამიკური მახვილის მოქმე-
დებისა ქართულში¹²⁸.

იმ რყევიდან, რომელიც ხმოვანთა რედუქციის მხრივ ძველ
ქართულს ახასიათებს, ჩანს „ქართველური ენები და ის ენობრივი
(დიალექტობრივი) ფენები, რომელთა კვალიც დარჩენილა ძველს
ქართულში, მახვილის მხრივ განსხვავებული უნდა ყოფილიყო“¹²⁹.
ინტენსიური მახვილის მქონე ორი დიალექტობრივი (თუ ენობრი-
ვი) ფენა ძველ ქართულში ფაქტია, მაგრამ „ალბათ, ისეთი კილო-
ებიც იყო, სადაც მახვილი არ იყო არც ინტენსიური და არც დი-
ნამიკური, არამედ — მუსიკალური: ფუძეუკუმშველობა ამ კილოს
(თუ კილოების) შემონატანია ძველ ქართულში“¹³⁰.

¹²⁶ ა. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, საქ. სსრ
მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, № 3, 1942, გვ. 298.

¹²⁷ ვ. თოფურია, სვანური ენა, I, 1931, გვ. 154; ა. ჩიქობავას
დასახელებული ნაშრომი, გვ. 298; მისივე, სახელის ფუძის უძველესი აგებუ-
ლება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 108; გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონე-
ტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 137.

¹²⁸ ა. ჩიქობავას აზრით, ძველ ქართულში, გ. ახვლედიანის
აზრით, უძველეს (მწერლობამდელ) ქართულში.

¹²⁹ ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება..., გვ. 110.

¹³⁰ ა. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის..., გვ. 299.

გ. ახვლედიანი ძველი ქართული ენის ფაქტობრივ მონაცემებს სხვაგვარ ახსნას უძებნის: „ძველი (მწერლობით დადასტურებული) ქართულის ისეთი პერყეობა, როგორცაა სადიდებელად — სადიდებლად (რაც დღემდეა დამახასიათებელი ქართულისათვის), მოწმობს იმას, რომ უკვე ძველ ქართულზე ითქმის ის, რასაც ავტორი (ა. ჩიქობავა) ახალ ქართულზე ამბობს („უფრო ტრადიციული ნორმის შედეგია, ვიდრე მახვილის გავლენისა“)“¹³¹. „ის ვითარება მახვილის მხრივ, რაც დღეს აქვს ქართულს, ძველი (ისტორიული, მწერლობით შემონახული) ქართულის ჩათვლით, წარმოადგენს ტრადიციული ნორმის მოქმედებას“¹³².

განხილული ხელნაწერისა და ჩვენთვის ცნობილი ყველა სხვა ძეგლის მონაცემებიდან ჩანს, რომ გვაქვს პარალელური ფორმები: მაცხოვრებისაჲ — მაცხოვარებისაჲ, საქმრად — საქმარად, უღმერთოჲ — უღმერთოჲ, მშობლისა — მშობელისა; ასევე, მსგავს კომპლექსებში ხმოვანი ზოგჯერ რედუცირდება, ზოგჯერ არა: მოძღურის — იანვარის; მომედგრდებოღის — აღვიზარდებოღით.

ზოგიერთი ფუძე მხოლოდ და მხოლოდ შეკუმშული ფორმითაა წარმოდგენილი: არ შეგვხვედრია, მაგალითად, ტეხედომა, აღიპყარა, დაჰქაშენიან (გვაქვს: ტყდომა, აღიპყარა, დაჰქშენიან...).

ესენი და მსგავსი მაგალითები უძველესი ქართული წარმოთქმის თავისებურების, ინტენსიურ-დინამიკური მახვილის შეუზღუდველი მოქმედების შედეგი უნდა იყოს. საინტერესოა გაირკვეს: რატომ არ აისახა მათში მახვილის ბუნების ცვლილების ფაქტი; რატომ გვაქვს, მაგალითად, საქმრად — საქმარად, მაგრამ არ ჩანს, მაგალითად, აღიპყარა. როგორ მოხდა, რომ მახვილის დიალექტური სხვაობა თავს არ იჩენს განსაზღვრულ ფუძეებში. თუ ინტენსიური მახვილია მიზეზი რედუქციისა, არაინტენსიური მახვილის შესაბამისად რატომ არა გვაქვს შეუკუმშველი ფუძე. კანონზომიერად ისმის კითხვა: განაპირობებდა თუ არა ცვლილების ფაქტს სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურაც?¹³³.

¹³¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 137.

¹³² იქვე, გვ. 214.

¹³³ ძველ ქართულში. მსგავსად ახალი ქართულისა. უპირატესად სონორი თანხმოვნების მეზობლობაში მყოფი ხმოვანია რედუცირებული, ხომ არაა აქ ხმოვნის ამოღების ფაქტი შეპირობებული ფიზიოლოგიურად: თანხმოვანთა სონორობა ხომ არაა მიზეზი ხმოვნის ამოღებისა?

II. თანხმობისა დაკარგვა

გ. ახვლედიანის აზრით, ქართულში რედუცირდება არა შარტო ხმოვანი, არამედ თანხმოვანიც. თანხმოვანი იკარგვის ამონადენი ჰაერნაკადის შემცირება-შესუსტების, ნაპრალის გაფართოების, მელერის გაყრუების, დეზაფორიკატიზაციისა და სონორობის შესუსტების გზით.

ნიშუშებად დასახელებულია: ამისთანა → ამიჰთანა → ამითანა; კარგად → კარგათ → კარგა; სწავლა → სტაველა; სახლზე → სახზე...¹²⁴

გასარკვევია, რა სურათს იძლევა, რა კანონზომიერებას ემორჩილება ბგერის დაკარგვა ძველ ქართულში.

დაკარგულია ბ ბგერა

გამობლღეძა → გამოლღეძა: გამოილღიძის დგმულმან მან სამოსლისა მისგან მ ყ, 16 C; შდრ. გამოიბლღუიიის, იქვე DE.

აბბა → აბა: აბამაო მრ 14, 36 DE; შდრ. აბბა, იქვე C.

დაკარგულია ღ ბგერა

დიდად → დიად: დიად ვშუერ A 19, 249, 33; ასევე: Sin 39, 132 r, 13; დაბად. 24, 25; შდრ. დადვეს დიდადი მრ 12, 41 C.

ხშირად იკარგვის ვითარებითის ნიშნისეული დ ელემენტი-მდე თანდებულის წინ. მოვლენა თავს იჩენს ჩვენ მიერ განხილულ ყველა ძეგლში:

აღსასრულამდე ხანმ. ლექც. 058, 20; უკუნისამდე ხანმ. მრ. 128, 17; ხვალისამდე A 95, 112, 19; დათხევამდე Sin 20, 17 v, 7; დასასრულამდე S 1138, 10 v, 14; მიახლებამდე A 19, 252, 21; ასევე: 318, 8; 56, 23; 110, 8; 203, 31; 195, 27; წარსლვამდე მ 5, 18 C; ასევე: მ 18, 22 C; მ 23, 35 C.

ღ-ს დაკარგვის სხვა შემთხვევაა:

ადგილდ → ადგილ: იყენ... ძრვანი ადგილ-ადგილ მ 24, 7 C; შდრ. ადგილდ-ადგილდ, იქვე DE.

დაკარგულია ვ ბგერა

1. ვ ბგერასთან: განელო მე ქუეყანაჲ გამოსლვ. 12, 12; ჩუენ... განვლეთ და მივედით საქმ. მოციქ. თ. 27, 5 C; ასევე: კიმ.

¹²⁴ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 211.

I, 23, 35; შდრ. დავეარდი A 19, 261, 5; განვეარდი იობ. 6, 18; განვეარდე კიმ. I, 24, 23.

2. ჯუმილვიდეს → ჯუმილვდეს → ჯუმილდეს: ჯუმილდეს ლ 2, 8 C, თუ შემთხვევითი არ არის; შდრ. ჯუმილვიდეს, იქვე DI.

მოვიელტით → მოვილტით: მოვილტით Sin 20, 94 v, 13; 72 r, 16; 66 v, 11; შდრ. ვიელტოდი თ A 95, 142, 30; მიელტოლვად დაბად. 19, 20; ვლტოლვილი A 95, 74, 9; მოიელტოდა კიმ. I, 200, 17; სიელტოლაა მ 3, 7.

მოსლვაა → მოსლაა: მოსლაა Sin 26, 250 r, 6; 243 r, 1; შდრ. მოსლვაა მ 24, 27.

3. მ ბგერასთან: რომელსაცა მსახურებ მე Sin 39, 82 r, 5.

4. ვ ბგერის დაკარგვის სხვა შემთხვევათაგან შეიძლება დავასახელოთ: განიბნიენეს საქმ. მოციქ. თ. 1, 18 C; განიბნიენენ მ 26, 31; შდრ. განიბნიენეს Sin 39, 17 v, 23. სცხოვნდე Sin 39, 48v, 23; შდრ. ვცხოვნდე, იქვე 48 v, 20; ცხოვნდებოდა ლ 15, 13 CD; შდრ. ცხოვნდებოდა, იქვე E. გარდამოსთხინა ლ 1, 52; შდრ. გარდამოსთხინა კიმ. I, 26, 37; კიმ. II, 167, 15. მოაქციენეს უფლისა ლ 1, 16; შდრ. მოაქციენეს იგინი სიმართლესა კიმ. II, 170, 12; 196, 24. მიიწინეს ქალაქად კიმ. II, 56, 12; შდრ. მიიწინეს კოსტანტინეპოლისა კიმ. II, 180, 9; 147, 1; მოაწიენა 147, 24.

5. თ ბგერასთან: კავშირებითის თ აფიქსის წინ ვ ჩვეულებრივ იკარგვის და გვაქვს: განუტეოთ A 95, 131, 25; განუტეოს S 1138, 71 v, 7; დაგიტეონ A 1109, 9 r, 12; ვითხოოთ A 19, 466, 16; ისწაოთ S 1138, 59 r, 14; მასწაო A 1109, 5 v, 4; მიგათხოოთ A 19, 287, 19; განვიძარცო, იქვე 422, 12; უზორონ კიმ. II, 83, 17; შდრ. უზოროვოს, იქვე 83, 10; იხილვოს A 19, 97, 27; ითხოვონ მ 18, 19 E; დაუტევოს მ 5, 32; მოაძოვოს გამოსლვ. 22, 5.

-ოვან → -ოან: მაყლოანი Sin 26, 169 v, 2; მაყულოანით გამოსლვ. 3, 2; ცომოანი, იქვე 12, 20; მარი-

ლოანი დაბად. 14, 10; ადგილსა მწუანვილონსა Sin 20, 35 r, 16; Sin 26, 184 v, 14; ოქროანითა Sin 26, 18 v, 1; ადგილსა... კლდოანსა კიმ. II, 49, 15; შდრ. მაყლოვანსა Sin 39, 14 r, 20; მარილოვანი წყალი Sin 39, 94 v, 13; მწუანვილოვანსა Sin 20, 91 r. 5; ოქროვანი Sin 26, 17 r, 5; სახელოვან A 1109, 24 r, 29; ძნელოვანთა S 1138, 96v, 15; იყო დიდად თივლოვან ადგილი იგი ი 6, 10 C.

ვ-ს დაკარგვის სხვა შემთხვევებია: ერისთაო A 19, 132, 29; A 95, 106, 1; უხილაო Sin 26, 149 v, 6; მომიქსოიეს A 19, 196, 5; გამოქსოილ ი 19, 23; ოქროქსოილად A 19, 143, 10; ოქროქსოილნი A 95, 122, 20; თხოილო A 19, 82, 25; ითხოენ A 1109, 18 r, 26; A 95, 86, 1; Sin 20, 4 r, 16; Sin 39, 124 v, 1; Sin 26, 266 v, 19; მითხოე Sin 26, 122 v, 17; ცხოელთასა Sin 26, 284 r, 8; გაქსოსმცა ხანმ. მრ. 127, 9; გაქსოს S 1138, 78 v, 15; მ 16, 9 C; აწოებს A 95, 46, 2; აწოებდე A 19, 15, 26; აწოებდ Sin 20, 14 r, 18; გაწოებდე Sin 26, 3 v, 2; პოა ხანმ. მრ. 147, 4; უპოარმან, იქვე 60, 17; ჰპოებდეს Sin 39, 7 v, 6; უპოარებამან Sin 26, 157 v, 10; ვპოეთ Sin 20, 90 v, 3.

ვ დაკარგულია ცრემლოვინ ტიპის ზნებში: ფურცელი გამობუტკოინ მ 24, 32 C; შდრ. გამობუტკოვიედ A 19, 457, 18; პეროინ მრ 9, 18 CD; შდრ. პეროვინ, იქვე E; ნუ ჰმალლო S 1138, 45 v, 3; შდრ. არა მალლოვინ, იქვე 75 v, 11; ქედმალლოვინ A 19, 91, 31; მალლოვის Sin 39, 93 r, 11.

ვინი არ არის დაკარგული სხვა შემთხვევებშიც: მოქსოვილ ი 19, 23 DE; თხოვილი A 19, 36, 6; ითხოვე A 1109, 49 r, 26; ასევე: Sin 26, 122 v, 13; Sin 20, 90 r, 18; ცხოველთა A 95, 76, 28; ასევე: A 1109, 53 r, 17; Sin 20, 45 v, 15; იპოვა A 19, 1, 26; 53, 17; 208, 29; იპოვების A 1109, 48 v, 3; ხიპოვა ხანმ. მრ. 148, 6.

ბელნაწერებში პარალელური ფორმებია: ყოელი—ყოველი; სამარხო—სამარხოვო, გამოედით—გამოვედით; იქცეოდა—იქცევოდა; მთოარე—მთოვარე; პატიოსანი—პატივოსანი; ბაბილონის—ბაბილონის; დაიფაროდა—დაიფარვოდა; დაირლუეოდა—დაირლუევოდა; შეეწეოდა—შეეწევოდა.

თუ აქვე გავითვალისწინებთ პირველი სუბიექტური პირის ნიშნის დაკარგვის შემთხვევებს ო-თი დაწყებულ ფუძეებთან (მაგ.,

ჩუენ ო რ გ უ ლ ო ბ თ A 19, 480, 10), მაშინ ნათელი გახდება ვინის დაკარგვის ძლიერი ტენდენცია ობგერასთან მეზობლობაში, რის შედეგადაც ოვ, ვო, ოვა, ოვო, ოვი, ოვე კომპლექსები ჩვეულებრივ გამარტივებულია.

6. შერდომილ იყო A 1109, 50 v, 25; A19, 112, 30 (შდრ. შეუვრდა, იქვე 247, 21; ლ 8, 47 E). შეიქურეთ Sin 39, 105 r, 3; შეიქურა Sin 26, 135 r, 6; 33 r, 15; კიმ-II, 143, 10 (შდრ. შექურვილი ლ 11, 21).

ადიშის ოთხთავში გვაქვს სიტყვა საარებული, ჯრუჟპარხლის ოთხთავებში მის შესატყვისად ზმნა იურვოდეს არის ნახმარი: იხილნა იგინი საარებულნი ლელვისა მისგან ნავისა მრ 6, 48 C; შდრ. იხილნა იგინი, რამეთუ იურვოდეს სლვასა მას ნავისასა, იქვე DE.

ეგების საარება დაურვა ერთი ძირის შემცველი სიტყვები იყოს, ოლონდ პირველში გინია დაკარგული: საარება ← *საარებვა.

ვ ჯერ კიდევ არ არის დაკარგული გაქურვება'ში (შდრ. ახ. ქართულის გახურება): გააქურვეს A 19, 287, 21; ისარნი გაქურვებულნი, იქვე 479, 29; განქურვებულ იყო ლ 24, 32.

7. ო და რ ბგერებს შორის: ცხორებაჲ A 19, 9, 21; 276, 28; საცხორებელად S 1138, 21 v, 15; შდრ. ცხოვრებაჲ ჰაემ. ტექსტ. მრ. სახ. 42, 7. ხანმ. ლექც. 20, 31; ცხოვრებისა ხანმ. მრ. 125, 7. შორის მ 11, 23; შდრ. შოვრის ხანმ. ლექც. 58, 15; ხანმ. მრ. 147, 8; დაბად. 13, 3. განუშორებელსა A 19, 354, 6; განხაშორებ ხანმ. მრ. 146, 9; შდრ. განუშოვრებელ A 19, 354, 25; განხეშოვრენით ხანმ. მრ. 135, 3; განმაშოვრებელ კიმ. I, 190, 1; განშოვრებულ მ 15, 8 C; ხანმ. მრ. 146, 13; განმაშოვრა A 1109, 9 v, 22.

8. უ ბგერასთან. სუბიექტური პირის ვ-ნიშანი უ-თი დაწყებულ ფუძეებთან ჩვეულებრივ იკარგვის: ჩუენ უთხართ A 19, 105, 20; მიუთხარ, იქვე 235, 24; მე არა უწყოდე დაბად. 28, 16.

ვ ბგერა დაკარგული ჩანს უ-ს წინ სსვა შემთხვევებშიც: განძარცული A 1109, 69 r, 13; შდრ. განძარცუეს იგი და ქალამინდი მეწამული შეჰმოსეს მას მ 27, 28. კურთხეული A 19, 357, 20; შდრ. აკურთხევედა მათ მრ 10, 16.

ზოგჯერ ვ ბგერა უ-ს მეზობლად შენახულია: სასწაველი ხანმ. ლექც. 062, 30; დაცვულ არს A 19, 281, 11; A 95, 87, 15;

Sin 20, 63 r, 4; Sin 39, 31 r, 10; კიმ. I, 172, 29; გარეშეც-
ვულ Sin 26, 73 v, 13; მოცეულ S 1138, 101 v, 14; მოც-
ეული სააგ. ესაიასი 30, 13.

9. ვ არ ჩანს: მიმსგავსებულ ხართ A 19, 442, 7;
შდრ. მიმსგავსებულ ხართ მ 23, 27. საყნოსელნი S 1138,
74 r, 14.

10. ვ აქაც არაა: იმარხიდა A 1109, 27 v, 8; შდრ.
იმარხეიდა მ 4, 2 D. საკიცხელ A 95, 37, 20; შდრ. ეკიც-
ხევედ მ 27, 29 C.

იმავე ხ ბგერასთან ვ ზოგჯერ არაა დაკარგული: მოიკი-
თხეების A 19, 51, 3; განვიკითხვი, იქვე 325, 29.

11. არის ასეთი მაგალითიც: კულა ტყუვა A 19, 16, 26;
კულა ავიდა (ერედვის წარწერა); კულა ქმნი-ლა ცხ. იოვ. და
ეთ. 61. 6.

ჩანს, ვ ბგერა ხშირად იკარგვის რ. ლ, მ, ნ, ვ, ო, უ ბგე-
რებთან მეზობლობაში. არის რამდენიმე შემთხვევა ვ ბგერის და-
კარგვისა სხვა ბგერებთან და სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში.

საგულისხმოა შემდეგი: რ. ლ, მ, ნ, ო, უ ბგერებთან მეზობ-
ლობაში ვ ბგერა იკარგვის მაშინაც, როცა იგი წინ უსწრებს, და
მაშინაც, როცა მომდევნოა. ბგერათა კომპლექსი, სადაც ვ ბგერის
მეზობლად გვაქვს რ, ლ, მ, ნ, ო, უ ჩვეულებრივ ვ-ს დაკარგვით
მარტივდება¹³⁵.

საკითხავია, რატომ მაინცდამაინც ვ ბგერა იკარგვის და არა
სხვა. ამის მიზეზი თვით ვ ბგერის თავისებურება. მისი ფონეტი-
კური რაობაა: სუსტი არტიკულაცია და ნაკლები სონორობა შე-
დარებით რ, ლ, მ, ნ, ო, უ ბგერებთან განაპირობებს ვ-ს და არა
სხვა რომელიმე ამ ბგერათაგანის დაკარგვას.

სხვა საკითხია: რა არის ვ ბგერის დაკარგვის მიზეზი, ან
რაც იგივეა — რატომ მარტივდება დასახელებული ბგერათა კომ-
პლექსები.

დაკარგულია თ ბგერა

თ თუე → თუე: თუესა ივნისსა S 1138, 4 v, 2; თუენი
A 19, 74, 4; თუესა, იქვე 27, 29; 316, 32; ლ 1, 26 D; შდრ.
თ თუესა A 19, 317, 6; ლ 1, 26 E.

¹³⁵ იშვიათად ადგილი აქვს საპირისპირო შემთხვევასაც, დაკარგულია,
მაგ., არა ვ. არამედ რ ბგერა: შევრდომილ — შევდომილ ი 3, 24 D.

წარმართაჲ → წარმართაჲ: ეკლესიაჲ წარმართაჲ Sin 20, 47 r, 2; Sin 26, 174 v, 10; სატურთი იგი წარმართაჲ A 1109, 6 r, 2.

დაკარგულია ლ ბგერა

სულნელი → სუნელი: გემოიხილონ... სუნელები საწამალთა A 1109, 57 v, 7; შდრ. სულნელებაჲ A 95, 127, 21.

უჯამლური → უჯამური: ვილოდა... უჯამური ესაიასი, 20, 2; შდრ. ჯამლი ლ 15, 22 C.

ადგილდ → ადგიდ: მოიქცა ადგიდ A 19, 488, 29; ადგილ-ადგიდ მ 24, 7 C; შდრ. ადგილდ-ადგილდ, იქვე DE.

სიკუდილდ → სიკუდიდ: სიკუდიდმდე საქმ. მოციქ. თ. 22, 4 C; შდრ. სიკუდილდმდე, იქვე D.

ქორწილდ → ქორწიდ: წარავლინნა მოწოდებად... ქორწიდ მ 22, 3 C.

ქორწიდ შედეგია ლ ბგერის დაკარგვისა და არა ნ ბგერისა, რადგან ამ ხელნაწერისათვის ქორწინი ფორმა უცხოა, უკლებლივ ქორწილი გვაქვს.

საცეცხლური → საცეცხური: აღიხუენ საცეცხურნი A 19, 303, 21; ნაცარსა საცეცხურთასა კიმ. I, 24, 14; შდრ. ცეცხლი მრ 9, 43.

კუარცხლ-ბეკი → კუარცხ-ბეკი: ქუეყანაჲ კუარცხ-ბეკი ... არს Sin 39, 16 v, 22; კუარცხ-ბეკად A 19, 377, 8; 377, 14; შდრ. კუარცხლ-ბეკი, იქვე 397, 28; კუარცხლ-ბეკი მ 5, 35 DE.

მთხველარ → მთხვეარ

ძველ ქართულში გვაქვს ზმნა ითხველიდეს (მრ 1, 16 DE) ბაღით თევზაობის აღსანიშნავად. აქედანაა მასდარი თხველა და მიმღეობა მთხველარი: მთხველარ იყენეს მ 4, 18 C; მაგრამ გვაქვს ასედაც: მთხვეარ იყენეს მრ 1, 16 C; ეს უკანასკნელი ლ ბგერის დაკარგვის შედეგი უნდა იყოს.

შესაძლოა ლ ბგერის უქონლობა ფონეტიკური პროცესის შედეგია სიტყვაში სახელთა ← სახლეულთა: მან თავადმან ნათელი მოილო და მის თანა სახელთა ყლთა Sin 39, 48 v, 14, თუ იგი შემთხვევითი არ არის; შდრ. სახლეულით მისით, იქვე 48 r, 5.

დაკარგულია მ ბგერა

სამმეოცი → სამეოცი: სამეოცი კიმ. II, 218, 37.

დაკარგულია ორი მ ბგერტიდან ერთ-ერთი მაშინაც, როცა თავს იყრის პრეფიქსისეული და ფუძისეული მ ბგერები:

მე მსახურებდეს A 1109, 11 v, 26; ი 12, 26 DE; მსახურებდენ მე საქმ. მოციქ. თ. 7, 7 D; შდრ. მსახურებდენ, იქვე C. მარხველი A 1109, 20 r, 30; მარხველთათკს, იქვე 27 v, 23; უჩნდეს კაცთა მარხველად მ 6, 16 C; შდრ. მმარხველად, იქვე DE; მ 6, 18; მმარხველნი A 19, 478, 29; 406, 15; 241, 29; მმარხულელ კიმ. II, 195, 21. დაიფარენ... მოსაენი შენნი კიმ. I, 199, 9; მე მოსაენ ვარ, იქვე 168, 14; შდრ. შემმოსელი Sin 26, 204 v, 15; შემმოსე კიმ. I, 201, 1.

მ ბგერის დაკარგვის სხვა შემთხვევებია: ბრწყინვალედ A 19, 267, 22; 268, 27; შდრ. მბრწყინვალისაჲ, იქვე 332, 2; მბრწყინვალე Sin 39, 91 v, 8; მბრწყინვალე ბამან Sin 26, 158 v, 16; მბრწყინვალე მრ 9, 3 DE; მბრწყინვალესა კიმ. II, 175, 4. ქკშითა შეზლუდა A 19, 339, 9; ქკშაჲ A 95, 99, 29; დაბად. 32, 12; 13, 16; ქკშასა მ 7, 26 DE; შდრ. ბორკუ მქკშოვანი A 19, 141, 31; მქკშასა ზედა მ 7, 26 C; მქკშაჲ კიმ. I, 155, 12.

ლამპრობა → ლაპრობა

აკ. შანიძის ცნობით, თომას სახარების ქართული ვერსიის ნაწყვეტში (ხელნაწ. A 95) იკითხება: „ლაპრობასა იკითხონ ესე საკითხავი“. აღნიშნულია ისიც, რომ ძველად ჩვეულებრივ ლამპრობა იწერებოდა¹³⁶.

ძველ ქართულში პარალელურადაა ნახმარი ყუდრო და მყუდრო, პირველი ხშირად, მეორე შედარებით იშვიათად: ყუდრო A 1109, 4 r, 10; მ 16, 2 EC; შდრ. მყუდრო, იქვე D.

გვაქვს აგრეთვე ყუდროება: ყუდროებისა მომცემელი A 95, 85, 20; ყუდროებით A 1109, 18 r, 9; კიმ. II, 181, 1.

მ-რ (მ-ყუდ-რ-ო) არაა ძირისეული ნაწილი, ძირია ყუდ. ეს იგივეა, რაც გვაქვს დაყუდებაში. საგულისხმოა ოთხთავის აღიშნა და ჯრუჟ-პარხლის ხელნაწერთა შედარება: იყო ყუდროება დიდ მ 8, 26 C; შდრ. იქმნა დაყუდება დიდ, იქვე DE. დროთა განმავლობაში მ პრეფიქსი ჩამოსცილდა ფუძეს და მივიღეთ ყუდრო, ყუდროება. პრეფიქსის ჩამოსცილება შესაძლოა ფონეტიკური ფაქტორით იყოს განპირობებული.

¹³⁶ ა. შანიძე, თომას სახარების ქართული ვერსიის ნაწყვეტი და მისი გაუგებარი ადგილები, სტალინის სახ. თბილისის სახ. უნ. შრ. XVIII, 1941, გვ. 30.

დაკარგულია ნ ბგერა

ანნაჲსა → ანაჲსა: მიიყვანეს იგი ანაჲსა ი 18, 13 DE; შდრ. ანნაჲსა, იქვე C. აქუნს → აქუს: ღვთოჲ არა აქუს ი 2, 3 DE; შდრ. აქუნს, იქვე C. უმურკვენელი → უმურკვენელი → უმურკველი: სადგმელი ნახევისა უმურკველისაჲ მ 9, 16 C; შდრ. უმურკვენელი, იქვე E. *მიჩნს → მიჩს → მიჩ: ცთომით ვინმე მიჩ, შენ კაცო კიმ. I, 152, 5.

ამ უქანასკნელში რომ ნ დაკარგულია, მითითებული აქვს ნ. მარსაც. ერთ-ერთი ხელნაწერის ფონეტიკურ თავისებურებათა განხილვისას იგი წერს: „К фонетике относится и слабость носового н, исчезающего перед с... в слове ჩას вმ. ჩანს“¹³⁷.

დაკარგულია რ ბგერა

ჰქჷან სახელი პეტრე საქმ. მოციქ. თ. 11, 13 D; შდრ. ჰრქჷან, იქვე C; A 19, 137, 5. არა იყო სისქჷ მიწისაჲ მ 13, 5 DE; შდრ. არა ედვა მას სიზრქჷ მრ 4, 5 C. კუნებასა A 19, 425, 30; წამალი... სამკუნალოჲ, იქვე 112, 18; შდრ. ჯერ არს... კურნებაჲ მ 12, 10. ნანარსა გჷადის მიასლებაჲ A 1109, 55 v, 28; ნანარად განგებისა S 1136, 173 r, 12; შდრ. ნარნარი. საზრდელი Sin 39, 13 v, 23; შდრ. საზრდელი მ 14, 15. ვასკულავი მ 2, 2 C; შდრ. ვარსკულავი, იქვე D. კუარცხლ-ბეკ A 19, 397, 27; მ 5, 35 E; შდრ. კუარცხლ-ბერკი მ 5, 35 D. მოქმედნი უჩულოებისანი მ 7, 23 D; უჩულო Sin 20, 61 v, 10; შდრ. უჩულოთა ლ 22, 37 C.

ეგების რ ბგერის დაკარგვის შედეგი იყოს უჭწნელი: მომბლარდნე მე უჭწნელებაჲ სინანულითა Sin 26, 188 r, 15; მოგმადლა ცხორებაჲ უხწნელი, იქვე 242 v, 9 და აჩდილი: აჩდილი ხანმ. მრ. 141, 20; შდრ. აჩრდილთა მ 4, 16. შეიძლება შემთხვევითია: ტეფი: საბლითგან ვიდრე ჯამლის ტეფადმდე დაბად. 14, 23; საქიველი (ძნელი, გაქირვებით გასაყვლელი): იწრო არს ბქჷ და საქიველ გზაჲ მ 7, 14 D; შდრ. საქირველ, იქვე E; ღუაძლი: სულისა ჩემისა ღუაძლნი მოთიბენ Sin 26, 189 v, 1; შდრ. ღუარძლი მ 13, 25; მსხუეპლი: შეწირე მსხუეპლი მ 5, 24 C; შდრ. მსხუერპლი მ 12, 7.

¹³⁷ Н. Марр, Ипполит, Толкование песни песней, ТР, III, 1901, 83. XXXVIII.

მოკვეცილია რ ბგერა -ებრ თანდებულში, როგორც ბოლო-
კიდური: ჩუენთაებლ 23, 41 C; შდრ. ებრაელებრი 5, 2.
ასევე ბოლო -რ მოკვეცილია ვითარ-ში: ვითა იოვ. და ეფთვ.
ცხ. 33, 24; 83, 9; 55, 10; 72, 6; 115, 24; შდრ. ვითარ-ცა,
იქვე 118, 27; ვითარ მ 1, 20 C.

დაკარგულია თეორიულად მოსალოდნელი ორი რ-დან ერთ-
ერთი: ვერარაჲ → ვერრაჲ → ვერაჲ: ვერაჲ ჯელ-იწიჟა მრ 6,
19 E; შდრ. ვერარაჲ, იქვე D; ვერას ჰპოვებდესლ 19, 48 C;
შდრ. ვერარას, იქვე DE.

ზოგჯერ უშუალო მეზობლობაში ნყოფი ორი რ უცვლელადაა
წარმოდგენილი: წარბიოდალ 19, 4 E; შდრ. წარბიოდა,
იქვე DC.

დაკარგულია ს ბგერა

ს ბოლოთანხმონიან ფუძეებზე მიცემითი ბრუნვის ნიშნის
-ს'ს დართვისას ორი ერთნაირი ბგერა იყრის თავს. არც ისე
იშვიათად ერთი მათგანი, კერძოდ უკანასკნელი, იკარგვის:

ქალაქსა ტფილის A 19, 418, 12; 417, 1; შდრ. ქალაქსა
ტფილისს, იქვე 418, 19. ჰმონოს მრ წემსა S 1138, 41 v,
16; 11 r, 4. კრისპოს ჰრწმენა საქმ. მოციქ. თ. 18, 8 D; შდრ.
კრისპოსს, იქვე C. ესა ესე ასტრიოს ცხ. საბა ასურისაჲ
12, 8. უხეშთაესა მას ნეტარებასა Sin 26, 151 v, 11.

ორი ხანიდან ერთ-ერთია დაკარგული კომპოზიტ თაყუანის-
ცემის ზნურ ფორმაში: თაყუანი-სცეს Sin 20, 87 v, 3;
თაყუანი-სცე მ 4, 10 C; შდრ. თაყუანის-სცეს A 19, 245,
8; თაყუანის-სცა, იქვე 238, 23; თაყუანის-სცემედ მრ 12,
40 C; თაყუანის სცემენ კიმ. II, 47, 7.

დაკარგულია ბრუნვის ნიშანი და ბრუნვის ნიშნისეული -ს
-ზედა, -შინა, -თჳს თანდებულების წინ: ჩემ ზედა დაბად. 27, 13;
ლ 22, 37; მაზედ A 19, 12, 17; მაშინ კიმ. II, 34, 3; რაჲთჳს
A 19, 49, 11.

ასევეა: შენ შოვრის და ჩემ შოვრის დაბად. 16, 5; შდრ.
შოვრის ჩემსა და შოვრის შენსა, იქვე 17, 7; თქუენ შო-
რის A 19, 29, 18.

დაკარგულია ლ ბგერა

*მარადლის → მარადის: მარადის წურთაჲ ხანმ.
მრ. 139, 6; 131, 13; კიმ. I, 114, 30; მ 18, 10; შდრ. მარადლე
მ 26, 55 C.

*ოდღეს → ოდეს: ოდეს უკუე იხილო მამათ. სწ. 3, 25; მ 9, 15 DE.

*დღეინდღელი → დღენდღელი → დღენდელი: დღენდელი დღესასწაული A 19, 335, 1; დღენდელსა ამას დღესა, იქვე 338, 28; შდრ. დღენდღელად Sin 39, 2 r, 3.

ამოსავალი რომ დღეინდღელია, ჩანს ქართული ენის ზოგიერთი დიალექტის ჩვენგბიდანაც, მაგ., გურულში დღესაც ცოცხალია ფორმა დღეინდელი.

დაკარგულია ჩ ბგერა

ჩჩკლი → ჩკლი: ჩკლი A 19, 209, 13; შდრ. ჩჩკლად, იქვე 371, 16; ჩჩკლ S 1138, 113 r, 18; რტონი... დაჩჩკან მ 24, 32 DE.

დაკარგულია ჰ ბგერა

ჰაე ბგერა „საზოგადოდ სუსტი ბგერაა და ადვილად ეგუება მომდევნო ბგერის გამოთქმას“¹³⁸. ამიტომ, რომ იგი იკარგვის ხმოვნებისა და ხ, ლ, ს, ზ, შ, ჟ თანხმოვნების წინ. ამავე მიზეზით სახეს იცვლის ცხრა თანხმოვნის — ჯ ჩ ჰ, ძ ც წ, დ თ ტ წინ, სხვა თანხმოვნებთან კი ცოტად თუ ბევრად დღესაც შენახულია¹³⁹.

უმრავლესობა საზოგადო და საკუთარი სახელებისა, რომლებიც ძველ ქართულში ჰ ბგერას შეიცავდა, ახალ ქართულში ჰაეს გარეშეა წარმოდგენილი.

ასეთებია, მაგალითად:

ჰანბავი: ჰამბავი A 1109, 60 r, 21; A 95, 43, 22; A 19, 38, 2; ლ 4, 14; ესაიაჲსი, 28, 7.

ჰასაკი: ჰასაკი A 95, 4, 31; ი 9, 21 DE; იობ. 29, 18; ჰასაკისაჲთა A 1109, 1 r, 19; ჰასაკისად S 1138, 113 r, 16.

ჰამო: გულითა ჰამოჲთა კიმ. I, 18, 11.

ჰინდო: ქუეყანასა ზედა ჰინდოთა Sin 26, 49 v, 10; ჰინდოდ A 19, 394, 2; ჰინდოეთი კიმ. I, 170, 9.

ჰალვა: ვისწაო ჰალვაჲ A 19, 110, 13; 128, 30.

ჰოროლი: არცა ფარი აღილო, არცა ჰოროლი A 19, 116, 13; ჰოროლნი, იქვე 109, 22.

¹³⁸ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 177.

¹³⁹ იქვე, გვ. 177.

მაჰმედ: წარმოაგლინა მაჰმედ A 19, 416, 19; 418, 18.
ჰელენე: ჰკითხვიდა მათ ჰელენე A 1109, 43 r, 23; 46 r,
17; 45 r, 12.

აპრონ: აპრონ განიბანა A 19, 384, 26; აპრონის S
1138, 146 r, 5; აპრონისსა A 1109, 13 v, 11; A 95, 316, 3.

ჰაბო: ჰაბო A 1109, 8 r, 20; ჰაბოესი A 95, 312, 19.

ანგაპრება: ისიძვონ ანგაპრებითა A 19, 472, 5;
344, 29; ანგაპრებასა A 1109, 60 r, 24.

ჰ გვაქს ამ სახელისგან ნაწარმოებ ზნნაშიც: მოვანგაპ-
რეთ S 1138, 92 r, 18; მივიანგაპრეთ, იქვე 86 r, 16.

ტოჰმი: ჰეტყებდენ... ტოჰმნი ხანმ. ლექც. 063, 30.

ჰრომი: ჰრომდ A 19, 26, 7; ჰრომელთა S 1138,
7 r, 2; ხანმ. ლექც. 063, სათ.; ჰრომელსა A 1109, 41 r, 30;
ჰრომაელებრ S 1138, 4 r, 18; ჰრომნი Sin 39, 49 v, 1;
ჰრომელისმან ესაიადსი, 7, 5; ჰრომი კიმ. II, 81, 6.

სავანის XI საუკუნის წარწერაში მოცემულია საკუთარი
სახელი ქარაგმით ჰრბე: დამაყენა მე, სულითა საწყალობელი
ჰრბე.

ამ სახელს სხვადასხვაგვარად კითხულობენ. სავანის ძეგლის
შემსწავლელი ვ. ბერიძე წერს: „აქ გარკვეული ჰ არის და
სახელიც, ალბათ, ჰარაბა (ან ჰარაბი, ჰარაბად) თუა (შდრ.
აბუჰარბი, რომელიც XI ს. ძეგლში იოანე და ეფთჳმე ზთანმი-
დელთა ცხოვრებაში გვხვდება, აგრეთვე არაბა უფრო გვიანი ძეგ-
ლებისა, მაგ., ზარზმის კედლის მხატვრობის ერთ-ერთი წარწერა
და სხვ.)“¹⁴⁰.

თუ წაკითხვა სწორია და თუ ამ სახელს მართლა აქვს კავ-
შირი ჰარაბად, არაბა-სთან, მაშინ გვარი არაბული შესაძ-
ლოა ასეთი წარმომავლობისა იყოს: ჰარაბაული → არაბა-
ული → არაბული.

ძველ ქართულში გვაქვს საკუთარი სახელი ბაჰრამ:
მოგეციოთ კოიტორი მამულებით ბაჰრამს და ლომასა (XI ს.
ფიქალწერილი). აქედანაა ნაწარმოები გვარი ბარამიძე.
გვაქვს აგრეთვე ისაჰაკი, საჰაკ: ისაჰაკი საქმ. მოციქ. თ.
7, 18 ლ; ამირაჲ საჰაკ (ატენის 853 წ. წარწერა). აქედანაა გვა-
რები: ისაკაძე და სააკაძე.

¹⁴⁰ ვ. ბერიძე, სავანე, XI საუკუნის ხუროთმოძღვრების ძეგლი. ქართუ-
ლი ხელოვნება, I, 1942, გვ. 91.

ჰ გვაქვს აგრეთვე საზოგადო და საკუთარ სახელებში გეჰენიაჲ A 1109, 3 v, 28; ეჰინე ექუსთა დღეთაჲ, 89, 8; ჰაღლე-ლი კიმ. I, 33, 16; ჰაილად კიმ. II, 192, 25; ჰაბაშთა კიმ. I, 35, 18; ჰამები კიმ. II, 166, 20; ცრემლი სჰინოჲსაჲ ექუსთა დღეთაჲ, 60, 28; ჰუმედ კიმ. I, 169, 2; ურჰა (ეს უკანასკნელი დადასტურებულია XI საუკუნის იმ ხელნაწერში, რომელიც შეიცავს ურჰაის კათალიკოსის იოანეს ცხოვრებას)¹¹¹. ჰრამათ კერძო კიმ. I, 23, 34; ჰევითგან მდინარიაჲთ ვიდრე ჰრენოკორორედნდე ესაიაჲსი, 27, 12.

ჰ ბგერის დაკარგვა ძველ ქართულშივე დაწყებულია:

1. დაკარგულია ჰ ხმოვნებს შორის

აბრაჰამ → აბრაამ: აბრაჰამ A 1109, 12 v, 5; A 95, 313, 28; აბრაჰამისთა (მეჯულის წარწერა, X ს.); აბრაჰამსაც S 1138, 146 v, 3; შდრ. აბრაამი ი 8, 52 C; აბრაამითგან მ 1, 17 C.

2. დაკარგულია ჰ ხმოვნის წინ

ჰეროდე → ეროდე: ჰეროდეს A 19, 13, 8; შდრ. ეროდშსთა A 19, 38, 32; ეროდეს Sin 39, 31 r, 18; 32 v, 19.

ჰურია → ურია: კაცისა ჰურიისაჲ Sin 39, 30 v, 6; შდრ. ურიათა, იქვე 30 v, 6.

ჰურაკჰარაკი → ურაკჰარაკი: შეკრბეს ჰურაკჰარაკსა ი 11, 47 C; შდრ. ურაკჰარაკად მ 27, 27 C.

ჰებრაელებრ → ებრაელებრ: ჰებრაელებრითა ვმითა A 1109, 44 r, 11; შდრ. ებრაელებრითა ლ 23, 38; ებრაელებრ ი 5, 2 DE; ებრაელთა S 1138, 144 v, 14; 19 v, 4; ებრაელი A 95, 54, 30.

ჰაერი → აერი: ჰაერთა S 1138, 138 v, 3; შდრ. აერს, იქვე 68 v, 10; აერისა, იქვე 109 v, 9.

ჰალოჲ → ალოჲ: ჰალოჲთურთ ი 19, 39 C; შდრ. ალოჲსაჲ, იქვე DE.

ჰეშმაკი → ეშმაკი: ჰეშმაკისათა Sin 39, 27 r, 8; შდრ. ეშმაკთა A 1109, 30 v, 10.

¹¹¹ К. Кекелидзе, Жизнь и подвиги св. Иоанна католикоса Урхайского. Хр. В., т. II, вып. III, 1913, გვ. 312.

3. დაკარგულია ჰ ხმოვნის შემდეგ

კაჭრაული → კარაული: კაჭრაულსა A 95, 13, 3; შდრ. კარაულსა A 19, 12, 30; დაბად. 22, 3; 43, 18; კარაული Sin 39, 70 r, 9; კარაულითა Sin 26, 82 r, 1; კიმ. I, 3, 36.

4. დაკარგულია ჰ თანხმოვნის წინ

ჰრაბი → რაბი: ჰრაბი მრ 9, 5 C; შდრ. რაბი ი 6, 25 DE; ი 9, 2 DE.

ჰრუფე → რუფე: მამაჰ რუფეჲსი მრ 15, 21 C; შდრ. რუფესი, იქვე DE.

ჰრაქელ → რაქელ: ჰრაქელ მ 2, 18 C; შდრ. რაქელ, იქვე D.

ჩანს, ჰ ბგერის დაკარგვის ტენდენცია ძველ ქართულში იმდენად ძლიერი, რომ იგი თავს იჩენს ჰ ბგერის ხმარების ყოველ შესაძლებელ შემთხვევისას. პროცესი ჰ ბგერის დაკარგვისა დასრულებული არ არის: ხმოვანდაკარგული ფორმის გვერდით შემონახული გვაქვს ძველი ვითარება ზოგჯერ ერთსა და იმავე ძეგლშიც კი.

განხილული მაგალითებიდან ჩანს:

ა) ბგერის დაკარგვას ადგილი აქვს სხვადასხვა ფონეტიკურ პოზიციაში, ბგერათა უშუალო და არაუშუალო მეზობლობის დროს.

როცა ორი ერთნაირი ბგერა კონტაქტშია, ძნელია თქმა, რომელი ბგერა იკარგვის — წინამავალი თუ მომდევნო; როცა დაშორებულია, ჩვეულებრივ წინამავალი იკარგვის, ამდენად ბგერის დაკარგვის მიმართულება რეგრესულია.

ბ) ორი მელერიდან დაკარგულია ერთი:

ბ ბგერა ღ-სთან: გამობღღეძა → გამოღღეძა.

ღ ბგერა ღ-სთან: ოღღეს → ოღეს; ღღენღღელი → ღღენღელი; მარადღის → მარადის.

ვ იკარგვის ლ, მ, ნ, რ ბგერებთან: ჯუმიღვედეს → ჯუმიღვედეს; მივიღვლტით → მივიღვლტით... ვმსახურებ → მსახურებ... განიბნივენეს → განიბნიენეს... შეიქურვეს → შეიქურეს.

რ ბგერა ვ, ზ, ნ ბგერებთან: შევერდომილი → შევერდომილი... საზრდელი → საზდელი... კურნება → კურნება.

ლ ბგერა ჳ ბგერასთან: მთხეველარ → მთხევეარ.

ნ ბგერა ჳ ბგერასთან: უმჟურკნველი → უმჟურკველი.

გ) იკარგვის კბილბაგისმიერი ჳ წყვილბაგისმიერ ო და უ ბგერებთან, მაშინაც როცა წინ უსწრებს, და მაშინაც, როცა მომდევნოა: ისწავოთ → ისწაოთ; კლდოვანი → კლდოანი; თესლოვოდა → თესლოოდა... კჟრთხევეული → კჟრთხეული.

დ) ორი წყვილბაგისმიერი ბგერიდან დაკარგულია ერთ-ერთი მათგანი: ლამპრობა → ლაპრობა; მბრწყინვალე → ბრწყინვალე.

ე) ორი ფშვინვიერიდან დაკარგულია ერთი: მასშინ → მაშინ; რაახსჯს → რაახჯს.

ვ) ორი წინანუნისმიერიდან დაკარგულია ერთი: მასზედ → მაზედ.

ზ) მჟღერი ბგერა იკარგვის ყრუ ბგერის მეზობლობაშიც:

შ ბგერა — ქ ბგერის მეზობლად: მქკშა → ქკშა.

ნ ბგერა — ხ ბგერასთან: აქუნს → აქუს.

ლ ბგერა — ხ ბგერასთან: საცეცხლური → საცეცხური.

რ ბგერა — ჩ, კ, ს, ჳ ყრუ ფშვინვიერებთან და პ ყრუ მკვეთრთან მეზობლად: ურჩულოება → უჩულოება; სისრქე → სისქე; ვარსკულავი → ვასკულავი; უჭრწნელეა → უჭწნელეა; მსხუერპლი → მსხუეპლი.

ჳ ბგერა — ხ და ხ ბგერებთან: მიმსგავსებული → მიმსგასებული; საკიცხველი → საკიცხელი.

სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში დაკარგულია მჟღერი ბგერები:

რ: ჩუენთაებრ → ჩუენთაებ; ვითარ → ვითა.

ვ: კულავ → კულა.

შეიძლება დაეასკვნათ:

1. ორი ერთნაირი ან მსგავსი ბგერიდან ერთ-ერთი იკარგვის (მსგავსება გულისხმობს ან წარმოების გვარობას, მაგ., მჟღერობის მიხედვით, ან წარმოების ადგილს, მაგ., ბაგისმიერობის მიხედვით, ან ორივეს ერთად).

2. ზოგჯერ ბგერა იკარგვის ასეთი წინაპირობის გარეშეც: მჟღერი ბგერა იკარგვის ყრუ ბგერის მეზობლობაში და ამავე დროს ორივე ბგერა — დაკარგულიცა და დარჩენილიც, განსხვავდება ერთმანეთისაგან წარმოების ადგილით.

3. იკარგვის მელერი ბგერა სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში. რა არის ცვლილების მიზეზი? მიზეზი სხვადასხვაა:

1. გ. ახვლედიანი ასახელებს ბგერათა შეერთების სამ წესს: საზიარო არტიკულაციის, არტიკულაციის უმოკლესი გზისა და არტიკულაციის ერთფაზიერობის წესებს. აქვე გამოყოფს ორ სხვადასხვა ბგერათა კომპლექსს: დეცესიურსა და აქცესიურს; მათი ერთმანეთისაგან განსხვავება „ემყარება ბგერათშეერთების მესამე წესს, რომლის თანახმად დეცესიურ კომპლექსში შემავალ თანხმოვნებს ერთფაზიერი შემართვა აქვთ“¹⁴². „არავითარ ერთფაზიერობაზე არ შეიძლება ლაპარაკი აქცესიურ კომპლექსში, რადგანაც წინმდგომი თანხმოვანი გაუჩინარდება, თუ მას არ ექნება ცალკე ხშვა“¹⁴³.

ავტორი იმავე ნაშრომში აღნიშნავს: „რადგანაც აქცესიური თანამიმდევრობა (მაგ., ქთ) ფიზიოლოგიურად ნაკლებ ბუნებრივია“ (ნაკლები მოქნილობის გამო ენის უკანა ნაწილისა, რომელიც აწარმოებს ამ კომპლექსში რიგით პირველ თანხმოვანს), ამიტომ ცალკეულ ენებში შეიმჩნევა ასეთი კომპლექსების სუპერაციისადმი მიდრეკილება სხვადასხვა გზით“¹⁴⁴.

საინტერესოა, რა გზით დაიძლევა ქართულში აქცესიური კომპლექსი.

„ქართულის მკაფიო წარმოთქმა, დაკავშირებული მარცვალთ-გასაყრის შექმნასთან, და აქცესიური კომპლექსის პირველი კომპონენტის დაკარგვა — ეს ორი გზაა, რომელსაც ქართული მიმართავს აქცესიური კომპლექსის სუპერაციისათვის“¹⁴⁵.

გ. ახვლედიანის აზრით, კომპლექსის აქცესიურობა განსაზღვრავს დისიმილაციური დაკარგვის ფაქტს საერთოდ და დისიმილაციური დაკარგვის მიმართულებას ისეთ ბგერათკომპლექსში, როგორცაა უკანაენისმიერი + რ (+ აფრიკატი) + უკანაენისმიერი; მაგ.: გრკო → რკო; გრწყილი → რწყილი... ჩანს, კომპლექსის ორი უკანაენისმიერიდან იკარგვის, რეგრესული დისიმილაციის გზით, პირველი უკანაენისმიერი. „თუ დისიმილაციის (რეგრესული) მიმართულება განსაზღვრა გრ-კომპლექსის აქცესიურობა მ, თვით დისიმილაციის ფაქტი ძირითადად გამოიწვია ორი უკანაენისმიერის (resp. უკანაენისმიერისა და ფარინგალის)

¹⁴² გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 108.

¹⁴³ იქვე, გვ. 108.

¹⁴⁴ იქვე, გვ. 343.

¹⁴⁵ იქვე, გვ. 335.

არსებობამ ერთ კომპლექსში. ძირითადად იმიტომ, რომ პირველ ფაქტორსაც (ე. ი. გრ- კომპლექსის აქცესიურობას) მნიშვნელოვანი წილი უძევს დისიმილაციის მოხდენაში: ორ ერთნაირ თანხმოვანს შორის წონასწორობის დარღვევა, რაც დისიმილაციის მოხდენისთვისაა საჭირო და ხელსაყრელი, პირველი უკანაენისმიერის ნაკლებმა გამძლეობამ გამოიწვია¹¹⁶.

ექვს არ იწვევს ის გარემოება, რომ თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსის სუპერაციისადმი მიდრეკილება დეტერმინირებულია ფიზიოლოგიურად, ამდენად ეს მოვლენა საყოველთაო ფონეტიკური მოვლენაა. შეუძლებელი არაა, თანხმოვანთა აქცესიური თანამიმდევრობა რეალური დასაყრდენი იყოს ქართულში ისეთი ფონეტიკური ცვლილებისათვის, როგორცაა ბგერის დაკარგვა, მაგრამ დისიმილაციის მოხდენისათვის ზემოთ აღნიშნულ ბგერათკომპლექსში ეგების სავსებით საკმარისი. იყოს ორი უკანაენისმიერი ბგერის არსებობა: საექვოა კომპლექსის აქცესიურობაც განსაზღვრავდეს დისიმილაციის ფაქტს. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ორი მსგავსი (და ერთნაირი) ბგერიდან ერთ-ერთის დაკარგვის კანონზომიერი ხასიათი არააქცესიურ კომპლექსებშიც.

სიტყვაში ორი ერთნაირი ან მსგავსი ბგერიდან ერთ-ერთის დაკარგვა ექვს არ იწვევს. იგი დისიმილაციური კანონის მოქმედების შედეგია და სამეცნიერო ლიტერატურაში დისიმილაციური დაკარგვის სახელწოდებითაა ცნობილი.

